

652  
1974

162 6.



1 9 7 4

## მინისტრი

# მინისტრი

პოეზია, პროზა

ს. კლიფაშვილი — ახილებული	
კაცი ნიკელა . . . . .	3
მ. ვარშავიძე — მი მიყვარს ჩი-	
მი კლანება ლექსი . . . . .	8
შ. ხალვაში — ლექსები . . . . .	10
გ. სალუჩავა — პატიოსება	
ლექსი . . . . .	12
ჯ. ხოცარია — ჩიმი უნიგლი	
არდალიგები მოთხოვა . . . . .	14
ჭ. გორგილაძე — ლექსები . . . . .	23
ჯ. ჯაბელი — ლექსები . . . . .	26
ა. შერეაშავა — მატარებელში	
მოთხოვა . . . . .	28
შ. ზოიძე — ლექსები . . . . .	40
ე. დავითაძე — ლექსები . . . . .	42

### ჩვენი პუბლიკაცია

ლადო ასათიანის ცხადვილება-	
ცოგის ცურცლები . . . . .	45
<b>კრიტიკა და პუბლიცისტიკა</b>	
შ. ძურიძე — მაგისტრები! აც გო—	
გია უბაშვილი როგორც ხასი- ათი	57
ნ. ვერაძა — ზოგიერთი მოსა— ზრება დიალექტური ლექსი— ცოგის უმჯგნელ თაობაზე	72

### წერილები

ნ. ნოღაიძელი — მრთი დარჩის	
ლექსიკა აჭარაში	82
ი. სახსენია — აპარული ჩაცეუ— ლოგის ეთნოგრაფიული უმე— ზავლისთვის	90

12466

ლიტერატურულ-მხატვრული და  
საზოგადოებრივ-კოლექტიკური  
ჟურნალი

საქართველოს საგარეო  
მუნიციპალიტეტის კავშირისა და  
აჭარის განყოფილების  
ორგანო

გ ა თ უ მ ი — 1974

ი ც ლ ი ს ი — ა გ ვ ი ს ტ ი

მარტინის სახ. 602 1/1

ჩვენი უნივერსიტეტის გამოდის 1958 წლიდან  
ეს მეასე ნომერია

### რედაქტორი ა. შონია

სარედაქტო კოლეგია: ხ. აზვლედიანი, შ. გარშანიძე (პ. მჭ.  
მდივანი), პ. ლორია, ალ. ჩავლეიშვილი, ფრ. ხალვაში.

რედაქციის მისამართი: ბათუმი, ენგელსის ქ. № 21.  
ტელეფონი — 33-71.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 22.8.74. საბეჭდი 6, საგამომცემლო 5 თაბახი.  
შეკვეთის № 3388, ემ 00981, ქალაქის ზომა 60×90, ტირაჟი 2.040.

\* \* \*

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო  
კომიტეტის მთავარპოლიგრაფერწერის ბათუმის სტამბა № 9  
(ლუქსემბურგის, 20).

სერგო პეტრიშვილი

## ქეირებული ბაზი

თითქმის ფოლკლორული ხასიათის ეს პატარა ამბავი ღიღი ხნის წინათ გავიგონე. მაშინვე რომ ჩამეწერა, რა თქმა უნდა, აჭობებდა. ალბათ არაერთი სახსიათო გამოთქმა და ეპიზოდიც დავიწყებული მაქვს და აქ არ შემიტანია. ამით კი, ცხადია, გავაფერმკრთალ ამბავი და შევუზღუდე ის სიღრმე და სიგანე, რომელიც მას უნდა ჰქონოდა. ახლა რაღას იზამ, იძულებული ვარ ისე გავიხსენო, როგორადაც მეხსიერებას შერჩა.

ეს უპრეტენზიო იგავი ერთმა ხნიერმა პედაგოგმა მიამბო. რა დავმალო და, ის კაცი, ცოტა არ იყოს, ახილებული ხასიათის გახლდათ და ფანტაზიორიც იყო. მარწმუნებდა, რომ ყმაწვილობის ასაქში პაპაჩემისაგან გავიგონეო. მე კი ეჭვი მეპარება, რომ მის მიერ შეთხზულია.

იქნებ საჭირო იყოს და ამიტომ ცოტა რაიმეს მაინც მოგახსენებთ თვით იმ პედაგოგის შესახებ. ცხოვრობდა ის ჩვენს დედაქალაქში, თავის მომდევნო დასთან. ეს იმიტომ, რომ ხანშესული ქვრივი მამაკაცის მარტოდ ცხოვრება უპატრონო ძალის ყოფნას გავს, თუ მან ვისმე და სადმე არ შეაფარა თავი. მას იქ ერთი ოთახი ჰქონდა მიჩნილი. ოთახი პატარა იყო და სავსე საკვირველი, უცნაური ნივთებით. სულ რაღაც ნიღბები და რაღაც კაბალისტური წარწერებით აჭრელებული კედელი. კუთხეში თავის ქალაც ჰქონდა თაროზე დადგმული. შეხვიღოდი თუ არა ოთახში, უმალვე იქიდან გამოსვლა მოგინდებოდა. ივითონ პატრონს კი ყველაზე უფრო აქ ყოფნა ეხალისებოდა. ის, მგონი, კიდევაც ელაპარაკებოდა ამ გულშემზარავ ნივთებს და ამით თავს ირთობდა.

ეს კიდევ არაფერი, მოხუცს ხასიათიც თავისებური ჰქონდა. ხანდახან იმასაც ცდილობდა, რომ მაინცდამაინც ობროლ, უშმაკ პიროვნებათ მოეჩ-

ვენებია თავი სხვის წინაშე. მაგრამ ეს არც თუ ყოველთვის ეხებოდა და იმიტომ არ ეხერხებოდა, რომ სინამდვილეში ძალიან კეთილი დაქარტჟუმურ-ვით გულმართალი იყო.

რადგან თავი ვერ შევიყვავე და ზოგი რამ ისეთი ვთქვი მის შესახებ, რაც არ უნდა მეთქვა, ამასაც გავამხელ: ტყუილიც უყვარდა ზოლმე. აი, მაგალითად, ერთხელ სხვაგვარად ამისნა მიზეზი თუ რატომ აიღო ზელი მასწავლებლობაზე; მეორედ კი სულ სხვანაირად.

ნამდვილად როგორ იყო, ახლა ამას ვინ გაარკვევს. ეს საიდუმლო მან თან წაიღო სამარუში. ეს კი ნამდვილად გამიგონია მრავალისაგან: ადამი-ანის დიდი მოსიყვარულე იყო, სიცოცხლის თვითეულ წუთს შეხაროდა და სულ იმაზე ზრუნავდა, რომ თავისი და სხვისი ცხოვრება უფრო უკე-თესი გამხდარიყო.

შემეძლო სხვაც ბევრი რამ მეთქვა იმ უცნაური კაცის გამო, მაგრამ ამჯერად ესეც უნდა ვიქმარო. უკეთესია ის ზღაპარი გავიხსენო, მისგან რომ გავიგონე. აი ისიც:

„მრავალი ბრძენი ცხოვრობდა ქვეყანაზე და ერთი მათგანი ვინმე ბა-ჭარი იყო.

მთელი თავისი სიცოცხლე ბაქარმა იმაზე ფიქრში გაატარა, რომ ცხო-ვრების საიდუმლო გამოეცნო და ამით ბედნიერება მიენიჭებია ხალხი-სათვის.

ნატრობდა ამის გაგებას და ვინაიდან სწამდა, რომ ამ საიდუმლოს გაუმჯობესებდა ბრძენთა ნაწერი, უამრავი ძველი ფოლიანტი პქონდა წა-კითხული.

მაგრამ ისე განვლეს წლებმა და ისე გაჭალარავდა ბაჭარი, რომ ვერ-სად მიაგნო ჩას, რისი მიგნება აგრე გულით სწადდა.

ერთხანს მაინც არ კარგავდა იმედს, რომ მიაღწიევდა საწადელს და საღმე, ერთ რომელიმე ფოლიანტში იმ საიდუმლოების ამომხსნელ სტრი-ქონებს წაწყდებოდა.

ამ იმედში გაიარა კიდევ დიდმა დრომ. იმდენმა, რომ ღრმად მოხუც-და და სიკვდილის მოახლოება იგრძნო. მაშინ ბაჭარმა, დიდათ დალონე-ბულმა, რომ ვეღარ მოესწრებოდა თავისი ოცნების შესრულებას, დას-ტრვა ქალაქი და დაადგა გზას, რომელმაც მრავალი დღის შემდეგ ერთ უკაცრიელ, ულრან ტუში მიიყვანა. დაღლილი, გასავათებული ჩამოგდა აქ ხის ქვეშ და, სასოწარკვეთილმა, ამოიხრა:

— ჩემ ცხოვრებას ფუჭათ ვთვლი, — ადამიანი რომ არსად იყო, ხეს შესჩივლა ბაჭარმა. — ამდენი ვიღვწე, უთვალავი ფოლიანტი გადავფურ-ცლე და მაინც ვერსად ამოვიყითხე საიდუმლოს ამომხსნელი სიტყვები და ვერაფრით გავახარე მოყვასი... ადამიანის სიცოცხლე ისე ხანმოკლეა, რომ მე კი არა, ვერავინ მოასწრებს ყველა ფოლიანტის მეათასედი ნაწილიც

წაიკითხოს და გამოიცნოს ის საიდუმლო... ავაი, ჩემო უბედული თუ კა  
სულ რამდენიმე დღის სიცოცხლე ღამრჩა და გხედავ, ამაუცილეს წესები  
მთელ ჩემ ცხოვრებას...

დიდხანს იჯდა თავდახრილი, მდუმარე, დამწუხრებული და აგერ რო-  
დის ისევ შესტირა ხე:

— მე რომ კიდევ ერთი იმდენი მეცოცხლა, რამდენიც აქამდე, მაშინ  
იქნებ მომესწრო ოცნების შესრულება... კიდევ მრავალი ბრძენის ნაწერს  
წაიკითხავდი და გავიგებდი, თუ რას ესწრაფვის ადამიანი, რა ანიჭებს  
სიხარულს, რა ასევდიანებს და საბოლოოდ რისი მოპოვება სურს... მაგრამ  
ვაი რომ ჩემი უკანასკნელი დღეც მოვიდა და ჩემთვის ყველაფერი გაუგე-  
ბარი დარჩა!

ასე ამოიგმინა თუ არა, ტყის შუაგულიდან ბანჯგვლიანი პატარა ჭინ-  
კა გამოხტა და ბაქარის წინ დადგა.

— შენ გინდა დიდხანს იცოცხლო? — კითხა ჭინკამ. — შენ, კეთილი,  
შეგისრულებ მაგ სურვილ!

ჭინკა ისევ შეხტა ტყის სიღრმეში, დაკრიფა ბუჩქებზე რაღაც წითე-  
ლი ნაყოფი, მოუტანა ბაქარს და უთხრა: შეჭამ თუ არა ამას, მოგენიჭება  
უკვდავება და მერე ის დროც დადგება შენთვის, როცა ცხოვრების მთელ  
სიბრძნეს გაიგებო...

გახარებულმა ბაქარმა დალოცა ჭინკა, იგემა ნაყოფი და უმალვე ისევ  
ახალგაზრდა ვაჟეაცად იქცა.

გამხევებული, ბედნეური დაბრუნდა წინ და შედგა თუ არა ფეხი  
თავის ოთახში, მაშინვე ფოლიანტების კითხვას შეუდგა.

\* \* \*

დღეები დღეებს მისდევდნენ, წელიწადები წელიწადებს, ბაქარი კი  
თავის მაგიდას უჯდა და ფურცლავდა ხელონაწერებს.

ბაქარმა მართლაც უკვე იმდენხანს იცოცხლა, რომ მისი შვილიშვი-  
ლები, შემდეგ შვილთაშვილებიც მოხუცდნენ და ბოლოს მიწას მიებარ-  
ნენ. აღარც ერთი ძველი ნაცნობი და მეგობარი აღარ ჭავანებდა დედამი-  
წარე.

რამდენიმე საუკუნემ განვლო ისევ. ბაქარი ხელვდა როგორ აშენდა  
ახალი ქალაქები, მერმედ ესენიც დაინგრა და მათ ნაცვლად სხვა უფრო  
დიდები აღმოცენდა. იცვლებოდა ბუნება, მდინარეებიც სხვა კალაპოტით  
მიეღინებოდა, ბევრი ძველი ვარსკვლავი ჩაქრა და ახალი გაბრწყინდა  
ცაში, აღამიანთა თაობები თაობებს ენაცვლებოდნენ, ისინი  
თავდაუზოგავად შრომობდნენ, აშენებდნენ, ანგრევდნენ, ისევ აშენებდ-  
ნენ და ისევ ანგრევდნენ, ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ, მუდამ ახლის მიე-  
ბით იყვნენ გართული, ებრძოდნენ ბოროტებას და თვითონვე ჩადიოდნენ

ბოროტებას და მაინც არ იქნა, ვერ ელირსნენ. მშვიდ ცხოვრებას.

ბრძენი ბაქარი ისევ და ისევ იძენდა ძეველად და ახლად წატული წიგნებს. ცდილობდა ოც ერთი ფოლიანტი არ გამორჩენოდა უსურითხევა და ყოველთვის იმ იმედით იყო, რომ საღმე იპოვიდა სანატრელ სტრი-ქნებს.

მაგრამ რაც მეტ ხას ცოცხლობდა, მით უფრო მატულობდა ახალი, ჯერ წაუკითხავი წიგნების რიცხვი. ბოლოს იმდენი დაგროვდა, რომ ბაქარი არა თუ წაკითხას, თვალის გადავლებასაც ვეღარ ასწრებდა.

დილხანს ფიქრობდა ბაქარი იმაზე, თუ როგორ დაეღწია თავი ამ გან-საცდელისაგან და ბოლოს მიხვდა, რომ ამაო იყო ყველა ცდა.

— ამოდენა ხელონაშერი და დაბეჭდილიც გადავიყითხე იმ საიდუმ-ლოს ძებნაში დაუსვენებლად დღესაც ვფურცლავ და ჩავკირკიტებ წიგ-ნებს, ძეველ ათასებს სხვა ახალი ათასი ემატება ყოველდღიურად, უკვე იმ-დენი დაგროვდა, რამდენიც ზღვის ნაპირზე დაყრილი ქვიშაა. სწავლულე-ბი კი ისევ ეცილებიან ერთმანეთს, დაბენ, უარყოფენ ერთიმეორეს და ყველას თავისი, საკუთარი სიმართლე სწამს მხოლოდ.... როგორც ჩანს, ვე-რასოდეს დავეწევი ცხოვრებას და, ამრიგად, შეუცნობელი უნდა დარჩეს ის საიდუმლო!

გაუმწარდა სიცოცხლე ბაქარს, სასოწარკვეთილებამ შეიძყრო. და, ამ, ერთ დღეს, როცა მწუხარება ძალზე მოერია, გავიდა ქალაქიდან, ისევ მი-ვიდა უღრან ტყეში და იხმო ჭინქა.

— შენ, თურმე, ბოროტად დამცინე და დამსაჯე მე. — უთხრა ჸაყ-ველურით. — ჩემი პირველი ცხოვრების წლებში მე ისე მიმაჩნდა, რომ განუყოფელი ნაწილი ვიყავი ჩემი დროისა და იმ გარემოსი, საღაც ვცხო-ვრობდი. შენი წყალობით მე დავკარგე ყოველგვარი კავშირი იმ დროსთან და ვეზიარე უკვდავებას. მაგრამ ეს უკვდავება საწამებლად იქცა ჩემთვის, რადგან მე იმ ცოორილს დავემსგავსე, რომელიც სამყაროს უსასრულობა-ში უგზო-უკვლოდ დაბორიალებს... მხოლოდ ახლა მივხვდი და გავიგე მე, რომ ბუნება ნამდვილი ბრძენი ყოფილა, როცა განსაზღვრული დრო და გარემო მოგვიჩინა... რამდენიმე საუკუნე გაგრძელდა ჩემი სიცოცხლე და რას მივაღწიე? ახლა მე მცირე წყალობას მოვითხოვ შენგან: თუ შეგიძ-ლია, თუ ამის ძალა შეგწევს, დამიბრუნე ის ჩემი პირველი დრო და გა-რემო... დამიბრუნე ისე, რომ ჩემ გვერდით იყვნენ იმ თაობის ადამიანები, ვისთანაც ერთად ვიზრდებოდი, ვშრომობდი, ვებრძოდი ბოროტებას და შევხაროდი კეთილს...

ჭინქა იქვე იდგა და უსმენდა.

— მაგრამ თუ შენ საამისო ძალა არ შეგწევს — ხმას აუმაღლა ბაქარ-მა, — მე დაგწყევლი შენ და იმ ბოროტ ნაყოფს, რომელმაც გამაუბედუ-რა. რათ მინდა მარტო მე ვიყო უკვდავი! მე უარს ვამბობ ასეთ უკვდა-

ვებაზე და მოვითხოვ აზლა ისეთი ნაყოფი მომცე, რომელიც ჩატურებულ  
ადამიანობას დამიბრუნებს!

ჭინკამ შეუსრულა ეს უკანასკნელი სურვილი. ბაქარმა გულებელი მას-  
ლო ნაყოფი და სულაც იქვე დალია“.

აი ეს მიამბო იმ ჩემმა ნაცნობმა მოხუცმა. რა მორალი გააჩნიაო ამ  
ზღაპარს? აბა რა ვიცი! იქნებ ის, რომ ყველაზე უკეთესი დრო ის არის,  
რომელშიაც ცხოვრობ, იღწვი და მხარში გიღგანან მეგობრები...

იქნებ სხვა რაიმე აზრიც ჰქონდეს, მაგრამ გულახდილად გეტყვით,  
რა არის ეს სხვა, ჯერჯერობით არ ვიცი.

ვიცი მხოლოდ, რომ ეს ზღაპარი მიამიტურია, გულუბრყვილოა. მაშ  
რა მრგიდა, რომ გამოვაქვეყნე? მხოლოდ იმიტომ, რომ მთქმელი პატიო-  
სანი იყო და მის ხსოვნას პატივი ვეცი...

ჰო, მართლა, კინალამ დამავიწყდა ის, რისი თქმა დასაწყისშივე მინ-  
დოდა: ნუ უძრახავთ იმ კეთილშობილ მეზღაპრეს, თუ ეს მარტივი ამბავი  
მოგასმენიათ. ყველა თქვენ გულწრფელად უყვარდით მას. დიახ, ასე იყო  
და თუნდაც ამიტომ აპატიეთ. ყოველშემთხვევაში, ნუ გაუწყრებით. ნუ  
გაუწყრებით თუნდაც იმიტომ, რომ ამაოდ ჩაივლის ეგ გაწყრომა. ამაოდ  
იმიტომ, რომ მან არ იცოდა რა იყო შიში. ის კეთილი გულის პატრონი  
და უცოდველი იყო და, აბა, როდის ყოფილა, რომ ასეთ კაცს ვინმეს ში-  
ში ჰქონოდა! პირიქით, აგსა და ბოროტს ეშინაა კეთილისა და ამიტომაა,  
რომ ყოველთვის უყეფს.

---

## მე მიყვარს ჩემი პლანეტა

რა ნათელია სამყარო,  
 რა საყვარელი, რა ტურფა,  
 ეს საოცნებო ქვეყანა  
 უჩუქებია არც უფალს,  
 არც ძეს აღამის, არც არვის,  
 იყო, იქნება, ინათებს,  
 ბნელს რომ ადნობენ ღადარში,  
 ო, ვენაცვალე იმ მნათებს.  
 ფერთა ზღვა არი ქვეყანა,  
 ნეტავ, ამ ფერებს რა ტვიფრავს,  
 როგორ ჩავისვა ჩემს სულში  
 ან ვხატო ხატად ნატიფად;  
 ვეალერსები, თუმცა რა  
 ხან მტანჯა და ხან მატირა,  
 ხან ბორკილებით შემხუნდა,  
 ხანაც ჩინჩხად მყო ჭურლმულში,  
 განა რა მისი ბრალია, —  
 გამტანჯა ვინმე ურჯულომ.  
 თვითონ მეხვევა და მყოცნას, —  
 ეს მე ხომ ძუძუ გაწოვე!  
 აპა, ყელამდე მისი ვარ,  
 და თავს კიდევაც ვაწონებ...  
 მიჭირს, ყოველდღე ჩემს ძეშნას  
 სული თუკი ვერ შევახე,  
 ჩემს ჩიტს ბუდეს  
 თუ დაუუნგრევ,

მაშინ მარჯვენა შემახმეს.  
 მზეს ამომავალს მიველტვი,  
 მიველტვი, როგორც ტოროლა,  
 ჩემი ტრფიალი დიდია, —  
 რას ჰქვია უცხო ტომობა?!  
 მინდა რომ კაცი კაცს ძმობდეს,  
 რა საჭიროა ტყვიერი,  
 უცხო კვდებოდეს ჩემს თვალწინ,  
 განა არ დავიტირებდი.  
 ცხრა მთის გადაღმელ ბალანს  
 განა ხელში არ ავიყვან,  
 აბა ვინა ვარ და რა ვარ  
 თუ კაციშვილი არ მიყვარს.  
 ვინც კაცს საბუდარს დაუქცევს,  
 ვინც ცეცხლს გაუჩენს  
 სიცოცხლეს,  
 მე ის მძულს,  
 მე ის მაშფოთებს,  
 მე გულს გავუპობ, იცოდეს.  
 მინდა რომ ჩემი პლანეტა  
 ფერთა ხატებამ ამშვენოს,  
 და მადლიანმა მარჯვენამ  
 ძმობის ტაძარი აშენოს.  
 ო, როგორ მიყვარს ჩემი მზე,  
 ო, როგორ ვეტრფი  
 ვარსკვლავებს!

ბურუსი და მგლოვარებთ? —  
ნაზი ქალივით ვკანკალებ...  
რომ არა ჩემი ჭოროხი, —  
სულს რომ მიცხოვლებს  
ჩქაფანით,  
რომ არა ჩემი სოფული,  
რომ არა დედის საფლავი,  
რომ არა ჩემი თბილისი, —  
(ვენაცვალე მის მომავალს!)

რომ არა ჩემთა ვარსკვლავთა/  
და საქართველო რომ არა/  
მეყვარებოდა მე ასე, თურთულები  
მეყვარებოდა ას, წერილი იმითა  
პლანეტა, ჩემი პლანეტა?  
ო, როგორ ვეტრფი მიწას და  
ცას საოცნებოს და ნეტარს!  
ჩემი მშობელი დედაა, —  
მე მიყვარს ჩემი პლანეტა.

---

## ფიქრი პრაბეთში

ი, აქედან აღმომსკდარმა ისლამის ელდამ  
მოსრა ქვეყნები, რა არ დაწვა, რა არ ჩაშალა.  
მცირე აზით მოსეულმა, გოლერძის სერთან  
ატირა ქართლი და მოსტაცა დედას აჭარა.

აი, აქედან წამომსკდარმა უცხოთა ჩვევამ  
ჩაასაფლავა წინაპარის ვაზი და ქვევრი,  
დაობლებულმა, წაქცეულმა ჭილაგმა ჩემმა  
ითხოვა შველა, მისი შველა ვერ შეძლო ვერვინ.

დიოდა წლები.

იღვრებოდა სისხლი და ცრემლი,  
მინარეთები გაჰკიოდნენ ეზნებს, ნამაზებს,  
ახლა არაბთა მიწაზე ვარ, ვფიქრობ ამაზე  
და პასუხს ველი და არ ვიცი ვისაგან ველი.

## ლ პ ზ პ რ

ერთმანეთს თუ ოდნავ შევეწყვეთ ზღვა და მე,  
ალბათ ეს იმიტომ, რომ ქველი ლაზი ვარ.

ზღვა რაღაც შორეულს მიმღერის,  
მაღარდებს, —

ბედმა ჩემს ჭილაგს ხომ ზღვა გაუხაზირა.  
ვინ იყავ, მითრიდატ?! —

მე შენი ისრების  
და შენი ანძების მაშფოთებს ლაწანი;  
პონტოზე დღესაც კი ღრუბლებად იშლება

იმ შენი ომების ფერფლი და ნაცარი.  
ვინ იყავ, მედეა?!

სად ძოვეს ბალახი  
ალმასრქა მოზვრებმა და ოქროს ვერძებმა?!  
მამაშენს არ ჰყავდა ქრისტე თუ ალაპი  
და მაინც არ აკლდა ჭკუა და შეძლება.  
არც უნ ხარ მტყუანი.

სიყვარულს რომ უძღვენ,  
ის ერთგულებაა და არა ღალატი,  
პონტიის ზვირთებმა შენს ცრემლს  
ვერ გაუძლეს —

გაშვერნენ,  
ზღვას შავი დაერქვა მარადის.

გავუვლ-გამოვუვლი ბოსფორს  
თუ დარდანელს,  
და მაშრიყ-მაღრიბსაც თუ ზოგჯერ  
გადავცდი,  
ჩემს ფაცხას კერაზე დაკიდულ კარდალით  
სხვის მთელ ქვეყანაშიც არასღროს  
არ გავცვლი.

სიცოცხლე ღელვაში მცურავი ნავია,  
ნავია — სიმღერა და ჩემი აკვანიც.  
ბეღნიერებისოთვის ბევრი მიწვალია  
და მაინც წვალება არაა საკმარი.  
ზვირთებს გაუხედნელ რაშებს რომ ვადარებ,  
ერთ მათგანს, უბელოს, ბეჭებზე ვაზივარ.  
თუ ოდნავ ერთმანეთს შევეწყვეთ ზღვა დამე,  
ეს მგონი იმიტომ, რომ ძველი ლაზი ვარ.

## პ ა ტ ი ო მ ს ხ ე ბ ა

ცისმარა, ჩვენი ოცნება,  
ეს არის პატიოსნება!

გ. ტაბიძე

რამდენი შუბი შუბებს მიაფშვნეს  
ძველმა მხედრებმა, ძველმა მგოსნებმა,  
რომ არ მოჟკლა ადამიანში  
უკეთურებას პატიოსნება.

იგი პატარძლის არის მანდილი,  
აკვანში ჩვილის ღიმილი არის...  
ასე ძნელი და ასე ადვილი,  
ესოდენ ტკბილი და ასე მწარე.  
არის გვირგვინი ყმაწვილკაცობის,  
გრძნობათა შორის გრძნობა რჩეული.  
იგია ჩვენი პური არსობის  
დედის მერდინში გამოხვეული.

გაზაფხული რომ იას მიაშლის  
და მიწა მწვანით შეიმოსება,  
ისჯ ცოცხლდება ადამიანში  
თანდაყოლილი პატიოსნება.

უხინჯო გული მზესავით ხარობს  
და შუქი მისი შორს იტყორცნება.  
შენ შეიძლება სიცოცხლე დათმო,  
მაგრამ ნუ დათმობ პატიოსნებას!

ყველა ცდუნებას უნდა გაძლება  
და ყოველ ღონეს უნდა მოკრება --

როგორც სიცოცხლე ერთხელ გვეძლევა,  
 ერთხელ გვეძლევა პატიოსნებაც.  
 ღალას მოითხოვს მკაცრი მეღალე  
 და ოღარ მართებს კაცს გაოცება —  
 პატიოსნება თუკი შებღალე,  
 მას აღარ ჰქვია პატიოსნება.

არ დაიღლება სიტყვა ფრთიანი  
 და მაშინ მაჯაც აღარ მოცდება.  
 როდესაც მისდევს აღამიანი  
 მამა-პაპათა პატიოსნებას.

იქნებ საწადელს ვერც კი ეწიოს  
 მთელი სიცოცხლე დღე და მოსწრება —  
 მაშვრალი მრუდე გზას არ ეძრებს,  
 არ უღალატებს პატიოსნებას.

პატიოსნება გვქონდა საფიცროდ  
 და როდი იყო მარტო ოცნება  
 მუდამ იცავდა, მუდამ დაიცა: ა  
 კაცური კაცი პატიოსნებას.

თუმცამა ბევრმა ხელი დარია,  
 ვერ შეძლო მისი განადგურება.  
 პატიოსნება არც მდიდარია,  
 მაგრამ სხვის ჯამში არ იყურება.

არ წაიკითხავს ამ ლექსს უგეალოდ  
 ზოგი, ყალბად რომ სიტყვას დაქარგავს.  
 რა დარჩენია მას სანუგეშოდ,  
 კაცის სინდისი ვინაც დაკარგა!

ძარცვით და ხევჭით განატაცები  
 თაკილობს მძიმე ტვირთის ტარებას, —  
 რა არის უფრო თავზარდამცემი,  
 ვიღრე ამგვარი გადაგვარება!

ნეტა რა განძში უნდა გაგცვალო,  
 რას განაცვალო, რა საოცნებარს,  
 ჩემო ფარო და ჩემო ხანჯალო,  
 მოუსყიდველო პატიოსნებავ!

## ჯეარ ხოჭები

# ჩემი უნიტარი არაფილი

ჩვენს ვეებერთელა საამქროში ორასამდე კაცი მუშაობს. რომელთა უმრავლესობა ახალგაზრდებია — ჩემი თაობის ხალხი. ისინი სკოლის მე-რხიდან მოვიდნენ აქ და თანდათანობით ეუფლებიან პროფესიასა და მრომის სიბრძნეს. ხანდაზმულები, ვეტერანებს რომ ვეძახით, აქა-იქ თუ ვვირევია. მათ შორის ყველაზე ხანდაზმული მიხეილია — ჩვენი საამქროს უფროსი, რომელსაც ყველანი სიყვარულით ბაბულის ვეძახით. ვინ შოსთვლის, რამდენი მოსწავლე აღუზრდია და დაუყენებია მას ცხოვრების დიდ გზაზე.

კაცმა რომ თქვას, ჩვენთან რიგზე როდია ყველაფერი; ხშირად ფერ-ხდება საჭირო ნედლეულის მიწოდება, რის გამოც, უქმად ვდგავართ და ვკარგვათ საათებს, ღლეებს. თუმცა, ბაბულის თაოსნობით მაინც ვახერხებთ დაყარგული ღროის ანაზღაურებს და გეგმის განაღდებას. უკვე ერთ წელზე მეტია, ჩვენი საამქრო გარდამავალ ღროშას ფლობს, რაც ძალიან გვეამაყება და გვიხარია.

ალბათ ჯერ არ დაბადებული ადამიანი, რომელსაც ჩაიმე ნაკლი არ გააჩნდეს, ერთი ნაკლი ბაბულისაც აქვს, ნამეტანი ჭირვეული ხასიათისაა.

იწყება ჩვეულებრივი სამუშაო დღე. ყურს ვუგდებ საამქროს მაჯის-ცემას და თანდათანობით შევდივარ მუშაობის ეშეში... ამ ღროს ღირექტორის თანხლებით მაღალი, გრუზათმიანი კაცი შემოდის. იგი ჯერ ბაბულის ართმევს ხელს, მერე კი იწყებს საამქროს დათვალიერებას. მიდის დაზგიდან — დაზგასთან, ესაუბრება მუშებს და განაგრძობს გზას. ბოლოს ჩემამდისაც აღწევს, მესალმება, ერთხანს უხმოდ მიცემის მუშაობაში გართულს, მერე კი მეკითხება:

— კმაყოფილი ხარ სამუშაოთი? — ისე აა... — ვამბობ და მხრებს ვიჩეჩავ. ჩვენი დირექტორი, როგორიც სტუმარს ტკიბასავით აკვრია გვერდით, შეფარვით მიციტირებული ნელ-ნელა იღუშება, ვხვდები, ჩემი პასუხი არ მოსწონს.

— გამომუშავება რამდენი გაქვს? — მეკითხება გრუზიათმიანი.

გამომუშავება იმდენად ცოტაა, მეუხერხულება სიმართლის თქმა და იძულებული ვხვდები მოვიტყუო. ისეთ ციფრს ვასახელებ, ორჯერ აღმატება ჩემს ხელფასს.

— ო, ეს კარგია! — ამბობს იგი, კიბიდან ბლოკნოტს იღებს და რაღაცას იწერს. დირექტორი ისე მიყურებს, ვატყობ ამჯერად კმაყოფილია ჩემით... მაგრამ აი, მოულოდნელად ვაწყდები ბაბულის ჩაციებულ, ირონით აღსავს მზერას და დამნაშავესავით ვხრი დაბლა თავს.

— რატომ ატყუებ ამ ადამიანს, ბიძია?! — ხმამაღლა მეკითხება ბაბული. — რატომ გეუხერხულება სიმართლის თქმა? უთხარი ამ ადამიანს... ამდენი და ამდენი გაქვს გამომუშავება.

— რატომ ასე ცოტა? — უკვირს გრუზიათმიანს, — შენ, ყმაწვილო, ხომ არ წაიზარმაცებ?

— არა, ზარმაცი როდია! — მიცავს ბაბული, — პირიქით, — მონდომებული და ნიჭიერი ბიჭია, მაგრამ საერთოდ, ჩვენთან დაბალია ანაზღაურება. თუ კაცი დაინტერესდება, რატომაა ეს ასე, მიზეზს ადვილად მიაგნებს. თუ დროზე არ მივაქცევთ ყურადებას ამას, ძალიან ცუდად წაგვივა საქმე — ჩვენ დავყარგავთ მთავარ ბირთვს, გამოცდილ მუშებს, რომლებიც ადგებიან და გაღავლენ იქ, ისეთ საწარმოში, სადაც მათვის უფრო ხელსაყრელი პირობები და უკეთესი ანაზღაურება იქნება.

გრუზიათმიანმა ისევ ჩაიწერა რალაც, დირექტორმა მუქარით, გამაფრთხილებლად ჩაახველა მუჭუმი, მაგრამ ბაბული იონტისოდენი ყურადღება არ მიაქცია ამას და განაგრძო: — ჩვენი ქარხნის პროდუქცია მანიკურამიანც დიდი პოპულარობით არ სარგებლობს მომხმარებლებში. მას იშვიათად თუ ყიდულობს ვინმე. ეშირად ვლებულობთ რეკლამაციას, პროდუქციის ნაწილი უკანვე გვიბრუნდება როგორც უვარგისი. ასეთ შემთხვევაში ქარხანა ვაღლებულია უსასყიდლოდ გაუგზავნოს მაგური, ხარისხიანი პროდუქცია. რას ვაკეთებო ჩვენ? ავღებით და ერთხელ გაკეთებულს დაგშლით, ხელმეორედ ავაწყობთ, ვწვალობთ, ვხარჯავთ დროს, ელექტროენერგიას, ზედმეტ ლითონს. ყველაფერი ეს, მოგეხსენებათ, მძიმე ტვირთად აწვება მხრებზე ქარხანას და, თავისთავად ცხადია, იზრდება პროდუქციის დამზადებაზე გაწეული ხარჯები.

გრუზიათმიანმა ისევ ჩაიწერა რალაც და ყური მიუგდო ბაბულის, რომელიც განაგრძობდა: — განა ისეთი წყალწაღებულები ვართ, რომ არ შეგვიძლია გეგმაც გავანაღდოთ და პროდუქციის ხარისხიც გავაუმჯობე-

სოთ? შეგვიძლია და მერე როგორ, მაგრამ დრო, დრო არ გვაძეს მოქოვის. სად მიდის დრო? თვის დასაწყისში რამდენიმე დღე უქმდება ფლებართ, არ არის ნედლეული! ნუთუ ასე ძნელია ამისი მოგვარებული მოთხოვთ

— არა, ძნელი არ უნდა იყოს ეს! — მიუგო გრუზათმიანმა და იკითხა: — ერთი მითხარით, თქვენი სამქროდან მუშების დენადობა დიდია?

— დიდია და მეტი არა? — მწარედ ჩაიცინა ბაბულიმ. — ამ მხრივ ჩემი საამქრო გამონაკლისი როდია. შარშან მარტო ჩემი საამქროდან ოცდაათი კაცი წავიდა, მთელი ქარხნიდან კი — სამასზე მეტი. წელსაც წავიდნენ, კიდევ წავლენ ალბათ...

— ცუდია! — ჩაილაპარაკა გრუზათმიანმა, ისევ ჩაიწერა რაღაც და იკითხა: — თქვენ დიდი ხანია აქ მუშაობთ?

— დიახ, ორმოცდაშვიდი წელია!

— არასოდეს არ გიცდიათ ამ ქარხნიდან წასვლა?

— არა, არ მიცდია, შევეჩვი აქაურობას, დამენანა შეჩვეულის მიტოვება და დავრჩი. არც აწი ვაპირებ წასვლას, თუ არ მაიძულეს... მაგრამ, მე რომ არ წავედი და დავრჩი, ეს იმას როდი ნიშნავს, რომ სხვებიც არ წავიდნენ. ჩვენ — ჩემი თაობის აღამიანებმა ბევრი გადავიტანეთ, იყო დრო პურზე და წყალზე გადავდიოდით, მაგრამ მაშინ სულ სხვა დრო იყო, ქვეყანას უკირდა და ჩვენც ვითმენდით, ახლა კი... ახლა სულ სხვა დროა, ახლა ადამიანს არ უნდა გაუჭირდეს. ახალგაზრდებმა უფრო უკეთესად უნდა იცხოვონ და ჩვენ უნდა შევუქმნათ მათ საამისო პირობები. როგორც მოგახსენეთ, თვის დასაწყისში არაფერს ვაკეთებთ, შემდეგ კი, ეს უქმად გაცდენილი დრო რომ ავანაზღაუროთ, უქმე დღე-ებში ვმუშაობთ.

დირექტორმა ისევ ჩახველა გამაფრთხილებლად, რაღაც ჩაიბუზუნა და გვერდზე გაიხედა. ეშებში შესულმა ბაბულიმ მაინც განაგრძო: — ჩვენთან არასწორადაა დაყენებული პრემიების განაწილების საქმეც. თუ საამქროში მუშას სამუშაოზე დააგვიანდა, იმ თვეში საამქრო პრემიას ვერ მიიღებს. ერთი კაცის გულისთვის მთელი საამქროს დასჯა გაგონილა? ჩვენთან არავითარი წახალისება არ არის, არავითარი ხელისშეწყობა. ორი წლის განმავლობაში ჩვენი საამქროს ბიჭებმა ჩვიდმეტი რაციონალიზატორული წინადადება წამოაყენეს, რომელთაგან შვიდი უკვე დაინერგა წარმოებაში და ქარხანას ათასობით მანეთის ეკონომია მისცა, დაზოგა ელექტროენერგია, დრო, ლითონი...

გრუზათმიანმა ისევ ჩაიწერა რაღაც. ბაბულიმ მხარზე დამადო ხელი და თქვა: — ერთ-ერთი, მე ვიტყოდი, საინტერესო წინადადების ავტორი ეს ახალგაზრდაა.

— მართლა? — იკითხა გრუზათმიანმა, — ეს კარგია, კარგი! დაინერგა წარმოებაში?

— როგორ არა!

გრუზიათმიანმა მოწონებით დამიქნია თავი, მიუბრუნდა დემოკრატიულის  
და უთხრა: — ეს რა ნიჭიერი ახალგაზრდობა გყოლია, ამხანაგად უკარა  
ფონ! ასეთებს უნდა გაუფრთხილდე, ყოველმხრივ უნდა შეუწყო ხელი!  
პრემია აიღე? — ახლა მე მომიბრუნდა იგი.

— რისი პრემია! — გამიკვირდა მე. — არაფერიც არ მიმიღია.

დირექტორმა რაღაც ჩაიბუზლუნა და ბოროტად შემხედა. გრუზიათ-  
მიანმა მისი გამოხედვა დაიჭირა და იკითხა: — ქარხანას ხომ გააჩნია სპე-  
ციფონდი პრემიებისათვის? ჰოდა, გამოიყენოთ უნდა, ხალხი უნდა წაახა-  
ლისოთ.

— აწი ვაპირებთ გაცემას, — უქმურად ჩაილაპარაკა დირექტორმა  
და თავი შეიფხანა.

ამ დროს ახალგაზრდა გამმართველი ანდრეი მოგვიახლოვდა, მოკრ-  
ძალებით შედგა და რაღაც ანიშნა ბაბულის.

— რა იყო ბიძია, მოხდა რამე? — ჰქითხა ბაბულიმ.

— ერთი წუთით, თუ შეიძლება, საჩქარო საქმეა, რაღაც ვერ გავი-  
გეთ...

— უჩემდ ვერაფერს აკეთებთ ოქვენ, ყველაფერში მე უნდა ჩამ-  
რიოთ, ჰო, ჰო! წადი და მოვალ!

ანდრეი გაბრუნდა. ბაბულიმ ბოდიში მოიხადა და წავიდა. ამის შე-  
მდეგ გრუზიათმიანი დიდხანს იღარ გაჩერებულა ჩემს დაზგასთან. უბის  
წიგნავი შეინახა და ჩეარი ნაბიჯით გაუყვა საამქროს გასასვლელისაკენ.  
დირექტორმა ერთხელ კიდევ დამიბლვირა და დაწინაურებულ სტუმარს  
დაედევნა.

ჩვენი დირექტორი — ტრიუონ მიხაილოვიჩი, რომელსაც პაპაშას  
ვეძახით, ერთი შუახნობას მიტანებული, ჩასუქებული, ზონდრობა და  
მოუხეშავი კაცია, მრგვალი სახე აქვს, ჩატეტკილი უფერული ლოყები,  
ფოსოებში ღრმად ჩამდგარი, წვრილი, ცივი, წყლისფერი თვალები, სა-  
ფერქელთან შეკალარავებული თმა, წინწამოწეული მაღალი შუბლი და  
კეხიანი ცხვირი, რომელიც მტაცებელი ფრინველის ნისკარტს ჩამოჰვავს.

იგი საოცრად ტაქტიანი კაცია, ფრთხილი, თანაც მშიშარა. დიდი ავ-  
ტორიტეტით სარგებლობს საზოგადოებაში, რომელსაც, სამწუხაროდ,  
ჰერიტენია, პაპაშა რომ არ იყოს, ქარხნის საქმე ცუდად წავიდოდა. ამიტო-  
მაცაა, რომ პაპაშას ძალიან მოსწონს თავისთვი და სკამი, რომელზედაც  
ზის, საკუთრება ჰერიტენია.

ქნება ვინმეს ეგონს, ჩვენ სიყვარულით ვეძახით მას პაპაშას. არა,  
სრულებითაც არა! არ მეგულება ქარხანაში მუშა, იგი რომ უყვარდეს.  
სამაგიეროდ არც პაპაშას უყვარს ვინმე. იგი იმდენად გულცივია, ამპარ-  
ტავანი და თავმოყვარე, რომ არც შეიძლება საკუთარი თავის გარდა კი-  
დევ უყვარდეს ვინმე. მოგეხსენებათ, წყევლის ოსტატები ქალები არიან

და ისინიც არ აკლებენ ხელს, რას არ უსურვებენ მას: შავ მოწამეთა გუნდის, ინფარქტს, სისხლის გაწყალებას, ტვინის შერყევას და ვინ მოსახლეობის კიდევ რას არა, მაგრამ პაპაშა რკინის კაცია და მასზე წყვილი მოსახლეობა რას იმოქმედებს. იგი დილით ადრე მიდის ქარხანაში, დადგება ქარხნის შესასვლელთან, დაწყობს ხელებს ზურგზე და შესაშური მოთმინებით ელის თავის მსხვერპლს — დაგვიანებულს. ქარხანას მოახლოებულ შუშებს პაპაშას დანახვაზე ელეო-მელეოთი მოსდით და კიდევ უფრო უჩქარებენ ნაბიჯს, ყოველი შემთხვევისათვის დაიხედავენ საათზე, თავჩაქინდრული ჩაუვლიან წინ და წყნარად იტყვიან — დილა მშვიდობისათვე. გულში კი ვინ იცის რას არ უსურვებენ — მეორე დილის არგათენებას, გადაშენებას და სხვა მისთანებას. პაპაშა გამარჯობას არ მძობს, ეზარება გამარჯობის თქმა, თანაც ხელქვეითებს თავს არ უყადრებს, დისტანციას იცავს. იგი ერთხელაც არ დაიხედავს საათზე, ჩინებულად იცის რადრომ და საათი არც სჭირდება. ვაი იმას, ვინც დააგვიანებს და ჩაუგარდება ხელში, მისი საქმე წასულია. პაპაშას ჩინებული მეხსიერება აქვს და თუ რომელიმე წლის დასაწყისში დაიგვიანა, წლის ბოლომდე ახსოებს. პაპაშა არასოდეს არ ყვირის. არ ითვირთ, მას ყვირილი არ ეხერხებოდეს. ეხერხება, მაგრამ საკუთარ ჯანმრთელობას უფრთხილოდება, რომელიც, რა თქმა უნდა, ყველაზე და ყველაფერზე ძვირფასია მისთვის. დგას პაპაშა ზურგზე დაწყობილი ხელებით, უძრავად, გაჯგიმული, და მისი შეერა ცივია, გამჭოლი და სუსხიანი. როცა მსხვერპლს, დაგვიანებულ გამოიჭერს, კარგ ხასიათზე დგება, წარმოიღგინეთ, ლილინებს კიდეც. დაიბარებს მსხვერპლს კაბინეტში და ისე ტკბილად, ისე წყნარად დატუქსავს რომ, დამნაშავე მის და საკუთარი გაჩენის საათს წყევლის და შხამდალეულივით ცოცხალმკვდარი, ბარბაც-ბარბაცით გამოდის მისი ხაფანგიდან თუ კაბინეტიდან.

პროფესიით პაპაშა აგრძონომია და ჩინებულად ესმის სოფლის მეურნეობა, მაგრამ, მოსძულდა თურმე სოფლის ტალახის ზელა და, როგორც კი ერთ კოლმეურნეობაში საქმე ჩააფლავა, დაპკრა ფეხი და ქალაქში გამოიქცა. ეშმაქმა უწყის, როგორ, რა მანქანებით მოახერხა მანიდენა საწარმოს ხელში ჩაგდება. მას წარმოლგენაც არა აქვს იმაზე, რასაც აკეთებს და თავისი მოადგილისა და მთავარი ინჟინრის ხელების შემყურეა, თუმცა მათ ხელები ისე აქვთ შებოჭილი, რომ პაპაშას გარეშე არაფრის გაკეთება არ შეუძლიათ. ვინ იცის, ისწავლის თუ არა პაპაშა ოდესმე ქარხნის დამოუკიდებლად მართვას. ეს ერთმა ღმერთმა იცის. ასე თუ ისე, იგი ამეამად ჩვენი დირექტორია და ასე იქნება მანამდე, სანამ ყოვლისშემმუსვრელი სიკვდილი არ გამოგვაცლის ხელიდან და არ დაგვტოვებს ობლად.

პაპაშა ყოველდღიურად ჩამოივლის საამქროებს, ყველაფერში ჩაპყოფს ცხვირს, ნახავს, შეამოწმებს, მაგრამ რომ მოკლა, ხელს არაფერს

შეახებს — ჯერ ერთი, ხელის დასვრა ეზარება, მეორე და მთავარი გა-  
დამდები სნეულების, ინფექციისა ეშინია, იგი ისე წეიპად უდიდესობის,  
შეგაგონებს კატას, რომელსაც სველ მიწაზე გავლა ეზარება შემსჭმელი-  
სას პაპაშა მარტო როდია, მთელი ამაღლა ახლავს — მოადგილე, მთავარი  
ინფინერი, დაცვის უფროსი, „ოტეკის“ უფროსი, სახანძრო დაცვის უფ-  
როსი და ვინ მოსთვლის კიდევ რომელი უფროსი არა. მხოლოდ თეთრი  
ხალათის გადაცმა აკლია, თორებ ისე ზედგამოჭრილი იქნებოდა პროფე-  
სორის როლში, პროფესორისა, რომელმაც პალატების ჩამოვლა და ივა-  
დმყოფთა ჯანმრთელობის გაგება ისურვა. მას ძალიან ეზარება ლაპარა-  
კი, თუმცა, რა სათქმელია, არ იცის რაზე ილაპარაკოს და ამიტომ აღ-  
თქმამიცემულივით სდუმს. ანკი რატომ უნდა შეიწუხოს თავი, როცა მის  
მავიერ სხვები ლაპარაკობენ? იგრ თევზივით მდუმარეა და უგდებს ყურს  
ხან მთავარ ინფინერს, ხანაც განყოფილებების გამე-  
ებს. ყველა ლაპარაკობს, ყველა რაღაცას უმტკიცებს, არწმუნებს თავი-  
სებურად, თავის სფეროში ატყუებს კიდეც. იგი დუმილით აქნევს თავს,  
ყველას ყველაფერზე ეთანხმება და სჯერა მათი, რადგანაც დარწმუნებუ-  
ლია, რომ მის მოტყუებას ვერავინ გაბედავს... და მიუძღვის თავის ამა-  
ღლას ზურგზე დაწყობილი ხელებით, შებლშეკრული, თავდახრილი და  
დაბლადაშვებული სქელი ტუჩით, რომელიც წვიმაში მდგომი ბებერი  
ცხენის ჩიჩიოს მიუგავს.

პაპაშა ჩამოივლის ჯერ ერთ, მერე მეორე საამქროს და... ასე გრძე-  
ლდება ეს გაჭიანურებული მოგზაურობა, რომელიც სულ ბოლო სასაწ-  
ყობო საამქროში მოთავდება. ამასობაში გადის ნახევარი სამუშაო დღე.  
იგი კმაყოფილია იმის შეგნებით, რომ ბრწყინვალედ შეასრულა თავისი  
ვალი და მოვალეობა... მსუბუქი ოხვრითა და ასთმიანის დამახასიათებე-  
ლი წყნარი ხიხინით, ბაჭბაჭით მიღის სუფთა ხელების დასაბანად.

ყოველ საამქროს იგი თავისებურად აღიქვამს, ყოველ საამქროში  
თავისებურად იქცევა. მაგალითად, დამაზადებელში, საღაც ყველაზე  
რეტი ხმაური და ჭუჭყია, პაპაშა ისე იმანქება და ისე ჭმუხნის შუბლს,  
კაცი იფიქრებს: შეცდა და ღვინის მავიერ ძმარი გადაპკრო. სამღებრო  
საამქროში, აცეტონისა და სალებავების მძაფრი სუნით სულშეწუხებუ-  
ლი პაპაშა მძორნაყნოსებივით იფარებს ხელს ცხვირზე და ცდილობს  
რაც შეიძლება მაღე დასტოვოს, მისი თქმის არ იყოს, ეს „დაწყეველილი  
ადგილი“. იგი მხოლოდ სასაწყობოში, სულ ბოლო საამქროში მშვიდ-  
დება... .

მაშ ასე, დაიბანს პაპაშა ხელებს და სველი გაფარჩეული თითებით,  
რომელთაგან ზანტად მოწვეთავენ წყლის წვეთები, დინჯად, ხვნეშით აუ-  
ყვება კანტორის კიბეს. ამ დროს იგი საოცრად ჩამოკვავს გასაფრენად  
გამზადებულ მტაცებელ ფრინველს. შედის კაბინეტში, ჩაკეტავს კარებს,

მიუჯდება მაგიდას და... სწორედ აქ იწყება მთავარი სეირი და მიუჯდება მაგიდიცინ. ანუ დეზინფექციური განბანვა. გამოაუფლობრივ წერი შაგიდის მარცხენა ქვედა უქრას, სადაც პირადი, საიდუმლო აფოია-ქია მოთავსებული, ამოაწყობს მაგიდაზე ბამბას, სამედიცინო სპირტს და დილხანს, დილხანს იწმენდს ხელებს — ისედაც სუფთა, ქათქათა ხე-ლებს.

ჭშირად უქმე დღეებშიც ვმუშაობთ და სწორედ ესაა პაპაშას პირვე-ლი რაციონალიზატორული წინადადება. როცა შეატყობს, რომ გეგმა არ სრულდება და შეიძლება პრემიამ (რომლის აღება მას, სხვათაშორის, ძალიან უყვარს) ჩაილულის წყალი დალიოს, ეს ყოვლის შემძლე და, მისი წარმოდგენით, ღმერთისტოლი კაცი, მაშინვე ღებულობს საგანგებო ზო-მებს. ჩაიკეტება კაბინეტში და რამდენიმე წუთის შემდეგ კეცის მჭადი-ვითაა გამომცხვარი საქმაოდ ორიგინალური და ეშმაკმა უწყის, რიგით მერამდენე ბრძანება, რომელსაც ჩვენთან პაპაშას დეკრეტს ეძახიან. შემ-დეგ მბეჭდავ-მემანქანის მონდომების შედეგად ბრძანება მრავლდება და იკვრება ქარხნის ყოველ კუნცულში — დაწყებული ქარხნის შესასვლე-ლით და საზოგადოებრივი საპირფარეშოთი გათავებული. სიტყვამ მოი-ტანა და იქაც საკუთარი კაბინეტი აქვს პაპაშას, იქაც კომფორტია. მისი საპირფარეშო ჩეხური ცისფერი კაფელითაა მოპირკეობული და მასში ძეხორციელი ვერ შებედავს მისი და დამლაგებლის გარდა.

როგორც კი დამთავრდება პირველი ცვლა და მეორე ცვლა დაიწყებს მუშაობას, მთელი დღის დასვენებით გადაღლილი პაპაშა სახლში მიდის, მიდის, რათა დაისვენოს, მოიკრიბოს ახალი ენერგია, რომ მეორე დილით, დასვენებული კვლავ ადრე მოვიდეს და ჩაუსაფრდეს მორიგ მსხვერპლს ქარხნის შესასვლელთან.

იმ თვის ბოლოს ჩვენი საამქროს მოწმენდილ ცაზე საავდრო ღრუბ-ლებმა მოიყარეს თავი და მეხიც გავარდა. იმ თვის გეგმა ვერ შევასრუ-ლეთ და ყველამ ყურები ჩამოყარა. ვიცოდით, რასაც ნიშნავდა ეს. იშო-ვა პაპაშამ სალაპარაკო და სამაგიეროს გადახდის ღროც დაუდგა. ბაბუ-ლი გამოიძახა. ბაბული დირექტორმა გამოიძახა, მაშინვე მთელს საამ-ქროს მოედო ეს ამბავი და მსჯელობისა და კამათის საგნად გადაიქცა.

ნახევარი საამქრო შესვენებაზე არ წასულა. ზურია გვერდით მოგ-ვიჯდა მე და გენადის, კომბინეზონის სახელო დაიკაპიშა და თქვა:

— ბაბულის არაფერი აკიდონ, თორემ...

— აბა რავა, კაცო! — მაშინვე ბანი დააწია სანდრომ, რომელიც ისეთი კაცია, საკუთარი აზრის გამოთქმა არ შეუძლია და შეუძლია ყვე-ლას ყველაფერში დაეთანხმოს.

გენადიმ, ჩვენი საამქროს ყველაზე მოწინავე მუშამ, რომელსაც გარ-

დირობას ვეძანით, დამთქნარა, ხელი მუხლზე დაიბერტყა და — ასეა, ძმაო, ყველას უნდა ეფერო, თავზე ხელი გადაუსვა და მეს: შენზე კარგი, შენზე ჭევიანი არავინააო — მერე ჯიბეზე მოიფათურეთ ჩემი კარგი სიგარეტს ეძებდა და მივაწოდე. თავის დაქნევით, უსიტყვოლდ გადაძიხადა მაღლობა, მოუკიდა და მითხრა:

— შენც კარგი ვინმე ხარ, აი!

— ახლა მე მომდევი? — გამიკვირდა მე. — რას მერჩი?

— იმას გერჩი, შე ლენქო, რომ სიმართლე ილაპარაკო! ვის სჭირდება შენი ტყუილი? მეც ქე ვიყავი კომკავშირელი, მაგრამ ტყუილს არ ვამბობდი.

— ახლა რა ჭანდაბამ გამოგათაყვანა, აბა! — მოულოდნელად ჰკითხაზურიამ და უტრიტრად მიაჩერდა.

— რაო! — შუბლი შეიკრა ვენადიმ. — ვის უბედავ თუ იცი... რა როშავ?

— ეი არ ვროშავ, სიმართლეს გეუბნები. შე კარ კაცო, რომ დაიწყება-ბუქი და ყურები გამოგვიჭედე თავის ქებით, ახლა რა ცოდვა დაგემართა? პარტიული ხომ ხარ შენ?

— ვარ, მერე რა იყო!

— რადა შენ, პარტიულს, არ გეკუთვნის სიმართლის თქმა თუ რაშია საქმე?

გენადი უხერხულად შეიშმუშნა, ხელები გაშალა და თავი ჩაქინდრა: — სწორი ხარ, შენ სწორი! — თქვა ბოლოს. — მეც ვარ მართალი, თორმეტი წელია მატყუებენ, მპირდებიან ბინას, მე კი ვითმენ და არაფერს ვამბობ.

მერე თითქოს სათქმელი შემოგველიაო, კარგახანს ვდუმეართ, ბოლოს ისევ მე ვარღვევ მყუდროებას და ვამბობ:

იმ კაცმა იმდენი რამე ჩაიწერა, ალბათ, მალე გამოუყვანებენ წირვას პაპაშას.

გენადიმ მუცელზე ჩელი მოიტირა და გულიანად გადაიხარხარა, მერე, სიცილი რომ მოათავა, მხარზე დამადო ხელი და მითხრა: — ოჲ, შე სულელო, ნახერჩი გიყრია მაგ გოსროში, ნახერჩი! პაპაშაზე აღრე ბაბულის გამოუყვანენ წირვას და ის იქნება. ხომ გახსოვს, რამდენჯერ იყვნენ ასე, რამდენჯერ ჩაიწერეს. გამოვიდა რამე ამით? არაფერი!

— ყოველთვის ასე არ იქნება, — თქვა ოპტიმისტურად განწყობილ-მა ზურიამ, — ერთხელაც იქნება და მიხედავენ საქმეს, მისწვდებიან პაპაშას, მის მაგიერ კაცურ კაცს დასვამენ ვინმეს. ჩვენც გვეშველება მერე და ჩვენს ქარხანასაც.

— სანამ ეს მოხდებოდეს, ჩვენ ჩვენი დაგვემართება, — უიმედოდ ჩაიქნია ხელი გენადიმ.

ამ დროს ბაბული დავინახეთ. იგი ბარბაცით შემოვიდა სამქროში,

მარჯვენა ხელი გულზე მიედო, მარცხენათი ქუდი ეჭირა. თხელი, ვარა თმა ასწეროდა და სახე გაფითრებოდა. ჩვენ უსიტყვოდ გადაუხედულუკ-ომანეთს. ზურიამ მოიფიქრა, გაიქცა, ტაბურეტი მოიტანა ჭიშ-ჭიშულები. ბაბული დაჭდა, დაბინდული მზერა მოგვაპყრო და იყითხა: — რატომ არ მუშაობთ, ხომ დამთავრდა შესვენება? საქმეს მიხედვთ, საქმეს!

ყველანი ავდეჭით, გენადი თავზე დააღგა და ჰკითხა: — როგორ ხარ, ბიძია?

ბაბულიმ თავი გააქნია: — ახლა არა მიშავს. მოვითქვი სული ცოტა-თი. ერთი წუთია კაცი, ერთი წუთი! ისე შემომიტია ამ ოხერმა გულმა, გზაზე თუ არ წავიქცეოდი, არ მეგონა, არ შეიძლება ჩემი ანერვიულება, მაგრამ როცა ხედავ, რომ...

— ხომ ხედავ, არაფერი გამოდის მაინც და... დაანებე ბიძია თავი, დაანებე! — ურჩია გენადიმ.

ბაბულიმ უკმაყოფილოდ შეხედა, შუბლი შეჭმუხნა და წყნარად თქვა: — მე თუ ვეჩხუბები, საერთო საქმისათვის, ყველასათვის ვეჩხუბები და არა პირადი ინტერესებისათვის. მან ვერ გაიგო ეს, ვერ შეიგნო და ფიქრობს, მისი მტერი ვარ... არ იცის ამ კაცმა ქარხანა, არც მისი იცის, არც სხვისი სჯერა და აწყობილი საქმე უკულმა წაიყვანა... აბა, საქმეს მიხედეთ, საქმეს!

გენადიმ რაღაცნაირად ჩაიცინა, შებრუნდა და ზლაზვნით წავიდა თავისი დაზგისაკენ. წავიღნენ სხვებიც და დავრჩი მხოლოდ მე. ბაბულიმ შემხედა. ერთხანს დაკვირვებით მიცეროდა და ტუჩებს აცმაცუნებდა. მერე იყითხა: — შენ რას უდგეხარ?

ერთხელ კიდევ შევხედე ტაბურეტზე ჩამომჯდარ ბერიკაცს, რომელიც მოკუნტული იჯდა და მიწას ჩასხერებოდა. წავედი. რამდენიმე წუთის შემდეგ, როცა მოვიხედე, ტაბურეტზე არავინ იჯდა. ამდგარიყო და უხმოდ წასულიყო. ვინ იცის, რას ფიქრობდა, რა უჭირდა. იქნება გამხნევება სჭირდებოდა. ის ხომ მარტო იყო თავის წუხილთან, ისე მარტო, როგორც სიკვდილის პირისპირ რჩებიან ადამიანები მარტო...

(გაგრძელება იქნება)

\* \* \*

ამოდის ჩუმად ჩუქურთმის ლურწი,  
დღეებს დღეების ბდლვიალი ბუგრავს ...  
სულს იქით რაა, — და ისიც გეწვის,  
ვიღაც სალამურს იმგვარად უკრავს.

ამ ჰანგს, ამ ბანგვას, ამ სულის თაველს,  
არ უნდა ვისმე გამოსარჩება,  
ისევე მოვლენ... ისევე წავლენ...  
მშობლიური კი მარადის რჩება

და სანამ ძველ სისხლს ასე აბრუებ  
და პირში სული სანამდის მიდგას,  
შემომაბრუნე და მიმაბრუნე  
საითაც გინდა და როგორც გინდა.

## გემვაბს სალამი

ჩრდილი დაეცა, ჩრდილი ქვაფენილს,  
ქარმა ფოთლების წამაქროლა ქარვა,  
აღარც იქ დარჩა, აღარც აქ დარჩა  
აღარაფერი

პორტის ფორტები დაისაკუთრა ქარმა.  
მზე მეძალება სიბრძნის თაველით,  
ჩემი სამყაროს ეს თავმომწონე პრინცი,  
დინჯი პალმების ყრუდღაბინდული დვას  
ტალავერი,

შიგ დრო სეირნობს და პაემანზე მიცდის:  
ჩემი გლოვის თუ ლხინის სავანე  
ზღვას გარინდებულს, ზღვას ნაფოტივით  
აწევს,  
ჰვირფას განძებით ხალხთან მიმავალ  
გემებს სალამი  
— ჩემი ეჭვი და არდაფასება განძებს.

რა საჭიროა?..

როცა მოლზე ცვარი ცრიალებს,  
როს თეთრი თქვარი ჩიტს ნისკარტზეც  
მოჰბანს ჭრილობას,

წვიმა მწივანი, ცვალებადი და ნაცრიანი  
რა საჭირო!

რა საჭიროა?..

როცა ტბის მყერდს მთვარუ მცსტობავს,  
გეღი მიცურავს ისე ნაზად, როგორც პირობა,  
ლოდების ბოდვა, ბუნიობა და წყალდიდობა  
რა საჭირო!

რა საჭიროა?..

როცა ლოცვად ამოდის სული,  
ლაციცი ხორცთან, უმწეობა, სჯა და ცილობა,  
ვეღრება ნაზი, გამომზრალი და გაძარცული  
რა საჭირო!

რა საჭიროა?..

როცა წამი წვალებით გარბის,  
როს შეშლილ სხეულს შეეპარვის ჩუმი ჩიობა,  
ალერსი ყალბი, ტუჩი ყალბი, მკლავები ყალბა  
რა საჭირო!

რა საჭიროა?..

როცა ნათლად და არა ბუნდათ  
კვნესის სხეულში შეხიზნული სულის მწირობა,  
ქალის თამაში, სიყვარულის თამაში თუნდაც  
რა საჭირო!

ათასი მზე და ყვავილები კვდება თვალებში...

ჩემი სიცოცხლე ვისთვის ჭორი, ვისთვის ჭრილობა,  
გემუდარები, უშენობით და შენს გარეშე

რა საჭიროა?!

რა საჭიროა?!

## დ ა ბ ო რ ჯ ი ლ ი

უცნაურ ველზე ვარ გახიზნული,  
ჭურღულებს ჩიტი და სევდას მპარავს,  
მარტოსულობის სინაზე სრული,

მზის და ქარების თმით გამოწნული,  
 საყვარელ ხილვებს გადაეფარა.  
 გათავდა, მორჩა... გათავდა, მორჩა...  
 ხსოვნა ძვირფასი ხმების თუ სახის,  
 ოჯ, მარადისი ხურვებით მბორგავს,  
 ქნარი, — რომელიც მიჰყვება ღროჟამს,  
 და ყურს არ უგდებს ბრიყვების ძახილს.  
 ასეთ ასაკში თამაშიც უყვართ,  
 შემობრუნება ყმაშვილურ სენის,  
 მე კი დღეების სირბილზე ვწუხვარ,  
 როს ყვავილები ყვავიან უხვად  
 და ახლოვდება ცა ფოთოლცვენის.  
 თუმცა შორია შუადღის ჩრდილი  
 და სულს პირველი ცრემლები ათრობს,  
 ბედნერების სილრმეში ვტირი,  
 მხრებზე მეხება შენდობა ფრთხილი,  
 შენი უბადლო იმედის პატრონს.  
 იმედი, — ჩემი ყოფნის ბეთლემი,  
 გაჯერებული საწუთროს სევდით,  
 არის ვიღაცა, — არ ვემეტები,  
 იყო ვიღაცა, — და მეც ვპერდები,  
 შენ! — სიყვარულო რა გინდა მეტი.  
 ოჯ, მოსჩანს, — ქარში სისხლივით მოსჩანს,  
 ქნარის და ფარის განგაში მარტო,  
 მეგონა, ყველა თამაში მორჩა,  
 მეგონა, გულმა დახარა ღროშა,  
 მეგონა, მხოლოდ წესისთვის მართობ.  
 ასეთ ასაკში დანდობა უყვართ,  
 ასეთ ასაკში ძნელია ენდო,  
 მაგრამ გულია ღროსავით უხვი,  
 ზოგჯერ სიჩუმეც არაფრად ულირს,  
 ზოგჯერ თანაბრად, ღირსეულს, ულირს,  
 სწყალობს და, — უნდა მზესავით ენთოს.  
 რა დარჩა?! ერთი სამხრობის ველი,  
 ველი, წყნარად რომ მიჰყვრია ტყესა,  
 ო, იყავ, ასე გაურკვეველი,  
 იღუმალებით მოსილი ფერი,  
 დაფნა და ჭვარცმა მიუგებელი,  
 რაც გააგრძელებს სიმღერას ჩემსას.

## ჩემი საღამი პომუნისტური!

დიდი სალაში გულის მიგებით,  
 სალაში, რწმენა და მოქრძალება, —  
 ვინც ასეულებს ჩაის რიგების  
 მიუხდა მებრძოლ ამორძალებად  
 და მიარღვია ტალღა ტერასთა  
 და არა ოდენ ფონი მისტოპა,  
 სიყვარულსა და ვარსკვლავს გადასწვდა  
 და ისახელა კომუნისტობა!  
 სალაში ჩემი, შენი და მისი,  
 გულის ძალა და დიდი პატივი, —  
 ვინაც ეგრისის, ვინაც ფაზისის  
 კართან მომდგარი არგონავტივით  
 კოლხეთისაკენ იბრუნა პირი,  
 რომ მწვანე ტბორთა დასცეს კედელი.  
 დღეს ვხედავ, ვინც ხვალ იქნება გმირი,  
 ბაღის სურნელის მიმომფენელი —  
 ლეგენდების და ზღაპრების მიწის,  
 სუფთა გონების თვალით სანახით,  
 კომუნისტური სიტყვით და ფიცით,  
 მხოლოდ საკუთარ გულის კარნახით!  
 სალაში გულის გულზე შემოხლით  
 ზღაპრულ ინგურის პლატოს არწივებს.  
 ამ გასამზირში რაფი შემოხველ  
 ის ურუანტელიც გაინაშილე,  
 ჩომელიც მოაქვს შემქმნელს და შექმნილს,  
 ზღაპრულს და ნამდვილს ერთ ხელზე იტევს.  
 რაც ხვალ იქნება ჩემთვის თუ შენთვის —  
 დღეს აჩხრიალებს იმ მარგალიტებს;

შემოაბრუნა ის დიდი დღენი,  
მომავლის წლები რომ გადასცურა,  
აშენებს — შვენის,  
უყვარს და — შვენის  
კომუნისტურად და თავკაცურად,  
და ამიტომაც ვაზის ცრემლივით  
გულის ნაეური ჩემი სალამი, —  
ვინაც სიმართლის ალმას-ცელივით  
სიმახინჯენი თავნამალავი  
დასხეპა ათას ჯანდაბას იქით  
და დაამსხვრია სარკენი მრუდე,  
რომ კომუნისტის გულით და ხელით  
დიდი მომავლის აიღოს ზღუდე!

### ს პ პ პ რ თ ვ ე ლ ო

ვარ უძლეველი შენი დიდებით —  
ქვეყანას მზედ რომ გადაუარა,  
ვერ გაჩნდებოდა ქვეყნად მითები,  
შენი წარსული ხვედრი თუ არა..

მე ვარ ამაყი შენი დიდებით —  
დე, უკვდავებამ დაათარიღოს.  
ვერ გააჩენდნენ შვილებს დედები,  
შენი ჩახახა მზე რომ არ იყოს!



## ამისან შეავაშიძე

### მატერებელი

სალამოს რეა საათსა და ოცდახუთ წუთზე საღგურ ადლერის რადიოში მგზავრებს აუწყა, რომ ადლერ-კიევის მატარებელში ჩასხდომა დაიწყო. მგზავრებმა მატარებლის ვაგონებს მიაშურეს. რბილი ვაგონის ერთ-ერთი კუპეს ვიწრო კარებში ოთხი მგზავრი მთელი ბარგი-ბარხანით გაეჩნირა დერეფანსა და კარებს შუა...

— ფრთხილად, — წამოიძახა ერთმა მათგანმა, — ადამიანი ხართ თუ დათვი?

— ენას რომ კბილს დაჟერდეთ, უკეთესი იქნება! — შეუღრინა მეორემ.

— ჰკუა თქვენი ოჯახის წევრებს ასწავლეთ! — ისევ შემოუტია პირველმა.

— აქეთ რას მოიქაჩები, ეს ხომ ჩემი ადგილია, — იყვირა ვესამე მგზავრმა.

— რას მიქვია, მოიქაჩები?! ჩემს ადგილს ვიყავებ. — გაბრაზებით უპასუხა მეოთხე მგზავრმა და მრისხანე თვალებით გადახედა მესამე მგზავრს.

— თქვენი თუა, ვინ გართმევთ. თვალებს რას მიბრიალებთ... უყურეთ ერთი! ბევრი გვინახავს თქვენისთანები!

— ეშმაკმა იცის, რა ხალხია.

— დამანახეთ, რომელი ანგელოზი ამბობს ამას?

ბოლოს, როგორც იქნა ყველამ მონახა თავისი ადგილი. კუპეში სიჩუმე ჩამოვარდა. ჯერ ერთმანეთს გადახედეს, მერე კი ცდილობდნენ თვალი აერიდებიათ ერთმანეთისათვის. ბოლოს ერთმა მათგანმა ველარ გაუ-

ძლო დაბატულ სიჩუმეს და ხმამაღლა განაცხადა:

— ასე ყოვლად შეუძლებელია... ალბათ ჩვენ ერთად ვიმზავრებთ კიევამდე. ურიონ არ იქნება, ერთმანეთი გავიცნოთ, მე ჩვენი აუკუნული არტისტი ალექსეი ნიკოლაევის კონდრატენკო გახლავართ.

შემდეგით გადასახლება

— სასიამოვნოა! — ერთხმად წამოიძახა ყველამ.

— მე კიევმდე... ნიკოლაი ივანოვის კურდიუკოვი, — ჩვენი ლიმონა-თის ქარხნის მთავარი ბუღალტერი.

— სასიამოვნოა! — ისევ ერთხმად წამოიძახა ყველამ.

— მე გილელსი ვარ, ბორის აბრამოვიჩი, გილელსი.

— ჩვენი გილელსი? ემილ გილელსი!? — ალტაცებით წამოიძახა კონდრატენკომ.

— არა, ექ्सპედიტორი, ეგრეთწოდებული „ტოლკაჩი“, უფრო სწორად კი ინუინერი... მეც კიევმდე.

— სასიამოვნოა! — ისევ ერთხმად წამოიძახა ყველამ და უცებ სიჩუ-მე ჩამოვარდა. მეოთხე მგზავრი, სასიამოვნო გარეგნობის ახალგაზრდა, ჩაფიქრებული იჯდა და ორცა ყველა მას მიატენერდა, მიხვდა, რომ მისი ჭერიც დადგა.

— მე ბათუმის მანქანათსაშენი ქარხნიდან ვარ, ანზორ ცანავა. მეც კი-ევში შივეგზავრები. იქედან კი ტრუსკოვეცში შივლივარ სამუშალოდ.

— საკვირველია, კურორტების ქვეყნიდან სხვა კურორტზე! — გაიკ-ვირვა კონდრატენკომ.

— მაგრამ კურორტები სხვადასხვა გვარისა და სხვადასხვა აღგილშე მდებარეობს, — უპასუხა ანზორმა.

— თუმცა სწორია, „ყველა მიწას არ ძალუდს ყოველგვარი მცენარის აღმოცენება“ — დაუდასტურა კონდრატენკომ.

— თქვენ ხშირად მინახიხართ თბილისში. — თბილისელი ბრძანდე-ბით? — შეეკითხა ანზორი გილელსს.

— არა, თბილისელი არა ვარ. ისე კი თბილისის ხშირი სტუმარი გა-ხლავართ.

— ომ, როგორ ცხელა. — ამოიხვენეშა კონდრატენკომ და ცხვირსახო-ცით მოიწმინდა ოფლი პირისახეზე.

— აფრიკაა, ნამდვილი აფრიკა. — დაუდასტურა კურდიუკოვმა.

— ჩვენს მატარებელს ვაგონრესტორანი უნდა ახლდეს და ალბათ იქ იქნება გამაგრილებელი სასმელები.

— კი, როგორ არა, რესტორანი „არაგვი“. — გაეხუმრა კონდრატენ-კო ანზორს.

— ვიშ, რა კარგი სურვილი გქონიათ — „არაგვი“. — თითქმის დამ-ცინავად წარმოთქვა გამყოლმა ქალმა, რომელიც მოულოდნელად გამოჩ-ნდა კუპეს ღია კარებში.

— მალე გაიღება? — იკითხა ანზორმა.



- რა?
- რესტორანი.
- ხვალ დილით. — უპასუხა გამყოლმა ქილმა.
- რატომ ხვალ დილით? — ჩაერთო საუბარში კონდრატენკო.
- რატომ და იმიტომ.
- მაინც რას ნიშნავს „იმიტომ“.
- იმიტომ, რომ წესით უფრო ადრე არ შეიძლება.
- როგორ თუ არ შეიძლება? — გაბრაზდა კონდრატენკო.
- არ შეიძლება და მორჩია. — უფრო მეტად გაწიწმატდა გამყოლი ქალი, — მიბორეთ ბილეთები.
- მგზავრებმა ხმის ამოუღებლად ჩააბარეს სამგზავრო ბილეთები.
- რატომ არ არის მაგიდის ნათურა? — გაუბედავად იკითხა ანზორმა.
- წესით არ შეიძლება. — მკაცრად მოუჭრა გამყოლმა და კუპედან გავიდა.
- „უმაღლესი კანონიერება უმაღლესი უკანონობაა. დიდი უფლება უდიდესი უსამართლობაა“ — ცერი თითო მაღლა ასწია და ისე წარმოთქვა კონდრატენკომ.
- ვინ მისცა მას ასეთი უფლება! — აღშფოთებით წამოიძახა გილერესმა.

- ალბათ მისმა უმაღლესმა ხელმძღვანელმა მმართველობაშ.
- ეს მათი უმაღლესი მმართველობა საჭიროა უმაღლესი ხარისხის გინებით შეამკო, რომ მგზავრებს ადამიანებად თვლილნენ და ასე უსინდისოდ არ აწვალებდნენ.
- აი, შეხედეთ, არც გვერდითი ნათურაა წესრიგში.
- ჩემიც ჩამტვრეულია.
- კონდრატენკომ კუპედან თავი გაყო და გამყოლს გასძახა.
- ამხანაგო კონდუქტორო, ლოგინის კომპლექტი მოვვიტანე.
- თქვენ რა, ხელები გაგიხმათ? თქვენ თვითონ წაიღეთ, ვერ ხედავთ შე ერთი ვარ. — შემოუტრინა კონდუქტორმა.

— ჩევნ სრულებითაც არ გვეხება, თქვენ ერთი ბრძანდებით თუ ასი. გარდა ამისა, ვაგონი ვერმეტულად არის დახურული, ვერტილატორი კი არ მუშაობს. რა არის ეს — სამგზავრო ვაგონია თუ სულსახუთავი?!

კუპეში კონდუქტორი ქალი შემოვიდა, ლოგინის კომპლექტები შემოიტანა და თითქმის ბრძანების კილოთი მიმართა მგზავრებს:

- თქვენგან თითო მანეთი!
- თქვენგან კი საჩივრის წიგნი. — შეუტია კონდრატენკომ.
- ვერ მოგართვეს. არა მაქვს, პრიგადირთანაა... შეხედავ, თითქოს ნორმალური აჯამიანებია, რბილი ვაგონით დაბრძანდებიან, სინამდვილეში კი...

ამ დროს დერეფნიდან ვიღაცის ხმა მოისმა: „კონდუქტორო, ჩაი მა-

ლე იქნება?“ კონდრატენჯომ კუპედან თავი გაჰყო და ხმამაღლა გასცია: — ჩაი ჩვენს ვაგონში წესით აკრძალულია. და საერთოდ, რომ როგორ ჩაია?

— სწორია, ასე გვიან ჩაი ვის გაუგონია! წესით არ შეიძლება. — თითოეული ბეჭედი დაუსვაო კონდუქტორმა. ნორმალურ ადამიანებს ასეთ დროს სძინავთ, ღამე მშვიდობისა. — დამრიგებლური ტონით წარმოოქვა კონდუქტორმა, კუპეს კარები მიხურა და წავიდა. ანზორი გაკვირვებული უცქერდა კარებს და თან აღშფოთებით ამბობდა:

— რას მიპქარავს ეს დედაქაცი, ჯერ ათი საათიც არ არის.

რას იზამ, რაკი წესით არ შეიძლება, ესე იგი, არ შეიძლება. — თითოეული ანზორის დაწყნარება უნდაო, ისე წარმოოქვა გილელსმა.

— ვიცოდი, რომ ასე დამთავრდებოდა. — აწუწუნდა კურდიუკოვი. — რესტორანი დილამდე არ გაიღება. ახლა კი, დაწეჭი მშეერი კუჭით. მთელი ღამე უნდა ვიწვალო. ვიცი, უვახშმოდ ვერ დავიძინებ. მეგონა, ჩაის მაინც დავლევდი, მაგრამ...

— არა უშავს, ხვალ ორმაგად ავინაზლაურებთ. — ახლა კურდიუკოვის დაწყნარება მოინდომა გილელსმა.

— დღევანდელი კვერცხი ხვალინდელ ქათამს მირჩევნია. — თითოეული ისუმრაო კონდრატენჯომ და კურდიუკოვს ლიმილით გადახედა, მაგრამ კურდიუკოვი ხუმრობის ხასიათზე არ იყო.

— ყველაფერი თქვენი ბრალია, ამხანაგო არტისტო, ძვირად დაგვი-ჭდა თქვენი უადგილო ხუმრობა. თქვენ გააბრაზეთ ჩვენი ქალბატონი კონდუქტორი. და აი, დავტრით უვენტილაციოდ, უჩაოდ, უ...

— რას ნიშნავს „ამხანაგი არტისტი“! — სიტყვა შეაწყვეტინა კონდრატენჯომ, ჩვენ უკვე გავეცანით ერთმანეთს და თქვენ კარგად იცით ჩემი სახელი და მამის სახელი, ამხანაგო ბუღალტერო!

— აა, თქვენ ისევ დაიწყეთ, თქვენ ისევ...

— რა დავიწყე, რა!

— რატომ ბრაზობთ? ჭკვიან ადამიანად მიმაჩნდით, თქვენ კი...

— თქვენ კი, გირჩევთ, ეცადოთ, იმათზე უჭირულ არ ჩაგოვალონ, ვისაც ჭკვიანად თვლიან. მერწმუნეთ, ეს ფრიად სასარგებლოა.

— თავი დამანებე, ადამიანო, მე ჩემი უბედურება მეყოფა. მთელი დღე ბილეთის ძებნას მოვუნდი და ხეირიანად არ მისადილია.

— მერე და ამიტომ იქლავთ თავს, ახლავე ყველაფერი იქნება, მეგობრებო! — მხიარულად წამოიძახა ანზორმა და ჯერ კალათას დაავლო ხელი, მერე ჩემოდანი გახსნა და ამოალაგა საჭმელები.

— ოო, ქათამი, ყველი...

— მოხარული ხორცი... მთელი ბეჭია, ქვეყანას ეყოფა...

— ძეხვები, ძეხვები!

აღტაცებით იძახდნენ ანზორის თანამგზავრები და გემრიელი ვახშმის



მოლოდინში ნერწყვს ყლაპავდნენ.

— ეს ძევვები არ არის, კუპატებია... ეს ხაჭაპურია, ეს კივარა რამა ჩემოდნიდან კონიაკი ამოიღო, — ეს კი, — მაგიდაზე დიჭირ შელრიბილი ბოთლი დადგა, — ღვინოა, ნამდვილი კახური ღვინო.

— ოო, მდიდრულად ცხოვრობთ, ახალგაზრდავ. — უნებურად წამოცდა კურდიუკოვს.

— შურიანი ყოფილხართ!

— ახლა კამათის დრო არ არის, უმჯობესია, საქმეს შევუდგეთ. — ანზორის თანამგზავრები სწორედ ამ სიტყვებს ელოდნენ და მათი თითები კალიასავით შეესია მაგიდაზე დაწყობილ ხორავს. ანზორმა ჭიქები კონიაკით შეავსო, თავისი ჭიქა მაღლა ასწია და სადღეგრძელო წარმოთქვა. — შევსვათ ჩეენი გაცნობისა და ჩვენი კეთილი მგზავრობისა.

თანამგზავრებმა ჭიქები ერთმანეთს მიუჭახუნეს და უსიტყვოდ შესვეს კონიაკი.

— ოო, როგორი კონიაკია! ალბათ ციდან ჩამოცვენილი ყველა ვარსკვლავი ამ ბოთლშია ჩავარდნილი, — თქვა კონდრატენკომ და ჭიქაში დარჩენილი კონიაკი ბოლომდე შესვა.

— რა გემრიელია! — ძლივს გაღმოაგდო ორიოდე სიტყვა კურდიუკოვმა კუპატით სავსე პირიდან.

— აი, ვახშამი, ეს მართლაც რომ მესმის, ნამდვილად მეფურია. — თქვა და გილელსმა შემფისებლის თვალით გადახედა სუფრას.

— კარგი სასმელი გაგამხიარულებს, კარგი სიტყვა დაგამიედებს, გონებას გაგიხსნის. — ლოზუნგივით წამოისროლა კონდრატენკომ.

— თქვენ ყოველთვის მოვდით რაღაც აზრები.

კონდრატენკოს არ ეჭაშნია კურდიუკოვის ნათქვამი, მაგრამ მაინც ღიმილით გადახედა, ფეხზე წარმოდგა და მაღლაფარდოვნად წარმოსთქვა:

— „მე ვაზროვნებ, მაშასადამე — ვარსებობ“. რენე დეკარტი.

ანზორმა სიმღერა წამოიწყო. მას დანარჩენებიც აჰყვნენ.

— კარგი სიმღერაა. — დაადასტურა გილელსმა.

კომპოზიტორი რევაზ ლალიძე, ტებასტიი... პო, ტებასტიის ავტორი აღარ მახსოვს. — თქვა და თავი ჩაღუნა დამარცხებულმა კონდრატენკომ. კუპეში კონდუქტორი ქალი გამოჩნდა, მარჯვენა ხელი შუბლზე შემოირტყა და სასოწარკვეთილებით წარმოსთქვა:

— მგზავრები კი არა, ღმერთმა იცის რა ხალხია! ფილარმონია! ნუ-თუ თქვენამდე ვერ მოალწია კანონმა, რომ ასეთ დროს, და ისიც მატარებელში, სიმღერა ნებადართული არ არის! გვსმით, აკრძალულია, წესით არ შეიძლება. მგზავრებს მაინც ეცით პატივი.

— მგზავრებს! ჩვენს გარდა კიდევ რამდენი მგზავრია ვაგონში? — იკითხა გილელსმა.



საქართველო

— თქვენ და... კიდევ ორი მგზავრი.  
— რას აკეთებენ, სძინავთ თუ...  
— მღრღიან.

— სწორად იქცევიან, იმღერონ, მეც ვმღერი, მეც ადამიანი ფუჭალიშვილ  
არაფერი ადამიანური ჩემთვის უცხო არ არის.  
— მარჯსი! — წამოიძხა გილელსმა.

— ტერენცი!.. — შეუსწორა კონდრატენკომ და სიმღერა წამოიწყო.  
— ერთი თქვენც, — ხელი ჩიაქნია კონდუქტორმა ქალმა, თავისი  
წკრიალა ხმა ააყოლა კონდრატენკოს სიმღერას და კუპედან გვიდა.

თითქოს წინასწარ მოლაპარაკებული იყვნენ — ყველას ერთდროუ-  
ლად გაეღვიძა. პირი დაიბანეს. ყველამ შეხმატკბილებულად დაიწყო  
ცხვირის დაცემინება. ოთხივე მგზავრი ერთნაირად გაცეებულიყო. ეტყო-  
ბოდა, ვენტილატორი კონდუქტორმა შუალამით ჩართო და გვიან დილამ-  
დე არ გამოურთავს.

— თუ ღმერთი გწამო, გამორთეთ ვენტილატორი, ფილტვების ანთე-  
ბა არ დაგვემართოს! — შეწუხდა კონდრატენკო.

— მგონი დაგვემართა კიდეც, — დაუმატა კურდიუკოვამა. ანზორი  
მაღლა აცოცდა და ვენტილატორი გამორთო. კონდრატენკო დერეფანში  
ფანჯარასთან იდგა, სიგარეტს აბოლებდა და თითქოს დიდი რამ აღმოეჩი-  
ნოს, თანამგზავრებს. შეეკითხა: — შეამჩნიეთ თუ არა, რომ ვაგონში  
ჩვენს მეტი არც ერთი მგზავრი არ არის? ყოფილან ორნი, მაგრამ ისინი  
შუალამით ჩასულან რომელიღაც სადგურში.

— ხედავთ, ვაგონი თითქმის ცარიელია, მე კი ბილეთი ინტურისტის  
თანამშრომლების დახმარებით ვიშოვე.

— ჩემს ამბავს არ იტყვით? მთელი დღე ბილეთისთვის დავრბოდი.  
ბოლოს, როგორც იქნა, ფილარმონიის აღმინისტრატორმა მომიხერხა.

— მე კი, როცა ვერაფერს ვერ გავხდი, საღილობის დროს ვაგზლის  
რესტორანში ხმამაღლი დავუშვე გინება რკინიგზის სეჟ უწესო წესს. ხა-  
ლი შემომეხვია, დაწყნარდით, ნერვებს ნუ იშლითო, და სულ ცოტა ხან-  
ში რესტორანის მებუფეტე ქალმა ბილეთი მომიჩნენია.

— ოო, თქვენ, როგორც ვხედავ, ბეღმა გაგიღიმათ, მე კი, მთელი  
დღე სალაროსთან გავატარე, მაგრამ თქვენც არ მომიქვდეთ, არაფერი გა-  
მოვიდა, არც ერთი ბილეთი არ გაიყიდა ჩვენს მატარებელზე. ჩემს ბედ-  
ზე ვიღაც მოვიდა, ბილეთის ჩაბარება უნდოდა, მე შევისყიდე. და, რო-  
გორც ხედავთ, უკვე სრულუფლებიანი მგზავრი ვარ.

— არ გებატიებათ, თქვენ ხომ „ტოლკაჩი“ ხართ.  
— საძაგლობაა, ვაგონი თითქმის ცარიელია, ბილეთს კი ვერ იშვიო.  
რა გაძოვიდა. უთავბოლო მუშაქების უგრეგილო მუშაობის გამო სახელ-  
შწიფოც ზარალობს და მგზავრებსაც აწვალებენ.

— ნეტავი როდის მოეღება ამას ბოლო?



კაშათობლენენ, ღელავდნენ, ბრაზობლენ მეათე ვაგონის მგზავრების  
უცებ ერთმა მათგანმა ხმამალლა წამოიძახა:

— მატარებელმა სიჩქარეს უკლო. ეტყობა, აქ დიღი სადგურის მიმდევათ  
ალბათ დიღხანს გავჩერდებით.

— კი, — დაუმატა გილელსმა, — ახლა სადგური კავკაზსკაია იქნება. სა-  
კვირველია, სადგურს კავკაზსკაია ჰქვია, ქალაქს კი კრაპოტკინი.

— რამდენ წუთს გაჩერდება მატარებელი? — იკითხა ანზორმა.

— ათ წუთს. — უპასუხა ყოვლისმცოდნე გილელსმა.

— ოი, საზამთროები, ნესვები, მეგობრებო! — შეჰყვირა ანზორმა  
და როგორც კი გაჩერდა მატარებელი, ვაგონიდან გავარდა.

— სადგური კავკაზსკაია. ალბათ აქ ნამდვილი კავკასიური მწვადებია.

— თქვა კურდიუკოვა.

— როგორ გეკადრებათ, კავკასიურ მწვადებს აქ რა უნდა. — იმედი  
გაუცემუა კურდიუკოვს გილელსმა.

— სწორია, ნამდვილ მწვადს ადამიანი მხოლოდ თბილისში თუ ჭამს.  
კარგი აქ მხოლოდ ჭერამია და ნესვი.

— დიახ, ნესვი „კოლხოზნიკა“ . — დაუმატა კონდრატენკოს ნათ-  
ქვამს გილელსმა, — მაგრამ, რაც შეეხება მწვადს, თბილისში ნამდვილ  
მწვადს ვერც ერთ რესტორანში ვერ იგემებ. თბილისში ახლა კარგად აკე-  
თებენ „შიისა“ და „ვარენიკებს“.

— როგორ გეკადრებათ, „ვარენიკები“ პოლტავურია სანაქებო, „შიი“  
კი რიაზანული! — შეეღავა კურდიუკოვი.

— რიაზანული კერძებიდან ახლა რიაზანში არაფერი არ არის ქების  
ღირსი. ამჟამად იქ ცუდად აკეთებენ „ლიულა-ქებაბს“ — ისევ ავტორი-  
ტეტულად განაცხადა გილელსმა.

— რას ამბობთ, რას ამბობთ! — არ დაეთანხმა კურდიუკოვი, „ლიუ-  
ლა-ქებაბი“ კაცმა ბაქოში უნდა ჭამოს...

ამ დროს კუპეს კარებში ახალგაზრდა ქალი გამოჩნდა. ერთ ხელში  
ჩემოდანი ეჭირა, მეორეში კი ხელჩანთა.

— ნუთუ ყველა ადგილი დაკავებულია?! — იკითხა ქალმა.

— ჩვენს კუპეში კი, მაგრამ...

— რა, მაგრამ, ჩვენს გარდა მთელს ვაგონში ერთი მგზავრიც არ  
არის. — შეეღავა კურდიუკოვს კონდრატენკო.

— თუკი მასეა, რატომ არის ყველა კუპე ჩაკეტილი! — გაიკვირვა  
ჭალმა.

— ალბათ კონდუქტორმა დაკეტა.

— შემობრძანდით, დაიცადეთ მატარებლის წასვლამდე და კონდუქ-  
ტორიც მოვა.

— კი მაგრამ, მე უბილეთო ვარ.

— ოო, ეს უკვე ცუდია. მაგრამ არა უშავს, დაბრძანდით. კონდუქტო-

რი მოვა და ყველაფერი მოგვარდება.

უბილეთო ლამაზ ქალს სამივე თანამგზავრმა თავაზიანად უწყვეტიშოთ  
ადგილი. ამ დროს კუპეში ანზორი შემოვიდა და დიდი საზამთროს დაჭარებულს  
ვი შემოაგორა.

— დიახ, ძლიერ ცუდია, — თითქოს თავისთავს ელაპარაკებაო, ისე  
წარმოსოქვა უბილეთო ქალმა, — მაგრამ, რომ არ წავიდე, არ შეიძლება.  
ჩემი წასვლა აუცილებელი და გადაუდებელია. მთელი დღე გავატარე ბი-  
ლეთის სალაროსთან, ბილეთი მაინც ვერ ვიშოვვე. არც ერთი ბილეთი არ  
გაყიდულა. ვაგონი კი თითქმის ცარიელია. უბილეთოდ მგზავრობა, რა-  
საკვირველია, უხერხულია და არც შეიძლება, მაგრამ იძულებული ვარ,  
სხვა გზა არა მაქს. ალბათ გზაში დამეხმარებიან ბილეთის შეძენაში.

— ნუ ლელავთ, ყველაფერი მოგვარდება, დაგეხმარებით. — ამშვი-  
ლებდა უბილეთო მგზავრს კონდრატენკო.

— გმადლობთ, — მადლიერებით სავსე თვალებით გადახედა უბი-  
ლეთო ქალმა კონდრატენკოს და დასძინა — როგორ არ უნდა ვლელავდე,  
მე მხოლოდ ექვსი დღით გამათავისუფლეს, ისიც ძლიერ საპატიო მიზე-  
ზის გამო... პირველად უნდა შევხვდე ჩემს დას.

— როგორ?! — გაკვირვებით გადახედა კონდრატენკომ თანამგზა-  
რებს.

— იქნებ საზამთროს ან ნესვს მიირთმევთ? — გულუბრყვილოდ შე-  
ეკითხა ანზორი უბილეთო ქალს და დანას წავლო ხელი. — მაგრამ ან-  
ზორს არავინ გასცა არც თანხმობისა და არც უარის პასუხი.

— პირველად უნდა შეხვდეს დას?! — გაუგებარია, ძლიერ გაუგება-  
რია. — ჩურჩულებდა გაკვირვებული კონდრატენკო და გაქვავებული შე-  
სცეროდა თანამგზავრებს.

— დიახ, პირველად დიდი ხნის შემდეგ... ჩვენ ერთმანეთს დაგვაშო-  
რა ომბა. იგი მაშინ თოთხმეტი წლის იყო, მე კი რვა წლისაც არ ვიქნე-  
ბოდი. მამა ფრონტზე დაიღუპა, დედა გერმანელებმა მოჰკლეს. მე ღრმა  
ზურგში მოვხვდი. კეთილმა აღამიანებმა გამზარდეს. ინსტიტუტი დავამ-  
თავრე, ვმუშაობ და ცუდად არ ვცხოვრობ. მაგრამ ბედი, ჩემი უფრონი  
დის ბედი მუდამ მაწუხებდა. დიდხანს ვეძებდი შის კვალს... და აი, ამას  
წინათ ცნობა მივიღე...

— ცოცხალია? მონახეთ? — ყველა ერთხმად შეეკითხა.

— ცოცხალია, როსტოკში ცხოვრობს. წერილი მივწერე. ბევრი რამ  
ვაცნობე ჩემს შესახებ. დისგან კი ისეთი ამაღლვებელი წერილი მივიღე,  
რომ სიხარულისაგან ორ დღეს ვტიროდი. წერილს დეპეშაც მოაყოლა,  
ჩვეულებრივი კი არა, სასწრაფო დეპეშა, დაუყოვნებლივ ჩამოდიო. და  
აი მეც მივდივარ. კრასნოდარიდან კავკაზიკაიამდე და აქ მთელი დღე-  
ომე დავკარგე სალაროსთან, მაგრამ ბილეთი მაინც ვერ ვიშოვვე. ხელჩა-

ნთიდან ქალმა წერილები, დეპეშა და ქალალდები ამოილო და მაგიდაშე დააწყო. აგერ წერილი, ესეც დეპეშა, ეს კი ცნობაა, რომ სამსახურიდან მხოლოდ ხუთი დღით გამოშვეს. ნუთუ არ დამეხმარებიან როგორიც არის მარტინ ჩაიძე, რათა ამდენი ხნის უნახავი და ვნახო და უკან დორშე დაზღუდე?

— რასაკვირველია, დაგეხმარებით.

— სხვანაირად როგორ შეიძლება. — თითქმის ერთდროულად უპა-სუხეს გილელსმა, კონდრატენკომ და კურდიუკოვმა.

ამ დროს კუპეს კარებში კონდუქტორი ქალი გამოჩნდა. როგორც კი დაინახა კუპეში უცხო მგზავრი, თვალები გაუფართოვდა.

— აქ როგორ მოხვდით? წარმოადგინეთ ბილეთი!

— ბილეთი არა მაქვს. — გულახლილად უპასუხა მგზავრმა.

— როგორ თუ არა გაქვთ!

— სრულიად უბრალოდ, ჩაერია კონდრატენკო, — ადამიანი მთელი დღე სალაროსთან იდგა, მაგრამ არც ერთი ბილეთი არ გაუყიდიათ, ვა-გონი კი თითქმის ცარიელია.

— ნუთუ თქვენ მართლა გყოფნით გამბედაობა, დაიცვათ უბილეთო მგზავრი, ახლავე რევიზორს დაუძახებ!

— დაუძახეთ, დაუძახეთ! — შეუტია გულმოსულმა ანზორმა. — კო-ნდუქტორმა ბრაზით გადახედა ყველას და კუპედან გავიდა.

— თუ საჭიროა, გარიმას გადავიხდი და ბილეთი გამიფორმონ. ნუ-თუ გადმომსვამენ?

— ამის უფლებას არავის მივცემთ.

— აბა გაბედონ.

— ვერ გაბედავენ.

— რა თავხედია, ეს კონდუქტორი, — იმუქრებოდნენ მეექვსე კუპის მგზავრები.

ამასობაში კონდუქტორი დაბრუნდა რევიზორი ქალის თანხლებით.

— აი ეს ქალბატონია უბილეთო. ეშმაკმა იცის, როგორ მოხვდა ჩემს ვაგონში.

კონდუქტორს სიტყვა დამთავრებული არ ჰქონდა, რომ რევიზორმა ქალმა უქმებად მიმართა უბილეთო მგზავრს.

— მოქალაქევ, გვიბოძეთ თქვენი ბილეთი!

— მე უკვე განვაცხადე, რომ ბილეთი არა მაქვს. არა მაქვს იმის გამო, რომ სადგურის სალაროში ერთი ბილეთიც არ გაუყიდიათ. ჩემი წაუსვლელობა კი ყოვლად შეუძლებელია.

— ყოვლად შეუძლებელია უბილეთოდ მგზავრობა. დაგაჯარიმებთ და გადმოგსვამთ შემდეგ სადგურზე. — დაზეპირებულივით თქვა რევიზორმა მიუდგომელი და მკაცრი კაცის იერით. მგზავრი ნელა წამოდგა, რევიზორს სახეში მიაშტერდა, თვალი თვალში გაუყარა, თითქოს რაღა-

ცას იხსენებსო, ასე იდგა ერთხანს დაბნეული და გაოგნებული. წრევაზორ-  
შა ველარ გაუძლო და, გულმოსული შეექითხა:

— ასე რატომ მიყურებთ?

— მოეწონეთ, ძლიერ მოეწონეთ! — იხუმრა ანზორმა, მაგრამ არა-  
ვის ოდნავადაც არ გაულიმია. უბილეთო ქალი კი თვალს არ აშორებდა  
რევიზორს, რომელიც გაქვავებულივით იდგა.

— ნუთუ, ნუთუ?! — თითქოს თავისთვის ჩურჩულებდა უბილეთო  
მგზავრი.

— რა ნუთუ? — ძლიერ წარმოსთქვა გაბრაზებული ხმით რევიზორმა  
და თვითონაც მიაშტერდა უცნობ ქალს, მაგრამ ახლა კონდუქტორმა შე-  
უტია უბილეთოს.

— ერთი ამას დამიხედეთ. უკვირს კიდეც. ამხელა ქალი ბავშვივით  
იქცევა. ნუთუ ასეთი შეუგნებელი ხართ, რომ უბილეთოდ აპირებდით  
მგზავრობას!

— თავი დაანებეთ. იგი ბოლომდე იმგზავრებს. ბილეთს კი შემდეგ  
სადგურში შეიძენს. — თითქმის ბრძანების კილოთი წარმოსთქვა კონდრა-  
ტენკომ და უბილეთო ქალს გულთბილად გაუღიმა.

— ადამიანი უბილეთოდ მგზავრობს და თქვენ იმის ნაცვლად, რომ  
დაგვეხმაროთ, იცავთ კიდეც.

— ბოროტმოქმედია, არა, ბოროტმოქმედი! — სიტყვა შეაწყვეტინა  
კონდუქტორს მოთმიხებიდან გამოსულმა ანზორმა, — ას ამბობთ თუ  
იცით! როგორ იქცევით, ადამიანი ხართ თუ ხე!

— ენას კბილი დაჭირეთ. ბევრი გვინახავს თქვენისთანა არამკითხე-  
ები, — ისევ იფეთქა კონდუქტორმა.

— ღვთის გულისათვის, ნუ ჩხუბობთ. მე ჩავალ. დაწყნარდით. მე  
უეჭველად ჩავალ პირველსავე გაჩერებაზე, ძლიერ წარმოთქვა უბილეთო  
ქალმ, რომელსაც თვალებზე ცრემლები უბრწყინავდა.

— არსად არ ჩავალთ, ჩემი ბილეთით იმგზავრებთ, ჩემი ბილეთით,  
— ბრძანებასავით მიახალა კონდრატენკომ უბილეთო მგზავრს და მერე  
რევიზორს და კონდუქტორს მიმართა. — თქვენთვის თუ ასე სასურველია,  
მე თვითონ ჩავალ პირველსავე გაჩერებაზე, მალე იქნება?

— ხუთ წუთში სადგური ტიხორეცყაია იქნება. — აგდებულად უპა-  
სუხა კონდუქტორმა.

— ესე იგი, შევთანხმდით. კმაყოფილი ხართ?

— ჩვენთვის სულერთია, კანონიერი ბილეთით თქვენ იმგზავრებთ  
თუ ეს ქალბატონი... ბილეთზე სურათი არ არის დახატული.

კონდრატენკომ ბოლომდე არ მოისმინა კონდუქტორის სიტყვები და  
თავისი ბარგი-ბარხანის შეგროვებას შეუდგა.

— იჩქარეთ, უკვე სადგურში შევდიგართ. — ახლა უკვე თავაზიანად  
მიმართა კონდუქტორმა კონდრატენკოს და რევიზორთან ერთად კუპედან

გავიდა.

— მშვიდობით, მეგობრებო! — ღიმილით მიმართა კონდატენციამ თანამგზავრებს. — კიევში შევხდებით ერთმანეთს. ზეგ საღამოს უძრავი უკავშირის საათზე მთავარ ფოსტასთან შევიქრიბოთ — შემდეგ ქალს მოუტომუსფას — თქვენ კი კეთილი მგზავრობა. ახლა ყველაფერი წესიერად იქნება. გი-სურვებთ ბედნიერ შეხვედრას თქვენს დასთან. — ჩემოდანს ხელი დაავ-ლო და კუპედან გავიდა. მგზავრი ერთხანს გაუნდრევლად იდგა, მერე თა-ვისი ჩემოდანი იოლო, ბოდიში მოიხადა და კუპედან ისე გავარდა, თითქოს იქაურობას ცეცხლი ეკიდებოდა, მეეჭვსე კუპის თანამგზავრები ისე დაი-ბნენ, სიტყვის თქმაც ვეღარ მოასწრეს.

მატარებელი დაიძრა, თანამგზავრები ფანჯარას მიადგნენ, მაგრამ ამ დროს კუპეში აქლოშინებული კონდრატენცია შემოვარდა. თანამგზავრე-ბის გაევირვებულ თვალებს კონდრატენციომ ხმამაღლა უპასუხა.

— სულ რაღაც ათიოდე ნაბიჯით ვიყავი დაშორებული ჩვენი ვაგო-ნიდან, როცა ჩვენმა უბილეთო ქალმა გვერდით ჩამირბინა და გაიძახო-და: „არაფერი არ მინდა... თქვენი არაფერი არ მინდა!“ და ხალხს შეერია. იძულებული გახდი უკან დავბრუნებულიყავი.

— რას იზამ, თქვენ რაც შეგეძლოთ ყველაფერი გააკეთეთ, — დააწ-ყნარა გილელსმა.

— ეს რა ამბავია! — წამოიძახა ანზორმა და იატაზე დაგებულ ნო-ხე დაყრილ ქალალდებს და კონვერტებს დახედა. ერთ-ერთ კონვერტზე მისამართი ამოიკითხა: „ქ. კრასნოდარი, ლენინის ქ. 15, ბინა 17. ირინა ვლასოვნა ბესკოვას“.

— ეს წერილი თუ როსტოვიდანაა გაგზავნილი, იგი ჩვენს უბილეთო ქალს ეკუთვნის, თქვა გილელსმა.

— კი! — შესძახა ანზორმა და კონვერტზე ამოიკითხა გამგზავნის მი-სამართი: „როსტოვი, გაგარინის ქ. 30, ბინა 10, ვალენტინა ვლასოვნა რე-სკოვა“.

— ცხადია, ეს წერილი მისი დის არის — დაასკვნა კონდრატენციომ. მაგიდაზე დაყრილ ქალალდებს შორის დეპეშა, პირადობის მოწმობა და ცნობები იყო. ამ დროს დერეფანში კონდუქტორმა და რევიზორმა ჩაი-რეს და კუპეს ღია კარებთან გაჩერდნენ. კონდუქტორმა გაძმეშვევი ღიმი-ლით მიმართა მგზავრებს:

— დაწყნარდით? ხომ ხედავდით, თვითონ მიხვდა, შერცხვა და გა-იქცა.

— თქვენ კი კანონის დამრღვევს მიემხრეთ, — დაუმატა რევიზორმა. ანზორმა კუპეში აქრეფილი ქალალდები გაუწოდა და დაუმატა:

— ეს საბუთები, როგორც ეტყობა, სწორედ იმ უბილეთო ქალს და-ეკარგა, ჩაიბარეთ.

რევიზორმა ანზორს ქაღალდები ჩამოართვა და კონდუქტორს გაუწიფა  
და, ბრიგადის ჩაბარეთო.

კონდუქტორი ერთ-ერთ საბუთს დააცემარდა, უცნაურად უშუალოდ გადასახლდა  
ხელში და ხმამაღლა წაიკითხა: „კრასნოდარის მშრომელთა დეპუტატების  
საქალაქო საბჭოს სამშენებლო კანტორი, ირინა ვლასოვნა ბესკოვა. ინ-  
უინერი“. ესეც ფოტოსურათი... კი, ეს მისი ფოტოსურათია. რა ღამაზია  
და როგორ უცნაურად იქცეოდა. ოი, ვალენტინა ვლასოვნა. თურმე ისიც  
ვლასის ასული ყოფილა და ისიც ბესკოვა... ი საკვირველება!

რევიზორმა კონდუქტორს საბუთები ხელიდან გამოსტაცა, კონვერტ-  
ზე მინაწერს თვალი შეავლო თუ არა, ნალვლიანად წამოიძახა:

— ის, ის არის, ირა, იროჩია... ეს რა დამემართა? ასე უნდა შევხვე-  
დროდით ერთმანეთს? ირა, იროჩია?! ეს როგორ მომივიდა, როგორ მო-  
მივიდა... ეს რა დამემართა!

ვალენტინა ვლასოვნამ თავპირში ხელები დაიშინა და ბარბაცით გა-  
შორდა მეექვსე კუპეს. კონდრატენკომ კარებში თავი გაყო და ისე გას-  
ახა ვალენტინა ვლასოვნას:

— რა მოგივიდათ, რა დაგემართათ, ადამიანი ყველას საკუთარ და-  
სავით და საკუთარ ძმასავით უნდა უკვარდეს და ასეთი რამ არავის დაე-  
მართება!

— კარგი ნათქვამია!

— ვისი ნათქვამია?

— ეს მე ვთქვი, — ჩემი ნათქვამია! — განაცხადა კონდრატენკომ,  
თავი მაღლა ასწია და ამაყად გადახედა თანამგზავრებს.

## სიყვარულის ბარათი

მხოლოდ შენი მჯეროდა  
და ცის ლურჯი ფერის,  
ამ სიმღერას ვმღეროდი,  
ამ სიმღერას ვმღერი.

ვიძენდი თუ ვკარგავდი,  
ბოლოს შენთან მოველ.  
ბევრი რამე დავკარგე,  
ვიდრე შენ არ გპოვე.

ამ ცხოვრების ავ-კარგით  
ბევრჯერ მიგეს მახე,  
ბევრი რამე დავკარგუ,  
ვიდრე შენ არ გნახე.

სიყვარულის სასახლეს  
ლურჯი ფერი ფარავს,  
გულში გადმოგასახლე  
და დაგტოვე მარად.

კიდევ ერთი მანონი,  
კიდევ ერთი ცირა,  
სიყვარულის კანონი  
აწერება ძვირად.

კიდევ ურთი ფიქალი  
და ჩუქურთმის ყელი,  
სიყვარული იქ არი,  
ოცნება რომ მღერის.

კიდევ ერთი ფიქალი  
ეკონება ტირიფს.  
სიყვარული იქ არი,  
ოცნება რომ ტირის.

რა მალამო დავადო  
შენი გულისტკვილს,  
გული თავისთავადი  
თავისთავად ტირის.

მიმღეროდი სიმღერას,  
მიმღერეო რამე,  
ახლა არ აიმღვრევა  
შენი თეთრი ღამე.

იმ წუთებს კი დიდება,  
რომ ვიგონებ ტკბილად,  
აშ არ დაიბინდება  
შენი თეთრი ღილა.

კიდევ ერთი მანონი,  
კიდევ ერთი ცირა,  
სიყვარულის კანონი  
იწერება ძვირად.

სიყვარულის სასახლეს  
ლურჯი ფერი ფარავს,  
გულში გადმოგასახლე  
და დაგტოვე მარად.

# შ ე ს ვ ე დ რ ბ

ანა კალანდაძეს



მიმაცილებდა დედის ლოცვები,  
დედის ჭაღარა და თბილი კალთა.  
ატუზულიყო ჩემი ოცნება  
უბერებელი თბილისის კართან.

თითქოს ყველა მე მითვალთვალებდა,  
ასეთი მზერა არ მახსოვს ადრე...  
მწამს ეუცხოვა ჩემი თვალები  
მამადავითს და რუსთველის ჭიდრებს.

მეტეხთან წამით შევყოვნდი ისევ,  
მატარებელმა შეპკივლა სადღაც.  
მე მივესალმე პირველ თბილისელს  
და ქართლის დედას იცხედე მაღლა.

## მეცხვარის სიკვდილი

გარდაიცვალა მთაში მეცხვარე  
და ცხვარი მარტოდ მარტო დატოვა.  
შუალამისას გამოეცხადა,  
სიკვდილმა წუთიც ალარ აღროვა.

დილით მოვარდა თქეში და ღვარი,  
არავინ ჩანდა კაცოაგან, არა...  
ჩარაზულიყო ფარეხის კარი  
და შემაზრჩენად ბლაოდა ფარა.

## პ რ ე ზ ი ა ს

ეპოქას ჩემსას ოოგორც შეშვერას  
დასერილია სივრცე ქარგებია.  
მე შებმული მაქეს შენი ეჭვანი  
ვიცი, ვეღარსად დაგეკარგება.  
და ოოგორც მთებში ხარი ღვინია  
მივიძოვ ნაპირს და მივყუჯიალებ.  
ხან მიცრემლია,  
ხან მილენია,  
ხან მგლებს შევბმივარ კბილმოღრუიალეს.  
ვძლეულვარ სიმწრით, კაჟი და თიხა  
გადამითხრია შეშლილს ტორებით.  
მერე დაღლილი, ო, დიდხანს, დიდხანს  
ველზე ვწოლილვარ განმარტოებით.  
მაგრამ ცხოვრებას გარინდებითა  
ოოღი გავყრივარ ოოგორც ჯაბანი.  
მე სხვისი სახრე არ მიმდენიდა,  
თვითონ მიმქონდა ჩემი ჭაპანი.  
და ოოგორც ერთგულს, მე მიხაროდა  
ხენეშა იყო თუ მოწრეტა ოფლის.  
სოფელს სჭირდება ჩემი ხარობა —  
ეს რწმენა ყველა ოცნებად მყოფნის.  
და ვერ მაშინებს ხმას ოომ გეშავენ  
ღროის მჩხიბავნი და მეხარკენი.  
და მიმაქვს გზაზე შენი ეჭვანი,  
ოომლითაც ვერსად დაგეკარგება.

ჩამომივიღა სოფლიდან ძმა და  
 პატარა ოთახი ამივსო ხასიათით.  
 მე — მისთვის,  
 მას — ჩემთვის  
 ღიმილი მზად გვაჭვს,  
 ღიმილში მონატრების მეღავნდება ხვაშიაჯა.  
 ზღურბლი გადმოლახა რიდით და მოხრით,  
 კარებს ძლივს გამოსცდა ბეჭები უხურჯინოდ.  
 ფეხზე იყურება და ჩემი ნოხი  
 არ მოსწონს, სუფთააო,  
 ძმა ჩემი ოხურჯია...

ბუბუნებს — სოფელსო გაურბის ყველა,  
 თვალები ლოდინში ელლებათ გასათხოვრებს..  
 თუთუნს უკიდებს და მეწყება ხველა,  
 დგება, გადის და ჩემს წინ ასანთს ტოვებს.  
 მომძახის — დავამყენო ხეხილი უკვე,  
 მაგრამ მოიწყინეს ნაფერებ ვენახებმა,  
 ხმამაღლა აგინებს „ურჯულო“ თურქებს,  
 და მე ძველი ცოდვით გული მენაყება.  
 მერე მოცვის ლვინოს ვისხამ და ვეინჭავ,  
 ვაქებ მოხერხებას უტყუარ მთიელისას.  
 დოქი შემოგვიძერის სუფრიდან ყინჩად,  
 და ჩვენც მადა გვაწვევს ათასი მშეერისა.

\* \* \*

მე ვიცი, სახლში კენტად რომ რჩები  
 ხანდახან ჩემზეც ფიქრობ და ოხრავ.  
 მე ვიცი, მაგ გულს ვერ გადურჩები  
 და ჩემთან შენი სურვილით მოხვალ..

ვერ დაგაოქებს შიში ცხრა ძმისაც  
 რადგან სიყვარულს ძმად ჰყავს სიმართლე-  
 ავაბრიალებთ ტოტებს ატმისას



და ბნელ ლამეებს გავიჩირალდნებთ.

ასე ვიქროლებთ ცხრა მინდორს, ცხრა მთას გიგლიორისა

და შორს სიმშვიდის კარავს რომ დავცემთ, —

ავიღებ ფოთოლს და ზედ შენს ამბავს

ყველაზე ლამაზ პოემად დავწურ.

## 2020 ასათიანის ყმაშვილისა და ვერა ვერაშვილი

შ. რესთაველის სახელობის მათუმის სახელმწიფო პედა-  
გოგიური ინსტიტუტის დოკენტი, ფილოლოგის მეცნიერე-  
ბათა კანდიდატი ნელი ჭუმბაძე წლების მანძილზე სასოგით  
ინახვდა თანაურსელისა და უახლოესი მეგობრის ლადო  
ასათიანის პირად წერილებს და ლექსებს, რომლებიც პოეტის  
პიროვნებას, მის შემოქმედებით ბიოგრაფიას საინტერესო  
შტრიხებს ჰქონდება.

წერი ეურნალის მკითხველებს ვთავაზობთ ლადო ასათია-  
ნის დღემდე უცნობ ლექსებს და წერილებს ნელი დუშმაბის  
კომენტარებით.

რედ.

პოეტის პირადი მიმოწერა —  
ლექსები, დღიურები, ბარათები,  
ავსებენ წარმოდგენას ავტორზე,  
წარმოაჩენენ მას უფრო სრულ-  
ყოფილად, შექმნიან უფრო დას-  
რულებულ პირტრეტს.

ლადო ასათიანის ეპისტოლ-  
ური მემკვიდრეობა, რომელ-  
საც მკითხველს ვთავაზობთ, მო-  
იცავს სტუდენტობის ხანას, ქუ-  
თარების მისი სწავლის ოთხ წელი-  
წალს. მკითხველი აღვილად მიხ-  
ვდება, რომ ბავშვობას ახალთავ-  
დად წეული ლადო უშუალო და

გულწრფელია, რომანტიკული ნა-  
კილით ქმნის სასინჯი მხატვრული  
გამის უპირატეს ტონს. ისახება  
ლელვა-დუღილით შეპყრობილი  
ემოციონალისტი ჭაბუკი, მაგრამ  
ჩანს სხვა, საპირისპირო თვისე-  
ბაც. ახალბედა პოეტი ფხიზელი  
კონების თვალით აკვირდება სა-  
მყაროს მოვლენებს და მათი შე-  
ცნობის სწორ, ჭეშმარიტ გზას  
ეძიებს, ორი საწყისი — გრძნობა  
და გონება პარმონიულად მონაცე-  
ლეობენ ჯერ კიდევ ოც წელი-

წადს მიუღწეველ ლადო ასათიანში.

ყველაფერ ამას მნიშვნელობა აქვს არა მარტო პოეტის პორტრეტის სრულყოფისათვის, არა მედ ზენობრივი ტენდენციებითაც. სამაგალითო და გამძლეა ლადო ასათიანის პოეზის მორალურ-ეთიკური საყრდენი. უურნალში ამჯერად მოტანილი ნასალების ყველა სტრიქონი ამასვე ადასტურებს.

აქვე მინდა პატიება ვთხოვო მკითხველს წარმოდგენილ წერილებში ადრესატის ხაზგასმის გამო. ცხადია, ვისი მისამართითაც არ უნდა ყოფილიყო ისინი დაწერილი, მათში გვაინტერესებს ავტორი — ლადო ასათიანი, პოეტი და მოქალაქე, უფრო სწორად, პოეზიისა და მაღალი ადამიანობის ნათელი გზის დასაწყისში მდგარი საიმედო მგზავრი თავისი განცდებით, ფიქრით, მისწრაფებით, სიხარულით, ტკივილით. იგი სევდანარევი ჭკვიანი თვალებით აკვირდება გარემოს, ადამიანებს, შეკურობილია სამყაროს შეცნობის პირველი ციებ-ცხელებით, ებრძის სტრიქონებს „უხილავს, ფარულს; ჭერ დაუსტამბავს“, რომ ტკივილები სიმღერებით მოიშუოს, ლექსებში გაამხილოს ალალი გულისთვის. ასეთი იყო სტუდენტი ლადო ასათიანი!

ამჟამად მოგონების დაწერას არ ვაპირებ, თუმც წინასწარ ვგრძნობ, რომ არც თუ უამისობა გამოვა. ქრონოლოგიური თანმი-

მდევრობით მივყვები მხოლოდ ლადოს წერილებს, მისი ცულება/რი ცხოვრებიდან ჩემთქმული ზიარ ნაწილს, რომელიც რელიგვიად შემოვინახე.

ჩვენი სტუდენტობის პირველი წლის, 1935 წლის ნაწერებით დავკიტყებ და ჭერვერობით ამით შემოვიფარგლოთ.

ლადო ყოველთვის შთაგონებული იყო და წერდა ყველგან — ლექციაზე, თეატრში, მეცადინეობისა თუ დასვენების დროს. უყვარდა მახლობლებთან წერილებით საუბარი, როგორც თვითონ იტყოდა, „საუბარი ფურცლებით“.

იქნებ მის ავტორს აკლია იდეურ-პოლიტიკური წრთობა, ნაწერებშიც არ ჩანს პროფესიული ოსტატის ხელი, მაგრამ მათ, ამ ნაწერებს ერთი დიდი ღირსება აქვს — გულწრფელია. ამბობენ, გულწრფელობა ხელოვანის მეორე ნიჭი არისო. ლადოს ეს მეორე ნიჭიც ამშვენებდა.

ჭერ კიდევ სტუდენტობის პირველი თვეებიდანვე ლადოს მახლობელთა წრეში დაკანონდა „საუბარი ფურცლებით“. ვწერდით ერთმანეთს არა მარტო მაშინ, როცა ერთად არ ვიყავით, არამედ მაშინაც, როცა ლექციებს ვუსმენდით, ან ერთად სპექტაკლს ვნახულობდით. ეს ჩვევა შემდეგ ჩვეულებად გვექცა, რაც ნამდვილად ლადოსეულია. მისთვის, შემოქმედი ბუნებისათვის იყო დამახასიათებელი შთაბეჭდილებების ფიქსირება და ჩვენც

# ს ა მ ი ლ ე ქ ნ

უძრავი ცხადობი

ქრიზანთემები და ოთრიღი ფლიშების  
მოგავონებები წარსულის ღიმილს

ნ. ი. ა.

ჩემი სიჭაბუკის უძვირფასეს მეგობ-  
რებს, რომლებმაც მომინახეს სულიერი  
ტკივილების მაღამო (ისე თუ ისე), ვუ-  
ძღვნი ამ ლექსს.

ავტორი

მე მახარებს...

იცით? მე რა მახარებს,  
ალბათ ის, რაც ახარებდა

მახარებს.

3. ა.

I.

## ლირიკა მთვარის ციცლიდან

მე წინ მიღევს ეგ წერილი, ნელი,  
საღამოა და სიო ქრის ნელი.  
ცაჟე მთვარე არ ანთია ნელი,  
საღამოა სევდიანი, ვრცელი.  
ძნელი არის ფიქრი, დაო, ძნელი.  
მან დამგრიძა, ისე, როგორც წნელი.  
სანამ ქვეყნად იარსებდეს მთვარე  
და კაშაშა ვარსკვლავები ვრცელი,  
ეს წერილიც გაიხსენებს თვალებს,  
მეგობრობის რომ ყოფილა მცელი.  
მამა მინდა შემოგვიცო ნ. ი. ა.  
ო, რადგნენერ იგი მინატრია.

მომდევნო ლექსი „გეღის სიმ-  
ღერა“ ლექციის მსვლელობისას  
დაწერა ლადომ. მან გაიკვირვა აღ-  
რესატის ჩაცმულობა — შავი მა-  
ნტია და ლექცია რომ დამთავრ-  
და, ეს ლექსი მომაწოდა.

„გეღის სიმღერა“ გამოიჩინევა  
განწყობილებათა სწრაფი მოღუ-  
ლაციით. მაყორს ენაცვლება მი-  
ნორი, მინორი ჭარბობს, მაგრამ  
მთავარი ის არის, რომ ლექსის

აგვიყოლია.

ლექმდე ლაუსტამბავ ლადოს  
ნაწერებს ეპისტოლე ვუწოდე.  
მათში ზოგი ლექსია, ზოგი დღი-  
ური და წერილი. უცვლელად,  
სრული სანით ვსტამბავთ მათ.  
თანდართულ კომენტარს მხოლ-  
ოდ ერთი მიზანი აქვს — სტუდ-  
ენტი ლადო სწორ სარკეში წარ-  
მოვაჩინოთ. მას ხომ ყველაზე ძა-  
ლიან სიყალბე სძულდა!

ლადოს იმ ლექსს, რომელსაც  
მისგან მოწერილ პირველ ლექსს და  
ვთვლი (იგი გამონაკლისია — უთა-  
რილო), ეპიგრამად აქვს სტრი-  
ქნინი ჩემი წერილიდან. ლექსი არ  
არის სრული. მას აწერია „სამი  
ლექსი“. არის მხოლოდ ერთი აღ-  
რესატის საკუთრება. დანარჩენი  
ორი ეკუთვნოდა ლადოს მეგობარ  
ქალიშვილებს მარიამ ტრაპაიძეს  
და მარო ბარჯაძეს. თარიღიც აღ-  
ბათ ბოლო ლექსს ეწერა.

ლექსის სათაურია „ლირიკა  
მთვარის ციცლიდან“. ლადოს  
სხვაც აქვს ამ ციცლის ლექსი. ყვე-  
ლა მათგანში იგი მღერის მეგობ-  
რობაზე და პირველ სიყვარულ-  
ზე. მეგობრობა ლადოს პოეზიას  
ღასაბამისი მოტივია.

საინტერესოა ლექსის მაჯამური  
სტრიფი. ლადო ეტანებოდა შა-  
მებით წერას. მას სხვა ლექსის  
მიმართავს.

აი, ეს პირველი ლექსიც:

ლირიკული პერსონაჟი არ გამოიყერება შექმნილი ვითარებიდან თავდაუღწევლად. მას ამშვერებს ადამიანური ღირსების შენარჩუნების სურვილი და სწამს კიდეც, რომ არასოდეს არ უღალატებს კაცურქაცობას;

„და თუ არ დავრჩი  
მე ყოველთვის ადამიანი,  
გამართე შუბი,  
მესროლე და იყავ ტირანი“.

ლადო საჭუთარი თავისადმი მკაფრი მომთხოვნი იყო. არც

სხვას აპატიებდა, ხაზგასმით // ითხოვდა ზნეობრივი ღორისებებს დაცვას, ისწრაფვოდა უსარტკულო ფილი ადამიანური პოვანებულებს განმტკიცებისაკენ.

სათაური „გედის სიმღერა“ ანტიფრაზად უღერს. ლადო მხოლოდ იწყებდა სიმღერას, ფრთებს ისწორებდა და უნებლიერ ჩნდება კითხვა — რატომ „გედის სიმღერა“?! ლექსის ბოლოსაც არის ნათქვამი — ო, არ იქნება ეს სიმღერა უკანასკნელიო...

### გედის სიმღერა!

უკანასკნელად მე ამ ლექსში არ ვიმღერებდი,  
შევი მანტია მოგვევვა, გულო, მე და შენ.  
ჭოჭოხეთიდან დამიძახებს მარტვილის ბედი,  
რატომ გაუჩნდი, უბედურო, საწყალ დედაშენს.

სასახლის ბაღში, შადრევანთან დაცურავს გედო.  
ეს გედი შენ ხარ და შენ გიხმობს ჩემი ძახილი.  
ეს, მე ცყოფილვარ შენ უოფის წინამორბედი,  
და თუ დავვარდე, მოიმარჩვე მერელი მახვილი.

უდაბნოს ქარი დამიხუჭავს თვალებს ნამიანი,  
უდაბნოს ქარი, ქვიშიანი უდაბნოს ქარი.  
გედი მიტირებს, როგორც ოხერს და ადამიანს  
და ევგალიპტებს გადაუარს გრიგალი ჩქარი.

პალმების ჩრდილში ჩაიხდავს მთვარე რძიანი,  
პალმების ნამთან გაფრინდება გედი მტირალი,  
და თუ არ დავრჩი მე ყოველთვის ადამიანი,  
გამართე შუბი, მესროლე და იყავ ტირანი.

იმღერე, თუნდაც ეს სიმღერა ნუ მოგინდება  
და სიმღერაში გამოსცალე სევდის ზედაშე.  
შევი ღრუბელი პალმის თავზე გადმოურინდება,  
და აგვატირებს, აგვაცრემლებს, გედო, მე და შენ.  
უკანასკნელად მე ამ ლექსში არ ვიმღერებდი,  
ო, არ იქნება ეს სიმღერა უკანასკნელი,  
სამხრეთით ცისკარს აწერია ოხერის ბედი,  
წაიკითხე და მარადის იმღერე ნელი.

1935. 11. 10.

3. ასათიანი

ქუთაისი  
პედინსტიტუტი

ისევ „ლექსები მთვარის ციკლი-დან“. აქედან ერთ-ერთის სათაურია „სევდის ტირილი“. იგი დათარილებულია 1935 წლის 9 მაისით. ამ ლექსში პირველად გააცხადა ლადომ „შავი თვალი“. ისე კი შავთვალა გოგონასადმი მის გულისხმას პირველად კურსის პირველი. თვეებიდან ვისმენდით. შემდეგში არა მარტო ლადოს თანაკურსელებმა, არამედ მთელმა ფაკულტეტმა იცოდა ლადოს გატაცების ამბავი. იგი ხმამაღლად მღეროდა „შავ თვალებზე“, „შავი თვალებით“ ზომავდა მთელ ძვეყანას და თავის სამზეოს საინტერესო მხატვრული სიმბოლოც შეურია — „შავ თვალებს, ბნელ ღამეს“. ამ სათაურით ლადომ ლექსების მთელი დასტა დაწერა, მაგრამ, რამდენადაც ვიცი, ადრესატს ისინი აღარ შემოუნახავს.

ვინ იყო ეს შავთვალა გოგონა? ლადო მას ხშირად ახსენებს ჩემდამი წერილებში. ჯობს თვითონ ლადოს მოვუსმინოთ.

ლექსს აქვს მინაწერი — „მე ქვეყნად მხოლოდ 4 მეგობარი მყავს...“ ეს ლადოს ნათქვამი აქვს სწორედ სტუდენტობის პირველი წლის შთაბეჭდილებებით. ოთხ მეგობარში გულისხმობს მარიამ ტრაპაიძეს, მარი ბარჯაძეს, შოთა ქურიძეს და ამ სტრიქონების ავტორს.

ლადოს მეგობართა წრე თანდათან იზრდებოდა. ლადოს ნამდვილი მეგობრები ჰყავდა, ლადოს და მის მეგობრებს სწამდათ: „გული გულისათვის, სიყვარული

გულ და ხიდად“. ამ მხრეზე დო ნამდვილად ბედნიერი უკრაინულებები უკრაინულებები შენი წერილი წავიყითხე შედაგებულების ისე, როგორც უნდა გამევო, შეიძლებოდა სხვანაირად გამევო, მაგრამ არ გავიგო, რადგან იგი სხვანაირად არაა დაწერილი. მე მონია არა... (განსაუკრაინებით დასაწყისშია სტრიქონებმა მაფუქრებინა ეს), მაგრამ არა, არა, არ მიუიწრო ას.

სახლში მოვედი, წერილი ისევ წავიკითხე, ავტირდი და ი ტირილი.

### ლადო

დღეს ორი წერილის მაგივრად ერთი პივილე, მაგრამ...

### სივდის ტირილი

ლამე არი ამ გულივით ბნელი, დღემ სალამო გულზე დაიკონა. შეუსარება მოიშორე, ნელი, გაიხარე, ჩემო დაიკონა.

ჩემი ლექსი შენთან მოურინდება, რომ გრძელობათა მოგიზანოს ლვარი, ო, ხანდახან როგორ მომინდება, ლამე იყოს შეს გულივით წყნარი. მაშინ დამე, სევდიანი დამე განათლება, არ იქნება ბნელი. ლექსო, კარგი მათქმევინე რამე, გაიხარე, დაიკონა ნელი.

შავი მიწა... არასოდეს, მიწა შენთვის არსდ გაიჭრება მარად, არა — არა, მეგობრობას ცვიცავ, არა — არა — არა — არა — არა.

შენ ღრუბლების ფერია ხარ, ნელი. ბოროტია ეგ ქვეყნა, დაო, ლექსო მოდი, მომიმართე ხელი, მინდა სევდის სიმღერები ვთქვაო. თუ ოდესმე გავიხარე, ანდა

წიგნმა ნახა ჩემი ლექსის წწელი, წიგნს მივუძღვნი მეგობრების „ბანდას“, სამეულთან უენც იქნები, ნელი. შავი თვალი კვლავ გულში მაქვს —

ნელი,

დღემ სალამო გულზე დაიკონა.

ნუ იდარდებ, სანუკვარო ნელი,  
გაიხარე, ჩემი დაიკონა.  
**ლადო ასათიანი**  
ქუთაისი, მაისის 9, საღამოს 9 საათი,  
1935 წ.

მე ქვეყნად მხოლოდ 4 მეცნიერი  
მყავს. „ზოგიერთ“ საკითხებს, რომელ-  
ბზედაც გშეტანი, გვერდი აუხვივ, მაგ-  
რამ არ გისაყველურებ. შენ უკვე იცი  
როგორ სჭობია.

თანდათან უძალებოდა ლადოს  
ლელვა-დუღილი. ამას ადასტურ-  
ებს მომდევნო ლექსი „სევდისა  
და სულის ყვავილი“. ლექსი  
მთლიანად გამსჭვალულია რომან-  
ტიული სუბიექტივიზმით. მაგ-  
რამ მასში არის ერთი დიდი ჯან-  
საღი მარცვალი. ეს არის კეშმა-  
რიტი პოეზიის რწმენა, რწმენა  
მომავლისა და შემართება.

ახალბედა პოეტი დარწმუნებუ-  
ლია, რომ ლექსია მისი სულის კე-  
რძი, მისი სულის ზედაშე და თვი-  
თდაჯერებული აცხადებს — „იმ-  
ლერებენ ისევ კაკანითო“. ეს ლე-  
ქსი დაწერილია 1935 წლის 8 ივ-  
ნის. ამ დროისათვის ლადოს  
მხოლოდ ერთი ლექსი ჰქონდა  
დასტამბული, მაგრამ რაკი სათქ-  
მელი ბევრი ჰქონდა, სწამდა კი-  
დეც, რომ გაიმარჯვებდა, მისი  
ლექსები საქართველოს ყველა  
კუთხეს მოეფინებოდა. ასეა: კეშ-  
მარიტ ნიჭს არასოდეს არ ლალა-  
ტობს წინათვრებნება.

### სევდისა და სულის პარიზი

დაობებულა გული სამიწე  
და გათელილი აგდია ვარდი.  
გულო, სიმღერებს რად არ დამირწევ,  
გულო, რად გინდა ამღენი დარდი.  
გულო, ხალისად რად არ მიცანი,

ხარ სიხარულის უარმყოფელი  
ჩემი ყვავილი ერთი წლის ართ  
სევდანი და დამათრობელი უარმყოფელი  
დამირწევია ლექსის აკანის გელის გარება  
გამოშიზრდია რითმის შეილები  
და იმღერებენ ისევ კაკანით  
ლექსები — ჩემი ვაჟიშვილები.  
მე ყვავილებში ვიხილე ვარდი,  
სურნელოვანი, დამათრობელი,  
თვალში ჩაესხა სევდა და დარდი  
სულიერება დამატებობელი.  
ვიხილე ვარდი ამქვეყნიური,  
სულიერების შემჯამებელი,  
მინდა კუმღერო პიმნი ციური,  
მინდა კუმღერო პიმნი შექებელი.  
თუ ჩამოღება სევდის ტკივილი,  
მაინც იქნები, მაინც ყვავილი,  
უკი დაიძახებს ლექსის კივილი,  
ლექსი ვარამით გამოყვანილი.  
რად არ ვიღიმი, არ მიხარია?  
ვარდო, გაშლილო სევდის მხარეში.  
ეხლაც ამ გლუში სიმწუბარეა  
და სევდისი რითმის თარეში.  
ო, მაპატიე, ო, მაპატიე,  
თუ მომივიდა პიმნი გვიანი,  
ჰაუ, რამდენი ლამე ვათიე,  
შული ვატირე მე უანგიანი.  
ო, მაპატიე, ო, მაპატიე,  
დამტირებელო სევდის უვავილო,  
ჰაუ, რამდენი ლამე ვათიე,  
მწუბარებაში გამოყვანილო.  
ო, მაპატიე, ო, მაპატიე,  
სევდიანია გულის ფიცარი,  
ჰაუ, რამდენი ლამე ვათიე,  
ჰაუ, რა გვიან მე შევიცანი.  
მინდა დღეიდან „შენ“ არ ვიხმარო,  
რადგან ყოფილხარ სულის  
უვავილო,  
მინდა იცოცხელო და გაიხარო,  
ვარდი სევდაში გამოყვანილი.

**ლადო ასათიანი**  
1935 წელი, ქუთაისი,  
8 ივნისი, 6 საათი.

**ნ. ი. ა. ს.**

ნუ გამიწბილებთ, რომ ფორმით უბ-  
ადრუე იყოს ეს ლექსი, მაგრამ მოიგო-  
ნეთ, რომ გაკვეთილზეა იგი დაწერილი.

**ლ ა დ თ**

ლადო კაცომიყვარე იყო. „ადამიანის ძებნაა ჩემი გარდუვალი მიზანი“, ამბობდა და გულმოღვინედ სწავლობდა ადამიანებს. მათი სულიერი სამყაროს შესაცნობად წვრილმანების ანალიზს მიმართავდა, რადგან სწავლა, რომ წვრილმანებში ამჟღავნებენ ადამიანები თავიანთ ბუნებას.

ქუთაისში საგასტროლოდ ჩამოვიდა კ. მარგანიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო დრამატული თეატრი. ვნახეთ სპექტაკლი „ნინოშვილის გურია“. სპექტაკლის შთაბეჭდილებები ლადოს დღიურში ჩაეწერა და მეორე დღესვე გადმომცა. დღიურში ლადო ხაზგასმით წერს ადამიანის ძიების დაუშრეტელ სურვილზე: „თეატრი, მისთვის მაინტერესებს, რომ ამა თუ იმ დაღმის სახეობა ვნახო, მაგრამ ეს მეორადია ჩემთვის. თეატრში მაყურებელი მაინტერესებს, მაყურებელი — ადამიანი, ბედნიერებით ვახარებული, უბედურებით — აცრემლებული. ადამიანები მაინტერესებს, რადგან ადამიანთა ძიებაა ჩემი გარდუვალი მიზანი“.

რაც შეეხება ქრისტინეს მხატვრული სახის ანალიზს, 19 წლის ლადო ასათიანი საოცარი სიზუსტითა და ინტიმით წვდება ორა მარტო ქრისტინეს მხატვრულ იღეას, არამედ იძლევა თვითონ მწერლის მთელი შემოქმედების გასაღებსაც.

ლადო ექსტაზით გამოხატავდა ყოველ ახალ განცდას: დღიური-

შთაბეჭდილება მთლიანად უქსისა ზით არის დაწერილი.

შ თ ა გ ე ჭ დ ი ლ ე ტ ბ რ უ ლ ე ბ ა მ ბ რ უ ლ ე ბ ა

## ნ ე ლ ი ს

1935 წლის 30 ივნისს ვნახე „ქრისტინე“

## შ ე ნ ი შ ვ ნ ა

წაიყითოს მან, ვისაც ეშირად უტირა უბედურებაზე და ვინა წუხელ ტიროდა ქრისტინეს ბედს, მხოლოდ მან!

1935 წელი, ზაფხული.

ივნისის ვა

(საუბარი ფურცლებით)

დამეა — ვწერ.

ქრისტინე!

ქრისტინე!

ქრისტინე!

თქვენთან ერთად ვნახე მე ნინოშვილის ამ საყვარელი ქმნილების უანგარონ ხელვარულის დამსხვერეული იალენები, დამსხვრეული ბედნიერება, განწირული ტარილი.

ვნახე და ავტირდი ისე, როგორც ლერწამი — წელმოტეხილი, უიმედოდ აცრემლებული.

ავტირდი ისე, როგორც არასძროს.

თეატრი-სანახაობა მისთვის მაინტერესებს, რომ ამა თუ იმ დაღმის სახეობა ვნახო. მაგრამ ეს მეორადია ჩემთვის.

თეატრში მაყურებელი მაინტერესებს, მაყურებელი — ადამიანი, ბედნიერებით ვახარებული, უბედურებით — აცრემლებული. ადამიანები მაინტერესებს, რადგან ადამიანთა ძიებაა ჩემი გარდუვალი მიზანი.

და, ოჯ, რა ცოტა სახეები ვნახე მე ამ ბატარა თეატრის ზალაში სევდინად რომ ქავითინებდნენ დამსხვრეულ ბედნიერებაზე...

და ეს სიცოტავე ისე დამაწვა ამ ალაზ გულზე, რომ 19 წლის ჭაბუკი ავტირდი ირგვის, დაიყო ჩემო...

რა მატირებდა? — გურიის ყვავილის სევდინა გოდება თუ ადამიანთა სინაკ-

ლულე? — ორივე.

ჩანდენი ადამიანის ანალიზი გავაკეთო  
მე ამ დამეს, ამ ფრიად უჩინარმა პი-  
როვნებამ.

ქრისტინე!

ქრისტინე!

რა საცოდვი, რა ალალმართალი კო-  
გონა: იყავ შენ, ციცავ, გურიის დობი-  
ლოებში გაზრდილო შველო.

და, ეხ, რა დროს გეწვია შენ, ბედი  
უბედური.

დარბაზი დაშეა, ფარდა იხსნება. შენ  
ეთხოვები მშობლიურ გარემოს, ხალაც  
აიყარე, ლერწმის დარო ქალო! ეთხო-  
ვები შვილს — უკანასკნელ იმედს, მა-  
ნას, დღედას, დობილოს, ოდას, და შენს  
ეგნატეს, ესოდენ რომ უყვარდი შენ.

ეთხოვები და მე, უჩინარი მაუყრებე-  
ლი, შენთან ერთად ვტირი შენს უბე-  
დობას, უბედურო ციცავ!

ხოლო ჩემს გვერდით, ამ დარბაზში,  
ხელუანიანი „ადამიანების“ გაძარცული  
წროვა ხარხარებს, იცინის, რა აცინებს  
მათ, რა!

ამას მხოლოდ შენ შეიცნობ, ქრის-  
ტინე!

არხად ისე თავი არ შემშილებია,  
როგორც ამ დამეს, დაიკო ნელი, რაღ-  
გან ვინიღ სახისძროება. ვერ ვნახე  
(და თუ ვნახე, ძალიან ცოტა) ადამიანე-  
ბი, ჩემი საყვარელი ადამიანები.

ვის არ აატირებს ქრისტინეს ბედი?—  
პასუხი ერთია: მხოლოდ გულჭვას, მხო-  
ლოდ გულჭვას.

ერთი ამბავი უნდა მოვივონო.

1928 წლის 5 ივნისია. ფოთილან  
ვბრუნდები ქუთაისში დედასთან ერთად.  
შერ კოდევ ბავშვი (ქვეყანა რომ არ  
შეუცვია). საღვარ რიონში 10 წუთით  
დახვეწება გადავშვიტოთ. შევდივართ  
საღვარში ზალაში, სადაც უზტკრები-  
ვით უუსფუუსებენ „ადამიანთა“ ნაირ-  
სახეობანი. ბუფეტთან ახლოს გამართულ  
სკამზე დაგსხედით ხოლმე მე და დე-  
დაჩემი. გადის წუთი და ზალაში შემო-  
უდა სანთელივით ჩამომლარი, მაგრამ  
ენერგიული სახის მქონე შავთვალება,  
შავსამოსიანი ცერიალი გოგონა. იგი

ჩვენსკენ გამოემართა და სკამზე ჩამოკ-  
და ჩენენ გვერდით. წუთიც და მის ვაკე-  
რდით განიდნენ ხორცის მუხდებული  
ცურცი, ეს საზისძარი ჭირდებული უკან-  
წაბლიული სელებით დაუწეს ზომვა  
მის სხეულს. ის არაფერს ამბობდა.  
უუძა, ურუობდა, მუნჯობდა, ცრემლი  
ო დასტენია, დუმდა, მუნჯობდა და ისე  
ცუნარდე, რომ ამაზე მძაფრი ტირი-  
დი შეუძლებელია, დაიკო ნელი! მას  
აქვთ შემუყვარდა მე სიმუნჯე, ნელი.

შოდა, მას ოხოვდნენ, რომ ის წამყო-  
ლოდა მათ, ისიც დათანხმდა, მხოლოდ  
საღამოისთვის. ჭოჭოები ჩამომორდნენ  
და ის მარტო დარჩა ჩემს გვერდით, იგი  
გაძარცული, ამ ქვეყნიური უყუღმართო-  
ბის მხხვევრპლი. მე წამოვიწევ და მეუ-  
სეულულ შევციონხე: სადაური ხარ შენ,  
ოგონავ?

— გურული, — იყო პასუხი (და ჩემს  
განცილებას სასლვარი არ ხქონდა).

— დედა გუავ?

— არა.

— მამა?

— არა.

— და-ძმა?

— არა. ისინი ერთი წელია, რაც და-  
ინიციენ, სახლი დაგვეწვა. მე ბიძამ წა-  
ჟივანა. ცოტა ხანს ვიყავი მასთან. შე-  
მდგვა გმომაგდო და მითხრა: წარი, შე-  
ნი თავი შენვე ირჩინე. მე წამოვდიდ  
არადრის მცოდნე და აი აქ, ამ საჭირ-  
ოარ საღვარში ვ ივნისს დაგვარე ჩე-  
მი სიგაბუე, ჩემი სიქალწულე.

ქიძალწულე და მწუხარების კურც-  
ხლები ნააღვარივოთ გადავუარნენ მას  
ოვალებს, მან თავი დახარა აცრე მჟა-  
და.

ას ტიროდა იგი, დალუპულ თვის-  
ტომებს, თუ დაკარგულ საუნჯეს?

ორივეს, აღმარ, ორივეს.

შე დავამედე, გავამისნევე, უულით  
დავასასუქრე და დავტოვე იგი იმ პი-  
რობით, რომ ჭოჭოებს არ გაეკარებოდა.

1930-ში კვლავ მომეცა შესაძლებლო-  
ბა მენახა იგი და ნეტავ არ მენახა (ამა-  
ზე სხვა დროს გეტვი).

და ახლა ამ მოუსვენარ დამეს, ქოის-



## დასასრული

1935 წ. 30 ივნისი, 4 საათზე მცხველები

შენ ხშირად მუნჯობ, ჩემთან ნელი,  
მიუხედავად იმისა, რომ უნდა გვიქა  
რამე-რუშე.

## ლადო

1935 წლის ზაფხულში, არღა-  
ლეგბის დროს სტუდენტები შა-  
ჟათობაზე გაიწვიეს. ავადმყოფო-  
ბის გამო გამოვაკლდი ჩემს  
კურსს, მეგობრებს. საინტერესო  
ამბებს ყვებოდნენ ბანაკის ცხოვ-  
რებიდან. ლადო განაწყენებული  
იყო, რადგან „შავ თვალებს“ მე-  
ტი მღუმარება გამოეხატათ. თა-  
ვიდან ისე დაწყო. ლადოს რჩე-  
ული გოგონა დუმდა.

წერილში, რომელიც იმ ზაფ-  
ხულს გამოგზავნა ლადომ, ხაზგა-  
სმულია „პრინციპი“, რომელიც  
ლადოს მიაჩნია აღამიანის მშვენი-  
ები სახის დამახანგებლად. გუ-  
ლის რჩეულის უხეირო „პრინ-  
ციპს“, როგორც წერილიდან  
ჩანს, საგრძნობლად აუფორიაქე-  
ბია ბავშვური მიამიტობით სავსე  
პოეტიკაცი გული; იგი ვიღიტ-  
ვის მარტობისაკენ, მაგრამ შექ-  
მნილი ავგებდითი გარემოდან თავ-  
იაუღწევლად მაინც არ გამოიყუ-  
რიბა: „მე პრინციპი თუ არ მშო-  
ნია. ამას შეხედავენ გულმართა-  
ლი აღამიანები გარიერაზე, შავ  
ყვავლის მინიჭით გარემოდან თავ-  
იაუღწევლად მაინც არ გამოიყუ-  
რიბა: „მე პრინციპი თუ არ მშო-  
ნია. ამას შეხედავენ გულმართა-  
ლი აღამიანები გარიერაზე, შავ  
ყვავლის რომ მივიტან მე ყვავი-  
ლთა მეჯლისზეო“, — წერს ლა-  
დო. ლადომ შეასრულა დანაპირ-  
ები. ამაზე ქვემოთ იქნება საუბა-  
რი.

აჩლა ამ წერილს მოვუსმინოო.

ტინეს რომ ვტირდი, მყისვე გამახსე-  
ნდა ეს ახლა პროფესიონალური მემავი  
ქალი და ისეთი თვალით შევხედე ამ  
ქვეყანას, რომ არ შემიძლია არასოდეს ამ  
ხედიდან გადავდე მე.

და მე, აი ეს უჩინარი ადამიანი, გე-  
ძაბი შენ ახლა მეძავო ქალო, ამ ქვეყ-  
ნისაგან გაძარცულო, უბედურო უბე-  
დურთა შორის, მოხვიდე ჩემთან, ჩამა-  
ხედო თვალებში, რომ მეურედ შეგიგრ-  
ანო მღუმარებით ტირილი, მღუმარებით  
როდება. ამ ოხერ ქვეყანაზე არ მოხ-  
ვალ? ახ, რა იქნება, რომ მოხვილდე.  
შე მაგიურებს მღუმარება და მუნჯი ტი-  
რილი.

და ამ ლამეს გამახსენდა მე, ნელი,  
ეს ამბავი, ამბავი უბედური და მწეხა-  
სებისაგან დატყვევებული ავტირდი  
სამგზის, მეგობარო ჩემო, ავტირდი სამ-  
გზის. რა მატირებდა? ამქვეყნიური არა-  
რაობა თუ ალალამართალი გოგონების  
შედი? — ორიე!

უფელ ადამიანს (ხაზი ჩემია) „კა“  
გააჩინია. ასეთი მცე გამაჩინია, ნელი. გა-  
მაჩინია და მერე როგორი. შავ ღრუბე-  
ლივით გულგამგმირავი. მე წუხელ ეს  
„კა“ გამომეცადა, ნელი. ჩემთან იჯდა  
იგი სკამზე და ჩემთან ერთად უმჟერდა  
ქრისტინეს ბედს და ჩემი „კა“ როგორ  
იცინდა. ამ ლამეს. როგორ ხარხარებ-  
და. უბედურებაზე იცინდა ჩემი „კა“.  
მე კი სხეული მტკიოდა, მაგრამ არ ვუ-  
ნობდი არას, ვმუნჯობდი.

— რა გაცინებდა შენ, ჩემი „კა“-ც,  
რა გაცინებდა — მითხარ, მითხარ. მით-  
ხარ, თორემ ლამის გავგიდე, საკუთა-  
რი სამოსი შემოვიხოო. რა გაცინებდა,  
რა? დამსხრეული ბედნიერება თუ სა-  
კუთარი სიამაყე, გორდოს  
კუთარი კდემამისილება?

რა აცინებდა ამ „კას“, დაიკო ნელი?  
ამის შეცნობა შენოვის მომინდვია, დაი-

## საჭამი ნელი!

ମାରତ୍ତିଙ୍କ ବାର ଲା କୁଠିଯିବ ଶେରି ମାରତ୍ତିଙ୍କ  
କା ମିନ୍ଦା, ରାଜ୍ଗନ୍ଦାପ, ରାଜ୍ଗନ୍ଦାପ ଫେନ୍ଦି-  
ଲା, „ମାରତ୍ତିଙ୍କାଶି ଲା ମୁଖ୍ୟଧର୍ମେବାଶି  
କତ୍ଵିରିତେବା ମିନ୍ଦାଟ ଶେମନ୍ଦମ୍ଭେଦି ମିନ୍ଦିବ୍ୟ-  
ନୀରି ଶ୍ଵରି“ (ପ. ଗ.), ମାରାମି ହିମ୍ବ ମିନ୍ଦି-  
ବ୍ୟନାରି ଶ୍ଵରି ହେଲା ମିନ୍ଦିସାଗାନ ଉତ୍ତର  
ଗାନ୍ତିଗିରିତୁଳା, ବିଷର୍ଗ ଲାତ୍ତିଗିରିତୁଲା.  
କାନ୍ଦିମି? — ଏକତ୍ରିତା ଶ୍ରେଣୀ, କ୍ରେତିଲ୍ଲା ଦା.  
କାନ୍ଦିମି? କୋତ୍ପତ୍ର ମେ ଲା ଶ୍ରେଣୀ ଗାନ୍ଦେଶି  
ପିଲାର. ଏକ ମିନ୍ଦିରଦା ଆସନ୍ତି ମୁହଁଲ୍ଲା ଲା  
ଶ୍ଵରିମୁଖର ଗାମିଶୁଲ୍ଲିଗା ଏ ଚିତ୍ରିଲ୍ଲା, ମା-  
ରାମି ଅମିଶାଇ ଗାନ୍ଦେଶ, ଅଳାତ, ଥିଲାନ ଅ-  
ଲ୍ଲାପିଲ୍ଲାକ. ଓ, ରା ହିଗ ମୁହଁପାରି ଥି ଆସ-  
ନୀ ଗାନ୍ଦେଶିଲ୍ଲା ଶିକ୍ଷନିତ ଶ୍ରେଣିକାନ ଦାବୀ,  
ଦିଗନ୍ଦବାରି — ମେ କା ଆସ ମନ୍ଦିରିପାତ୍ରିଲ୍ଲା  
ଶିତ୍ତମୂଳି ଆଲା:

“ପ୍ରାଣପ୍ରିୟ” —

რამდენი აღამიანის მშვენიერ სახეს  
შახინჯას ხლი შენ.

„პრინციპო“ —

\* მე კი ბედნიერი, ფრიავ ბედნიერი  
ვარ, რომ მოკლებული ვარ ასეთ პრი-  
ნციპს (ხაზი ჩემია — 3. პ.).

— ၁၃၇၀နှင့်ပေါ်တော်... မြိုဟ္မာရိုဟ္မာလျှော်ပာ နောက်... အဲ မြိုဒ် စံတွေရှိဖွေလာလ ဒေါက်ပါ။

କୁ ଯମ୍ଭୋଦ୍ଧାରି ପରିନିବ୍ରାତି — ମେ ଆସି  
ଶ୍ରୀନିବ୍ରାତ ଦ୍ୱାରା ମେଲ୍ଲିଶ୍ଵରରେ ଦେଇଲା ହେଲା ମେ ପରିନିବ୍ରାତ  
(ଏହା ଆସିଥିଲା) ତା ଏହା ମେଲ୍ଲିଶ୍ଵରରେ, ଅମାଶ୍ଵରେ  
ଦେଇଲା ଯେ ଗୁରୁତବରେ ଅନ୍ତରେ ପରିନିବ୍ରାତ ଦେଇଲା ହେଲା ମେ  
ପରିନିବ୍ରାତ, ତାଙ୍କୁ ଯେ ଏହା ହେଲା ମେ ପରିନିବ୍ରାତ  
କିମ୍ବା କିମ୍ବା ଏହା ହେଲା ମେ ପରିନିବ୍ରାତ କିମ୍ବା  
କିମ୍ବା ଏହା ହେଲା ମେ ପରିନିବ୍ରାତ କିମ୍ବା ଏହା ହେଲା

ას მინდობდა ახეთი ძოკლე წერილი. შეარამ მავატიე (მე ამ წერილისათვის აიდი ხანია ვეზუადებოდი. შეარამ ახლა უფროულია იგი). შენი წყობილი მივიღდა და ივლისს, ხოლო მის მიღებამდე 18 ივლისს გამოვაგზავნე ორი დაზღვეული წერილი გახარაძეში და შემოქმედდა, შენი და მარუსიას სახელშე. აპბათ მი-

၁၂၅

ლადოს ისეთი კეთილი და ალ-  
ალი გული ჰქონდა, მეგობრობის  
წმინდა სავანე რომ ეთქმის. და-  
მოკიდებულებაში საოცრად ინტი-  
მური იყო და გულთამხილველი-  
ვით ყველაფერს უსიტყვოდ მიგი-  
ხდებოდა. ყველა შემთხვევას,  
რაც კი მის წმინდა სულიერ სამ-  
ყაროს კვალს დააჩენდა, ლექსით  
გამოხატავდა. შემთხვევით კი არ  
ამბობდა „ლექსად ქცეული ვა-  
რო“. ლექსი ლადო ასათიანის სტი-  
ქია, მოწოდება იყო.

უსათაურო ლექსის, რომელიც  
არღადეგებზე გამოგზავნა ლა-  
დომ, დაწერის საბაბი შემდეგი  
იყო: ადრესატი სასწავლებლად  
თბილისში გადასვლას აპირებდა  
და მისი ეს სურვილი მეგობრებს  
უთხრა. ლადომ მისთვის ჩვეული  
ქაქსტაზით განიცადა მეგობართან  
ანშორების სიავე და ლექსის  
უკან მიადგვნა:

„ლექსები („არ დაბრუნდები?“) და მეორეც („ვნახე წარსულის ერთი ფურცელი...“) ლადოსეული შეგობრობის, კერძოდ და-ძმური სიყვარულის საგალობელია. მე- გობრობა, როგორც ეს უკვე ვთქ-

ვით, მისთვის იყო „გული გული-სათვის“.. ამ მაღალ გრძნობას იგი განიხილავდა ზოგად ადამიანურ გრძნობად. ლექსებში ჩანს საკუთრივ ლადოს ხასიათის მოქალაქეობრივი ღირსების სპეციფიკა. სახსოვრად ნელის — მეგობარს, თანამგრძნობას, ადამიანს, მასწავლებელს. მოსავონრად ყრმობისა და მაისობისა.

### ლ ა ღ ო

„ქრისანტემები ოეთრი ვარდები  
მოგავონებენ წარსულის ღიმილს“.

ნ. ი. ა.

### ნ ე ლ ი ს

ვნახე წარსულის ერთი უურცელი  
„ხრისანტემები, ოეთრი ვარდები“.  
თუ მწუხარებას ვერ გავუძელო,  
წავალ და კლიერე გადავვარდები.

ვნახე წერილი, სადაც ვარდები  
ისევ ცოცხალი, ისევ მზიანი,  
ჩემი გრძნობის და სიყრმის უკეთესობის,  
სალაში ჩემგან იმედიანი, გიმლების მიერთება

დაჭანგებული გული გიგონებს  
გული — ვარამის მარმაზანა,  
რავვნარში ვჩარხავ მე ამ სტრიქონებს,  
ო მიატოვა ქარმა შრიალი.

თითქოს ათასი წელიწადია,  
რაც არ მენახო, ისევ დარდია,  
ო, თქვენი ნახვა როგორ მწადია,  
ჩემი გრძნობის და სიყრმის გვარდიან.

ჩემი ვარამის დამტარებელი,  
გადაჭე მაწვება ეს თვე მთლიანად,  
სერტემბერში კი მატარებელი  
ალბათ მოიტანს ლიშილს კრიალას

სსვა ლაცერი შინატრიია — რა

### ლ ა ღ ო

ტეტრ:  
—დგალი, დედა

1935 წ.  
24 ივლისი

\* \* \*

არ დაბრუნდები? ეს სიტყვები რატომ მესროლე.  
რატომ მესროლე, ჩამინგრივ გულის ფიცარი  
ნეტავ ქვიშიან უდაბნოში გადაგესროლე,  
რატომ? შენ თითონ გაიგე და გამოიცანი.

არ დაბრუნდები? ნუთუ რაშე უფრო მწველია.  
ვიდრე დამწვარი დარღისაგან გული წყეული,  
ნუთუ ამ ქვეყნად რაშე უფრო სანატრელია,  
ვიდრე სიყრმე და მეგობრობა გამოწვეული.

არ დაბრუნდები, მეგობარო, რა სათქმელია,  
შენ, ვინც მასწავლე ვარამი და გულით დარდობა.  
და განა ქვეყნად რაშე უფრო სანატრელია,  
ვიდრე მაისი და ვარღული ახალგაზრდობა.

არა და არა, შენ კვლავ ჩვენთან გაიშჩიალებ.  
რომ კვლავ შემასვა მწუხარების სევდა რძიანი,

არ დაბრუნდები? მაშინ ჭეცა დაიგრიალებს  
 და განრისხდება გურიის ცა ვარსკვლავიანი.

კვლავ დაბრუნდები, სიხარული აგვირიალებს  
 გულო, რას ტირი, რა გაწუხებს, რა გაურიალებს,  
 და ნუ იქნება ეგ „ნახვამდის“ უკანასკნელი,  
 იმხიარულე და სულ კარგად იყავი, ნელი!

1935 წ. 8 ივლისი

1935 წლის ბოლო წერილში  
 ლადო ამბობს: „იყავი კარგად,  
 მხიარულად, და სევდიანად, რა-  
 დგან სევდა იგივე მხიარულებაა  
 და მხიარულება იგივე სევდაა. ასე  
 გვესმონდა ვგონებ ეს ჩვენ. ეს თა-  
 ვისთავად სფინქსი რამ...“

მხიარულებისა და სევდის ლა-  
 დოსეული ინტერპრეტაცია საი-  
 ნტერესოა.

როგორც ვხედავთ, მან იგივეობ-  
 ის ნიშანი დასვა ერთმანეთის საპი-  
 რისპირო ამ ორ ემოციას შორის.  
 — სევდა იგივე მხიარულებაა და  
 მხიარულება იგივე სევდა. ეს, რა-  
 თქმა უნდა, არ უნდა გავიგოთ თი-  
 თქოს ლადო მათ შორის განსხვა-  
 ვებას არ ხედავდა, ან სცადა განს-  
 ხვავების უარყოფა. პირიქით, მან  
 ხაზი გაუსვა კონტრასტულ ემო-  
 ციებს, რომ ეთქვა: ადამიანი ბუ-  
 ნების გვირგვინია, ის არის უნი-  
 ვერსალური და რაკი ასეა, მას ახ-  
 ასიათებს ნაწილთა შინაგანი  
 მთლიანობა.

ლადო სამყაროს შეცნობის  
 სწორ გზაზე იდგა.

მეგობარო მეგობართა შორის, განსა-  
 კუთრებულო დაიყო ნელი... სალაში...  
 იყავი კარგად, მხიარულად და სევდია-  
 ნად (რადგან სევდა იგივე მხიარულებაა  
 და მხიარულება იგივე სევდაა). ასე გვი-  
 სმოდა ვგონებ ეს ჩვენ, ეს თავისთავად  
 სფინქსი რამ. იყავი... კარგად... იყავი  
 კარგად... ეხლა მთვრალი ვარ ამ სტრი-  
 ქნების რომ მწერ — ორგვარად მთვ-  
 რალი: ღვიანით და მარტოობით — უფ-  
 რო კი მეორეთი. სხვა: 12-ში ენათმეც-  
 ნიერება ჩავაბარე... დღეს რომ 13-ია.  
 ენა უნდა ჩავებარებია მე, შოთას და  
 ჩეცებს, მაგრამ არ ჩამოვიდა თოფურია.  
 როგორა კი ვერ ვნახეთ, ალბათ, ხვალ  
 ჩავაბარებო. ასე რომ 15-დან ეუთაის-  
 ში არ ვიქნები. საინტერესოა, როგორ  
 იმგვარეთ. სხვა... კარგადა ვარ... მაინ-  
 ტერესებს ამბავი თქვენი... გეგმები  
 თქვენი. ნახვამდის... სალაში... სალაში...  
 იყავი კარგად. მარად თქვენი მეგობა-  
 რობა.

მოყრძალებით ვესალშები მამათქვენს,  
 ვუსურვებ კარგად ყოფნას.

მუუხედავად უცნობობისა, სალაში და  
 კარგად ყოფნა თქვენი ოჭახის შემადგე-  
 ნლობას.

ლადო ანათიანი

(გაგრძელება იქნება)

შოთა ქაგიძე

## ე ბ ი თ ხ მ ი ს!

### ანუ გოგია უიშვილი როგორც ხასიათი

ერთი შეხედვით, იმ ხასიათებს შორის, რომელიც ეგნატე ნინო-შვილმა შექმნა, გოგია უიშვილი ყველაზე მარტივი და სწორხაზობრივი ჩანს, არავითარ შინაგან წინააღმდეგობას არ შეიცავს და, ბუნებრივია, არც რაიმე დავას და აზრთა სხვადასხვაობას იწვევს. ყველა ლიტერატურის ისტორიკოსი და კრიტიკოსი მასში ხედავს დაბექავებულ, ღარიბლატა გლეხს, რომელიც სოციალურმა უკუღმართობამ ბოლოს და ბოლოს თვითმკვლელობამდე მიიყვანა. თუ დავობენ, მხოლოდ იმის თაობაზე, რომელიადგენდა თუ არა უიშვილის თვითმკვლელობა პროტესტის მაშინდელი სოციალური და პოლიტიკური წყობილე-

ბის წინააღმდეგ, აქტიური იყო ეს პროტესტი თუ პასიური. მნელია რაიმე თქვა გოგია უიშვილის ასეთი დახასიათების წინააღმდეგ. იგი მართლაც ღარიბლატა გლეხია, რომელიც წელზე ფეხს იდგამს, „გლახათ ყოფნას“ როგორმე თავი რომ დააღწიოს და, ბოლოს, თვითმკვლელობით ამთავრებს საცოცხლეს. ყველაფერი ეს აბსოლუტურად სწორია, მაგრამ ისიც სწორია, რომ გოგია უიშვილის ასეთი დახასიათება სრულიადაც არ არის სრული, სრულიადაც არ ამოწურიას მის შინაგან ბუნებას და მეტის მეტად ცალ მხრივად, გამარტივებულად წარმოგვიდგენს მას.

ასეთი დამოკიდებულება გო-  
გია უიშვილისადმი შემთხვევითი  
არ არის და თავისი კონკრეტული  
ისტორიული მიზეზი აქვს. როცა  
ქართველმა მკითხველმა ეს ლი-  
ტერატურული გმირი გაიცნო, ის-  
ის იყო ჩვენში იწყებოდა მუშათა  
განმათავისუფლებელი მოძრაო-  
ბა და, ბუნებრივია, იმდროინდე-  
ლმა ლიტერატურულმა კრიტი-  
კმ მასში უპირველეს ყოვლისა  
დაინახა პროტესტი მაშინდელი  
სოციალურ - პოლიტიკური წყო-  
ბილებისადმი და სავსებით შეგ-  
ნებულად წინა პლანზე წამოსწია  
სოციალური მოტივი. მას შემდეგ  
ბევრმა წყალმა ჩიარა, ლიტერა-  
ტურულ კრიტიკაში კი, ალბათ,  
ინერციით, გოგია უიშვილი  
კვლავ რჩება ე. წ. „სოციალურ  
ერთეულად“ — იგი ღარიბი გუ-  
რული გლეხეცობის „წარმომა-  
დგენელია“ და მეტი არაფერი.  
ჩვენი დღევანდელი ახალგაზრ-  
დობაც, რომელიც ამ კრიტიკაზე  
იზრდება, გოგია უიშვილში ხე-  
ლავს მხოლოდ შეუგნებელ  
გლეხს, რომელმაც არ იცოდა თა-  
ვისუფლებისა და ბელნიერებისა-  
თვის ბრძოლის ნამდვილი გზა და  
იმის მაგივრად, რომ იარაღი აღ-  
მართა ექსპლოატატორთა წინაა-  
ლდება, როგორც ეს გააკეთა თუ-  
ნდაც მისმა კარის მეზობელმა  
სიმონა ძალაძემ, თავი მოიკლა.  
ამის გამო გოგია უიშვილი არ  
იწევეს ახალგაზრდობის თანაგ-  
რძნობასა და სიმპათიას. მეორე  
მხრივ, თუ გოგია ესოდენ მარტი-  
ვი ხასიათია, მხოლოდ „სოცია-

ლური ერთეულია“, მაშინ ვგნა-  
ტე ნინოშვილი მხატვარი კარტოვა/  
უბრალო „პროტოკოლისტერისტების  
ფილა და, ცოდვა გამარტინულა  
სჯობს, ბევრი ასეც ფიქრობს, მით  
უმეტეს, რომ ჩვენი ლიტერატუ-  
რის ისტორიკოსები, როცა მწერ-  
ლის მხატვრულ პოტენციალზე  
ჩამოაგდებენ სიტყვას, როგორც  
წესი. მიუთითებენ მარტო „პალი-  
ასტომის ტბაზე“. ამავე დროს,  
შორს რომ არ წავიდეთ, მეცხრა-  
მეტე საუკუნის ქართულ მწერ-  
ლობაში ბევრი როდია იმაზე უფ-  
რო მძაფრი, პრობლემატური და  
ტრაგიკული ეპიზოდი, ვიდრე გო-  
გია უიშვილის თვითმკვლელობის  
ეპიზოდია. ყოველ შემთხვევაში  
იგი არაფრით არ ჩამოუვარდება  
პალიასტომის ტბაზე იცანესა და  
ნიკოს დალუპვეის ცნობილ და ეს-  
ოდენ ნაქებ სურათს.

ერთი სიტყვით, გოგია უიშვი-  
ლი ქართული ლიტერატურის ის-  
ტორიასა და კრიტიკაში წარმო-  
ვიდგება ძლიერ მარტივ ხასია-  
თად, მაშინ როცა, თუ ღრმად ჩა-  
ვუკირდებით ამ მხატვრულ სა-  
ხეს, გულდაგულ გავჩხრიკავთ  
მას, ჩვენს წინაშე აღმოჩნდება  
საკმაოდ რთული ბუნების ა და მი ა ნი, რომელშიც გა-  
მოიკეთა ქართული ეროვნული  
ხასიათის საყურადღებო ნიშან-  
თვისებანი.

რა თქმა უნდა, ჩვენ სავსებით  
ვეთანხმებით იმ აზრს, რომ უიშ-  
ვილის უბედურების მთავარი და  
გადამწყვეტი მიზეზია მისი სო-  
ციალური წარმოშობა, ოღონდ

გაუმართლებლად მიგვაჩნია, როცა აქ წერტილს სვამენ. საქმე ის არის, რომ მშრომელთა რომელი ფენის „წარმომადგენელიც“ არ უნდა ყოფილიყო გოგია, მსგავს სიტუაციაში მაინც ისე მოიქცეოდა, როგორც მოიქცა. ეს იმიტომ. რომ იგი უპირველეს ყოვლისა ადამიანია და მხოლოდ ამის შემდეგ — გლეხი, გურული გლეხკაცობის „წარმომადგენელი“. მისი ცხოვრება თავიდანვე ისე აეჭყო, რომ ადრე თუ გვიან ტრაგიული ბოლო უნდა ჰქონდა. ამას განაპირობებდა როგორც ობიექტური, ისე განსაკუთრებით სუბიექტური მიზეზები.

ობიექტურ მიზეზთაგან, როგორც უკვე ვთქვით, გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა გოგია უიშვილის სოციალურ მდგომარეობას. იგი ღარიბი გლეხი იყო, მაგრამ თავის უფალი. თუ მამამის „თავისი სიყმაწვილისა და ვაუკაცობის დღენი ბატონის სამსახურში ჩაელია, რადგანაც მაშინ ბატონებისა იყო“, გოგია უიშვილი თავისუფალი გლეხი გახლდათ. ამიტომ სილარიბე არ მშინებდა, პირიქით, მხნედ, გამარჯვების სრული იმედით შეეჭიდა ცხოვრებას და ღრმად სჯერდა, რომ სილარიბეს თავს დააღწევდა. „რა გუყოთ, — ამბობდნენ ახალგაზრდა გოგია და მისი მეუღლე მარინე, — ახლა ღარიბები ვართ. მარა ხელს გავანძრევთ. გვეირჩებით და ჩვენც ტკბილი ცხოვრება გვექნება“. მაგრამ უბედურება ის იყო, რომ „მუდა

მოუსვენარი ხარივით შრომა, თუ ლის ღვრა, ჭაპან-ღლეტი“ ერთ-ერთ გამოდგა, „სახსარი ტუფლიფრისკა გაუმჯობესებისა“ არსად ჩანდა. „იი დასაქცევი, — ამბობდა გოგია, — დღით და ღმით არ ვისვენებ, ჩემი ოფლი მიწას ერთვის და მაინც არ იქნა, წინ არ წეიშა ჩემი ცხოვრება“.

ეს იმედგაცრუება ყველაზე მძიმე მომენტი იყო გოგია უიშვილის ცხოვრებაში, უფრო ძნელად ასატანი, ვიდრე თვით სილარიბი შეიძლება გამდიდრდე, „ტკბილი ცხოვრება“ მოიპოვო, მაგრამ როცა მრავალი წლის მუხლჩაუხერელი შრომისა და ჭაპან-წყვეტის შემდეგ ცხადად ხედავ, რომ გზა, რომელიც ახალგაზრდობიდანვე სილარიბისაგან თავის დასაღწვევად აგირჩევია, უნაყოფო გამოდგა და წინ უკვე არაფერი აღარ გელის, უსიხარულო სიბერის გარდა, ძნელია სულიერი წონას წონობა შეიინარჩუნო.

აი ასეთ „უნუგეშო მდგომარეობაში აღმოჩნდა გოგია და მის სულში თანდათან, წვეთ-წვეთობით გროვდებოდა ბოლმა, უკმაყოფილება, პროტესტი. სწორედ ამიტომ „უჩიოდა ის ცას და ქვეყანას“. ხშირად ისეთ აზრებს გამოთქვამდა საჯაროდ, რომ მსმენელები აბობდნენ, „ადგილზე რომ მაღლის ამ სიტყვებმა, გოგიას უციმბიროდ არ დაარჩენენ“. ეს მწარე იმედგაცრუების კვალი გოგია უიშვილის „გარე-

ვ 5 თბასაც დაეტყო. „პირისახე  
მუდამ მოლუშული და ნაღვლიანი  
ჰქონდა“, ხოლო „მსხვილი, გაუ-  
ხსნელი წარბები მეტისმეტ სას-  
ტიკ შეხედულებას სდებდა მის  
სახეს“.

და სწორედ მაშინ, როცა ეგო-  
ნა, ყველაფერი ამაოა, ჩემკენ არც  
კაცია და არც ღმერთიო, როცა  
გამწარებით ამბობდა, „სიკვდი-  
ლი ჯობია ჩემს სიცოცხლესო“,  
თურმე არც ისე ყოფილა საჭმე,  
მას რომ წარმოედგინა. შავ ღრუ-  
ბლებში მოულოდნელად მზემ გა-  
მოანათა და მისი სხივი გოგია უი-  
შვილის ოჯახში შეიძრა, როგორც  
ჯარდატების, ბედის წაღმა  
შეტრიულების მაცნე და ღარიბი  
კაცის გულში ისევ აკიაფდა  
ხსნის იმედი.

წარმოუდგენელი რამ ხდებო-  
და გოგია უიშვილის ოჯახში  
ყველა ხარობდა, დიდი და პატა-  
რა, ყველანი მოუთმენლად ელო-  
დნენ კალანდის გათენებას. მარი-  
ნე პირველად ხედავდა მოლიმარ.  
შუბლგახსნილ ქმარს და ეს  
„ღვთის წყალობად მიაჩნდა“. ბა-  
ვშვებიც მერცხლებივით ჭიდე-  
კებდნენ. საჭმე ის იყო, რომ გო-  
გია უიშვილი გლეხეაცის პირო-  
ბაზე საკმაოდ წელგამართული  
ხვდებოდა კალანდას — ახალ  
წელს. და ხარობდა ოჯახი, გეგო-  
ნებოდათ იგი პირთმდე გაიგსო  
დოვლათით და ჩიტის რძეც კი  
არ აკლდა.

ნერავინ იფიქრებს, თითქოს  
საახალწლო პურ-ღვინოს გოგია

უიშვილისათვის თავისთაგა  
დი მნიშვნელობა ჰქონდა. რგომე/  
დენად იყო ღირებული ჟარსტული  
ხარულო, რამდენადაც გვიცადეთ  
ტეხის დასაწყისს წარმოა-  
დგენდა და იმას მოწმობდა, რომ  
თურმე შეიძლება კაცი  
შრომით გაიმართოს წელში.  
სწორედ ასე აღიქვა ეს ფაქ-  
ტი გოგია უიშვილმა. „ძაან მა-  
რჯვეთ ვიყავით, მარინე, წრე-  
ულს. ასე აღვილათ უწინ ვერ  
ვახერხებდით საახალწლო პურ-  
ღვინოს. აი, წმინდაო ბასილე, თუ  
გამიმართო საეტლოის სიტყვა  
— ბოლო უამს კაი ცხოვრებაო,  
რომ მიწერს! აი, ღმერთო, თუ ამ  
კალანდიდან მოწყებული, შეატ-  
რიალო ჩემი იღბალა!“

აი ეს იმედი, გარდატებ-  
ის რწმენა იყო მთავარი,  
თორემ მისი საახალწლო პურ-ღვი-  
ნო წმინდა მატერიალური თვალ-  
საზრისით ბევრს არაფერს არ წა-  
რმოადგენდა, გოგია უიშვილმაც  
მშვენივრად იცოდა. მან ბოლომდე  
შეინარჩუნა გლეხეცისათვის და-  
მახასიათებელი საცი განსჯის უნა-  
რი და საესებით სწორად, რეა-  
ლისტურად შეაფასა თავისი  
მდგომარეობა, რომელიც მეტად  
სუსტ საძირკველს ეყრდნობოდა.  
საყოველთაო წალისის ვითარე-  
ბაში, მის ოჯახში მოულოდნელ-  
ად რომ დაისადგურა, გოგიამ ნა-  
ღვლიანი სიცილით უოხრა ცოლს:  
„აგია, მარინე, რომ იტყვიან,  
გლეხეაცი სიხარულში მოკვდაო.  
ერთი ფუთი ყირიმული ფევილი

ვიშონეთ საკალანდოთ და ქვეყანა ჩვენი გვგონია».

რამდენი სიმწარეა გოგიას აშ სიტყვებში, რამდენი ირონია! სხვები თითს თითზე არ აქარებენ და, რა გინდა სულო და გულო. ყველაფერი თავზე გადასდით, მას კი, პატიოსან მშრომელს, არაფერი აბადია, მაგრამ ქვეყანა მაინც თავისი ჰერნია, რაკი საახალშლო პურ-ღვინო მოიმარგა! რა ცოტა ჰყოფნის თურმე კაცს სასიხარულოდ! გოგიაც ამიტომ დასცინის თავის თავს, დასცინის ღვთის სამართალსაც, რომელმაც ისე მოაწყო ეს ქვეყანა, რომ ერთი გაალარა, მეორეს კი ფრთები შეაჭრა და სამუჯამოდ მიწაზე სახოხვად გასწარა.

მერედა, როგორ არ უნდოდა გოგიას მიწაზე ხოხვა! არა, ცხოვრებისაგან იგი ბევრს არ მოითხოვდა, ქარვასლები და თვალ-მარგალიტი არ აბრმავებდა. თავისი პატიოსანი და ბეჭითი შრომის სანაცვლოდ მხოლოდ ის სურდა, რომ ლუკმა პური ჰქონდა, ცოლ-შვილი მშიერ-ტიტველი არ ჰყოლოდა. განა ეს ბევრია? განა გოგიას უფლება არ ჰქონდა ღვთისა თუ კაცისაგან აჩსებობის მინიმუმი მოეთხოვა? ჰქონდა, როგორ არ ჰქონდა! ხარს ხედნიან, მაგრამ ჩალასაც უყრიან, უვლიან, გოგია უიშვილმა კი რა დააშავა?! რატომ ასე უცერემონიოდ ართმევენ პირიდან მძიმე შრომით მოპოვებულ ლუკმას. რატომ პირუტყვის ოდენ პატივს მაინც არ სცემენ მას, ადამი-

ანს?

გიახ, ადამიანს!

მამისაგან განსხვავებულია უფლებულებები უიშვილს აღარ. ჰყავდა პირუტყვის და არც თვითონ იყო ყმა, რომელსაც ისე ეკიდებოდნენ, როგორც ნივთს, პირუტყვს. მას ვერც გააჩუქრებდნენ, ვერც გაპყიდნენ და ვერც სიცოცხლეს გამოისალმებდნენ. წავიდა ის დრო, როცა მიაჩნდათ, რომ „ყმისა ყოველივე ბატონისა არის“. გოგია უკვე თავისუფალი გახდა, ე. ი. ისეთივე ადამიანი, როგორც სხვები, ძალმომრეობისაგან მას იცვლდა სახელმწიფო და კანონი, ყოველ შემთხვევაში ასე ფიქრობდა თვითონ იგი. და არ შევცდებით თუ ვიტყვით. რომ ამ მომენტს მის ცხოვრებაში უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. რაკი ბატონყმობა გადავარდა, ხოლო თვითონ თავისუფალი გახდა, ცხადია, უსამართლობასაც ბოლო უნდა მოღებოდა.

სინამდვილეში კი რა ხდებოდა?

ისევ-ისე, როგორც წინათ, გრძელდებოდა მშრომელთა ეკონომიკური ჩაგვრა, გოგია დღე და ღამე შრომობდა, ქმნიდა მატერიალურ დოვლათს, რომელიც კვლავ სხვას მიჰქონდა. ათასი გადასახადით წელში გაწყვეტილი გოგია ბრაზით მიბობდა: „ახლა ნადელის ფული, ახლა ფოშტის ფული, ახლა გზის სამუშაო და რა ვიცი, ათასი ჯანაბა უნდა გადაიაროს ამ ჩვენ ზურგუზე! ახლა კიდევ ეკუცია, ბარემ ამოგვხადონ სული“.

დიდზე დიდი უბედურება იყო  
ეს ეკონომიკური ჩაგვრა, მაგრამ  
კიდევ უფრო მძიმედ განიცდიდა  
გოგია უიშვილი სოფლის ხე-  
ლის უფალთა დაკანონებუ-  
ლულ ძალმომრეობას, თა-  
ვის უფლებობას. იგი  
პეკვიანი, ცხოვრებაში ჩახედული  
კაცი იყო და კარგად ხედავდა,  
თუ რა სისახლეს სჩადიოდნენ  
კანონის სახელით სოფლის მწე-  
რალი, მამასახლისი და სხვები.  
ისინი ურცხვად ძარცვავდნენ  
ხალხს, ყველგან „გამოსარჩენს“  
ექებდნენ და პოულობდნენ კა-  
დეც. „არ ეყვნენ, შარშან რომ  
დაგვაძვრეს ტყავი! ფირალი გეი-  
ჭცო! რა ვქნა მე, რომ გეიჭცა!...  
მარა იმ მამასახლისის და მწერ-  
ლის ბრალიცაა. აიო და ეკუციის  
ხარჯიაო, ათარეშებენ ქვეყანას,  
და ნახევარს თავის ჯიბაში იტე-  
ნენ! თითონ იგინია ცუდები, რომ  
კაცი იყოს!“, ამბობს აღშფოთე-  
ბული გოგია უიშვილი და მის ამ  
მამხილებელ მონოლოგში მთელი  
სისრულით ჩანს ჩაგრული კაცის  
არა მარტო წლობით დაგროვი-  
ლი ბოლმა, არამედ სამართლია-  
ნობის დამკვიდრების დაურკე-  
ბელი წყურვილიც. საკუთარი უმ-  
შეობისა და უფლებობის მწა-  
რე შეგნება.

დიახ, შეგნება! გოგია გაუნათ-  
ლებელი კაცი იყო, არც ერთი  
სკოლის კარი არ შეუდია, მაგრამ  
თვით ცხოვრება გახდა მისი სკო-  
ლა, მისი უნივერსიტეტი და, რო-  
გორც გონებაგახსნილი კაცი, მი-  
ზვდა, რომ მისი და მისთანების

ეკონომიკურ ჩაგვრას, სოფლის ხე-  
ლისუფალთა განუკითხავ თავები  
და უსამართლობას ხალხურულ-  
ლიტიკური უზუტავებულება  
ბა განაპირობებდა. სოფელს რომ  
უფლება ჰქონდა, თვითონ, სა-  
კუთარი შეხედულებით აერჩია  
მწერალიცა და მამასახლისიც,  
რომ მათი არჩევა-გადარჩევა ხალ-  
ჩებ ყოფილიყო დამოკიდებული  
და არა ადმინისტრაციაზე, გაბე-  
დავდნენ კი სოფლის ასე უსირც-  
ხვილოდ გაყვლეფას, ასე აბუჩად  
აგდებას? ამიტომ ამბობს გოგია  
უიშვილი: „ჩვენ ჭკუაზე  
რომ აღარავინ ამოგვარ-  
ჩევია აღარც მწერალი  
და აღარც მამასახლისი!  
რა გონია, თითონ აქცევენ იმ  
ფირალებს, მერე აიო და ფირა-  
ლებიდან უნდა დაგიფაროთ,  
ტყავს ქე გვაძრობენ! იმ დონო-  
ბას ვერც ფირალი გვიზამდა და  
ვერც სხვაი! გადასახადი აღარ  
შეყოფოდა! წელში გავწყვეტილ-  
ვარ გადასახადით და ახლა აგიც  
მეიგონეს!“

შეიძლება ვინმემ იფიქროს,  
გოგია უიშვილი ამ შეგნებამდე  
ვერ ამაღლებოდა, მწერალმა მას  
თავისი შეხედულებანი მიწე-  
რაო. მაგრამ ასეთ ქვეს აქარწყ-  
ლებს ცხოვრების პრაქტიკა, იუ-  
ტორიული გამოცდილება. გოგია  
უიშვილებს, ე. ი. ღარიბ გურულ  
გლეხეცაცობას მაღალი კლასო-  
ბრივი შეგნება რომ არ  
ჰქონდათ, 1905 წლის რევოლუ-  
ციის პერიოდში ისე გამოიჩენდ-  
ნენ თავს, რომ რსდმ III ყრი-

ლობის მისალმებას და მოწონებას დაიმსახურებდნენ? რა თქმა უნდა, გოგია უიშვილი პოლიტიკური უფლების მოპოვების აუცილებლობის შეგნებამდე მივიღა და ცხოვრების უშუალო ზეგავლენით, პრაქტიკული გამოცდილებით და არა თეორიული განსჯით, ამას, სხვათა შორის, ისიც ადასტურებს, რომ იგი მსჯელობს მხოლოდ თავისი სოფლის მას შტაბით, პრონა, რომ მისი უძედურების თავი და თავი სოფლის მამასახლისი და მწერალია — „იგინია კუდები, რომ კაცი იყოს!“ საჭირო იყო დრო, საჭირო იყო რაღაც შემთხვევა, რომელიც სოფლის მასშტაბს გასცდებოდა, გოგია უიშვილს რომ გაქარწყლებოდა ილუზია, თითქოს მის სოფელში თუ არა, ქვეყნად მაინც იყო კანონისამართალი.

ეს დროც დადგა, ეს შემთხვევაც მოვიდა და საბეჭისწერო როლი შეასრულა გოგიას ტანხვით ალსავსე ცხოვრებაში.

რას ელოდა იგი, როცა ნაცენაგვემი, შეურაცხყოფილი და დამცირებული სოფლის კანცელარიაში მიიყვანეს? ყველაფერს, მაგრამ არა რაიმე სასჭელს. გოგია სამართლს ეძებდა და იმედი ჰქონდა იპოვიდა მას. „მამასახლისო, — მიმართა მან სოფლის თავკაცს, როგორც კი დაინახა იგი, — მომთხარეს, დამაჯიეს, გამლახეს! მიპატრონე, თუ სამართალი გაქ, მიპატრონე! თვარა შენი თვალის წინ დევიქ-


ლავ თავს!“

„მიპატრონე“ — აი ეს მთავარი. წინათ, ბატონიშვილი დროს, ყმა გლეხის პატრიარქაზმულად თუ ისე, ბატონი იყო, იგი იფარავდა და იცავდა თავის ყმას ს ხვისი ძალმომრეობისაგან. მაგრამ ვინ უნდა ყოფილიყო თავისუფალი მოქალაქის ძალმომრეობისაგან დამცველი და პატრონი, თუ არა სახელმწიფო, საზოგადოება? გოგია უიშვილს გულწრფელად ეგონა, რომ მას გამოექმავებოდნენ როგორც უდანაშაულო კაცს, როგორც ძალმომრეობის მსხვერპლს და არ შეისმინა თანასოფლელთა ვედრება: „სუ, სუ, ნაჩალიკმა არ გეიგონის!“ და უკან არ დაიხია: „მეც იგი მინდა, გეიგონოს, — უპასუხა მან მეზობლებს, — ნაჩალიკი თუა და მოსამართლე, აგია, დამაჯიეს და მიპატრონოს!“ ასეთივე სიტყვებით მიმართა მან თვით „ნაჩალიკს“: „მიპატრონეთ, ბატონო, დამითარეთ. დამაჯიეს, კალანდა დღეს მომთხარეს და გამლახეს ქრისტიანი კაცი!“. „მიპატრონეთ!“, „დამითარეთ!“ ამაოდ გაიძახის თავის უდანაშაულობაში, ქვეყნად სამართლის არსებობაში ღრმად დარწმუნებული გოგია. აბა, რას იფიქრებდა იგი, თუ მის თხოვნა-ვედრებას არავინ შეისმენდა, ყურადას არავინ იღებდა, კიდევ მეტი — თვითონ მას, ძალმომრეობის მსხვერპლს მათრახს გადაპერავდნენ და მერე საჭიროდა გაშოლტავდნენ? რას ელოდა და როგორ და-

ამცირეს, კაცად არ ჩააგდეს! პირუტყვი რაა, იმასაც კი არ აკადრებდნენ იმას, რაც გოგიას აკადრეს და მერე სად? — სოფლის ოვალწინ, საჯაროდ, ყველას დასანახად! ახლა კი მიხვდა გოგია უიშვილი, როგორ ცდებოდა! მისი თავისუფლება თურმე ფიქცია ყოფილა, ცარიელი სიტყვა და ღარიბი კაცი სამართალს ვერსად ვერ იპოვიდა, ვერ იძოვიდა, იმიტომ, რომ იგი არ არსებოდა: „ჩვენდა ქვეყანაზე სამართალი არ ყოფილა! მე მომთხარეს, მე დამაჯუის, მე გამლახეს! სამართლის კარზე პოველი მეგონა ღა აქანაი უარესი მიყვეს. სად ხარ, სამართალო, ღმერთო, ხატო, რჯულო!..“

რაღა ღარჩა გოგიას ამჯვეყნად?

ეგონა, ღარიბი კი ვარ, მაგრამ უსამართლოდ ვერავინ დამჩაგრავს, მეც ისეთივე კაცი ვარ, როგორც სხვებიო და რა გამოირკვა? მძიმე შრომით მოპოვებულ ლუკმას პირიდან რომ აცლიან, ეს როდი აქმარეს, ელემენტარული ადამიანური ღირსებაც შეულახეს, ფეხვეუშ გაუთელეს, ის აკადრეს, რასაც პირუტყვსაც კი არ აკადრებენ. ღმერთი, ხატი და რჯულიც თურმე არაფერი ყოფილა. გოგია უიშვილი უველამ გასწირა და გასწირა უსამართლოდ, დაუმსახურებლად. მეზობლებმაც კი არ გაუწოდეს დახმარების ხელი, რადგან „ყველა თავის ტყავს უფრთხოლებოდა“. მართალია, ერ-

ომა მოხუცმა გლეხმა  მოქომაგება, მაგრამ როცა  რახი დაანახვეს, ხმა გაუსაჭროვა

ყველაფერი, რაც აქამდე გოგიას თავს გადახდა, ობიექტი ურმა მიზეზებმა განაპირობეს და, მაშასადამე, ასეც უნდა ყოფილიყო. თავის ხვედრს გოგია ვერსად გაექცეოდა, იგი ყველა ღარიბი და პატიოსანი გლეხკაცის ხვედრი იყო. რაოდენი სიმართლე და ცხოვრებისეული გამოცდილებაა მარინეს სიტყვებში, რომელიც ამ უმძიმეს მომენტშიც ქმრის ერთგული დარჩა და სცადა დაემშვიდებინა, გაემხნევებინა ღირსებაშელახული მეუღლე: „ახლა ვითამ თავი რომ დევიხოცოთ, ამით რა გაგვიკეთდება? რა ვუყოთ, ბევრს ჩვენზე ვარე სიც დამართია! არ გაგიგონია ჰკუიანის ნათქვამი, — ჰირს ქვის კედელსავით უნდა შეხორცო? მეიბრუნე გული, ხეფსი გადაყლაპე“.

კაცს ჸირში რომ მართებს მხნეობა და გამძლეობა, ეს გოგია უიშვილმაც კარგად იცოდა, იცოდა კი არა, მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე მეტს არაფერს აკეთებდა — ჰირს უმკლავდებოდა და ებრძოდა. მაგრამ ის, რამაც ახლა ჩააფიქრა და სასოწარუკვეთა, სულ სხვა ჰირი იყო. და ის აქ გამოდის წინა პლანზე სუბიექტური მომენტი, რომელმაც საბედისწერო ნაბიჯი გადაადგმევინა გოგია უიშვილს. იგი ისეთი კაცი იყო, სიღარიბეს აიტანდა, საჯარო დამცირებასა და

შეურაცხყოფის კი ვერა.

ერთი შეხედვით შეიძლება მოგვეჩენოს, რომ ღარიბი, უსწავლელი და უფლებო გლეხი ისე მწვავედ ვერ განიცდიდა პირად შეურაცხყოფის, რომ თავი მოეკლა. ვინ იცის, რამდენი გლეხი გაროზეს საჯაროდ, ხალხის თვალწინ, მაგრამ ამის გამო თავი ვინ მოიკლა? რა თქმა უნდა, ყველა გაროზე თავი არ მოუკლავს, მაგრამ არც იმის უარყოფა შეიძლება, რომ ამ შემთხვევაში ბევრი რამ არის დამკიდებული ადამიანის სუბიექტურ მონაცემებზე, ტემპერამენტზე, ხასიათზე. ამით აიხსნება, რომ ერთნაირ სიტუაციაში ადამიანები ერთნაირად არ იქცევიან. აქ ზედმეტი არ იქნება გავიხსნოთ ეგნატე ნინოშვილის ერთი შედარებით ნაკლებად ცნობილი მოთხოვა „კაცია და გუნება“. იგი, ეს ნაწარმოები, იმით არის საინტერესო და საგულისხმო, რომ მასში მწერალმა გვიჩვენა, თუ როგორ სხვადასხვანაირად განიცდიდნენ გლეხები გაროზვას. „არა, ძმავ, აგი ნამეტარი გაბათილებაა კაცის. იციქრე, ამხელა კაცი ახლა გამაშიშვლონ და წკნელით გამსისხლონ! ამას სიკტილი ჯობს“, ამბობს ერთი გლეხი, მეორე კი ამტკიცებს: როზგი რომ დამკრან, „მერე არც თავი მინდა ცოცხალი და არც იმ როზგის დამკვრელს ვაცოცხლებ!“ მესამე არ ეთანხმება მეზობლებს, როზგს ნუ დაგრავენ, თორემ „ვერც თავს გეიმეტებ და ვე-

ღარც სხვას მოკლავ“. ის როგორ სხვადასხვანაირი აზრი ჰქონდათ გლეხებს ერთსა და იმავე საკუთრებულებაზე და ცხოვრებაშიც ასევე სხვადასხვანაირად იქცეოდნენ. ერთი „ხელონიერი ბიჭი“ გაროზგვის შემდეგ ბატონის უხმო მორჩილი გახდა, მეორე დაავადმყოფდა და მოკლა. მესამემ კი, ფიზიკურად სუსტმა, სასტიკი შერი იძია საჯარო შეურაცხყოფისათვის. „ასეა, ჩემო ძმია, — ამბობს მოთხოვას გმირი, ბევრისმნახველი ბეჭუკი, — კაცია და გუნება!“

დიახ, კაცია და გუნება!

გოგია უიშვილიც ისე მოიქცა, როგორც გულმა და გონებამ უქარნახა. მისი თვითმკვლელობა სუბიექტური აქტია, მართლია, ობიექტური მიზეზებით გაპირობებული, მაგრამ მაინც სუბიექტური აქტი, სხვა მის ადგილზე სხვანაირად მოიქცეოდა და ეს სრულებითაც არ არის გასაკირი. კაცია და გუნება!

თქვენ თვითონ წარმოიდგინეთ, მკითხველო, გოგია უიშვილის სულიერი მდგომარეობა. მრავალი წლის არადამიანური გაფის შემდეგ, როგორც იქნა, მის ცხოვრებაში დაისახა გარდატეხა, მოულოდნელად აკიაფდა იმედის სხივი და... ასევე მოულოდნელად ჩაქრა. მარტო ეს საბოლოო იმედი გა ცარუება საკმარისი იყო, გოგიას სულიერი წონასწორობა რომ დარღვეოდა, თავისი შემდგომი სიცოცხლე უაზროდ მიეჩნია. ცხოვრებამ ესეც არ აქმარა გოგიას და ახალი უბე-

დურება დაატეხა თავს. ერთ ჭირს  
მეორე ჭირი დაემატა, კიდევ უფ-  
რო ძნელად ასატანი, კიდევ უფ-  
რო მძიმე და საშინელი — მისი  
კაცური ღირსება არად ჩავდეს,  
ლაფში ამოსვარეს; თავი კაცი ეგ-  
ონა და თურმე პირუტყვზე და-  
ბალი არსება კი ყოფილა! არათუ  
ადამიანს, ისე პირუტყვს არ გაი-  
მეტებენ, როგორც გოგია გაიმე-  
ტეს. ღირდა კი ყოველი  
ვე ამის შემდეგ სიცოცხ-  
ელე?

ბუხრის პირას რომ იჯდა და სა-  
ლამოდან მოკიდებული ღილამდე  
ფიქრობდა, გოგიამ გულდაგულ  
აწონ-დაწონა თავისი მდგომარე-  
ობა და დაჩრმუნდა, რომ სავსე-  
ბით უმწეო იყო. შურისძიება  
და გაფირალება მას არ შეეძლო,  
რადგან ეს მის ბუნებას ეწინააღ-  
მდეგებოდა: „ფირალი გეიქცაო!  
— უთხა ერთხელ მან ცოლს. —  
რა ვქნა მერე მე, რომ გეიქცა!  
არა, მე სიდაური ფირალის გამა-  
ქცევარი ვარ! თუ გაქცევა შემ-  
ეძლოს, ჩემ თავს გავაქცევდი  
და გადავრჩებოდი ამ წვალებას!“  
არადა, ევლო ამქვეყნად თავლაფ-  
დასხმულს, შერცხვენილს, დამ-  
ცირებულს<sup>9</sup> არც ეს შეეძლო.  
ასეთ ხევდრს იგი ვერა და ვერ  
შეურიგდებოდა. სახელგატეხილს,  
ამბობს ხალხი, თავგატეხილი  
სჯობსო, ეს გოგიამ კარგად იცო-  
და. მართალია, ნამუსზე ხელი არ  
აუღია, ცუდი არაფერი ჩაუდე-  
ნია, ბრალი არა ჰქონდა, მაგრამ  
მისი საჯაროდ შეურაცხყოფის  
ფაქტი მაინც ფაქტიდ რჩებოდა,

ხალხის თვალში ამიერიდან<sup>10</sup> გეი  
ღირსებააბდილი კაცი წყალ. და  
არა სიღარიბემ, არა სუსტერენი  
მოტივმა, არამედ მხოლოდ და  
მხოლოდ სოფლის თვალ-  
შინ, ყველას დასანახად  
გაროზგვამ აიძულა გო-  
გია უიშვილი გადაედგა  
საბედისწერო ნაბიჯი:  
„ღმერთია მოწამე, — ამბობს იგი  
სიკვდილისწინა მონოლოგში, —  
რაც თავს მოვსრივარ, მერე დღე  
არ მომისვენია და ლამე, ჩემი ოფ-  
ლი მიწას ერთოდა, მარა ჩემს  
დღეს საშველი არ დაადგა! ერთი  
სიხარული არ მინახავს! სხვაც  
სხვაი იყო და შოღტით  
ცემა?! არა, ამის იქით  
ყოფნა არ ღირს.“

ხედავთ, როგორი თავმოყ-  
ვარეა გოგია უიშვილი! იგი სი-  
ცოცხლეზეც კი ხელს იღებს თა-  
ვისი ადამიანური ღირსების გადა-  
სარჩენად. „ამას იქით“, ე. ი. გა-  
როზგვის შემდეგ, „ყოფნა არ  
ღირს“, ამბობს გოგია და ნუ გა-  
ვკიცხავთ მას, თუ სხვა გამოსავა-  
ლი შექმნილი მდგომარეობიდან  
ვერ გამონახა. ვთქვათ, სირცევი-  
ლის ძარღვი გაეშვეიტა, გადაეყ-  
ლაპა საშინელი დამცირება, მოუ-  
ტანდა კი ეს რაიმე შვებას? სად  
იყო იმის გარანტია, რომ ვითარე-  
ბა შეიცვლებოდა და მისი ცხოვ-  
რების გზა სასიკეთოდ წარიმარ-  
თებოდა, თუ კი ამქვეყნად არც  
სიმართალია, არც ღმერთი, არც  
ხატი და რჯული? რა ელოდა მას  
წინ, გაძარცვულსა და შეურაცხ-  
ყოფილს? ისევ და ისევ დამცი-

რება, ისევ და ისევ მძიმე შრომა, ისევ და ისევ უსიხარულო სიცოცხლე და სიღატაკე, რომელსაც თავს ვერაფრით დააღწევდა, თუნდაც წელზე ფეხი დაედგა.

მაშ, რა ექნა, როთ ეშველა ოჯახისა და თავისი თავისათვის?

აი კითხვა, რომელიც ტანგავდა გოგია უიშვილს საბედისწერო ნაბიჯის წინ. აი ამ კითხვის პასუხს ეძებდა მისი გონება ზამთრის გრძელი ღამის განმავლობაში. სიცოცხლე რომ აღარ ღირდა, ეს გოგიასთვის ცხადზე უცხადესი იყო. მას უკვე აღარ შეეძლო ეცოცხლა. ღატაკი იგი კიდევ ივლიდა ამჭვეუნად, იცოცხლებდა, შერცხვენილი და დამცირებული კი ვერა. მაშასადამე, თვითმკვლელობა იყო ხსნის ერთადერთი გზა. რა თქმა უნდა, მას უმძიმდა სიცოცხლესთან გამოთხოვება, ისევ როგორც ყოველ ცოცხალ არსებას. მყითხველს, ალბათ, ახსოვს, როგორ შეყყუბანდა სასიკვდილოდ გამზადებული გოგია უიშვილი, ერთი პირი ჩაფიქრდა კიდეც, გამოეკრა თუ არა ჩახმახისათვის თითო, მაგრამ ეს ყოველი სულ რამდენიმე წამს გაგრძელდა: „არა, არ იქნება, გათავებულია! მშვიდობით, ცოლუშვილ! მივალ! სად, არც მე ვიცა!“

ყოფნიდან არყოფნაში გადასვლა, ისიც საკუთარი ნებით, აღამიანში ყოველთვის აღძრავს შიშს არყოფნის წინაშე — რა არის იგი, არყოფნა, რა მოელის მას

იქ, არყოფნაში? შექსპირის ჰამლეტმა ფილოსოფიური უსისუმნებელი დასვა ეს კითხვა: „იქ ჰავაისებულში იქ, იმ ბნელსა და უცნობ მხარეს?“ გოგია უიშვილი, რა თქმა უნდა, შორს იდგა ფილოსოფიი. დან და, თუ მაინც ამგვარივე ფიქრი ტანხავს, მხოლოდ იმიტომ, რომ ცოცხალი ადამიანია და ბუნებრივ შიშს განიცდის არყოფნის წინაშე. „ოქვენ გვინიათ, — ამბობს იგი, — ჩემთვის ადვილია მოცილება, დაკარგვა! რა ვიცი, სად მივალ!“ გოგიას ამ სიტყვებში კონდენსირებულია ადამიანის პრაქტიკული გამოცდილება. როცა რაიმეს უარვყოფთ, ჩვეულებრივ, უარვყოფთ რასიმეს სახელით, ანუ სხვანაირად რომ ვთქვათ, ერთის გულისითვის მეორეს ვწირავთ. გოგია უიშვილს კი ასეთი არ ჩევანი არ ჰქონდა. იგი თავისი ნებით გადავიდა არყოფნაში არა იმიტომ, რომ ვერ აიტანა ყოფნა, ხოლო ყოფნის უარყოფა თავის თავად ნიშნავს არყოფნას, მის სამყაროში „ბნელსა და უცნობ მხარეში“ გადასვლას. რაյო ერთზე ხელი აიღო, მეორე უნდა მიიღო, გინდა თუ არ გინდა — სხვა გზა არ არის. სიკვდილის წინ გოგია უიშვილს განსაკუთრებით აწუხებდა ეს, შიშობდა, ჩემი ნაბიჯი იჯახმა ისე არ გაიგოს, თითქოს ამჭვეუნიურს იმჭვეუნიური ვამჯობინე, საკუთარი სიამოვნებისათვის, ეგოისტური მისწრაფებით მოვისწრაფე სიცო-

ცხლეო, და სიკვდილისწინა მონოლოგში ორჯერ იტეორებს ერთასა და იმავეს — მიღის, მაგრამ სად — არ იცის.

არყოფნა, როგორც ვხედავთ, გოგია უიშვილისათვის აუცილებლობა გახდა მისი ხასიათის, სუბიექტური მონაცემების გამო. მისი გადაწყვეტილება — გასტლოდა ავ წუთასოფელს იმდენად მტკიცე იყო, რომ სრულებით არ აფიქტებდა თვით. სიკვდილი როგორც ბიოლოგიური აქტი, ის შესაძლო ტკივილი, რასაც ყოველი ცოცხალი არსება განიცდის ყოფნიდან არყოფნაში გადასცვლისას. იშვიათად როდი ხდება, რომ სწორედ სიკვდილის შეში ადუნებს ადამიანის ნებისყოფას და აიძულებს მას იცოცხლოს, თუმცა სიცოცხლეს უკვე აღარა აქვს ფასი მის თვალში. გოგია უიშვილს კი ამაზე არც უფიქრა, მხოლოდ მაშინ მოაგონდა იგი, როცა თავის მოსაკლავად ქოხიდან გარეთ გავიდა და მთვარის სინათლეზე ეზოში ერთგული ძალის ლეში დაინახა: „ჩემი წვიები!.. რანაირად ჰქიოდა!... ალბათ, ძაან მწარეა სიკვტილი!...“ ეს იყო და ეს, სიკვდილზე ფიქრს მისი გონება არ დაუპყრია, ამისათვის მას არც ეცალა, სხვა საზრუნვავი და საფიქრალი ჰქონდა. როგორი მწარეც არ უნდა ყოფილიყო ყოფნიდან არყოფნაში გადასცვლა, გოგია უკან აღარ დაიხევდა და ყოველგვარ სიკვდილს გულგრილად შეხვდებოდა. მისი ფიქრი და აზრი

სულ სხვა საგანს დასტრიალებდა თავს, მას სულ სხვაურიშებულებები უხებდა და ტანჭავდა!

საქმე ის იყო, რომ თავის მოკვლა რომ გადაწყვეტია, გოგიასწინაშე თავისითავად წამოიჭრა კითხვა: ჰქონდა კი ამის უფლება? იგი ხომ ოჯახის უფროსია და, მაშისადამე, გარდეული მოვალეობა აკისრია როგორც მეუღლესა და მამას, პასუხისმგებელია ცოლ-შვილის ბედისათვის. თვითმკვლელობა კი ამ მოვალეობის უგულებელყოფას ნიშნავდა. ასე აღმოჩნდა გოგია უიშვილი არ ცოცხლს შეა: თავმოყვარეობა მისგან მოითხოვდა მოესწორადა სიცოცხლე, ხოლო მოვალეობა, პირიქით, აიძულებდა ეცოცხელა. რა ექნა, რა ელონა? როგორ დაელწია თავი ამ წინააღმდეგობისაგან? მოელი იმ ღამის ვანმავლობაში გოგია არსებითად მარტო ამაზე ფიქრობდა. თავმოყვარეობა და მოვალეობა — აი ეს ორი გრძნობა ებრძოდა მასში ერთმანეთს და ორივეს ჰქონდა დამაჯერებელი არგუმენტი. ბოლოს მაინც თავმოყვარეობამ ს დლია მოვალეობას.

ასეთი არჩევანი სწორი რომ არ იყო, ამას თვითონ გოგიაც აღიარებს, თავის საქციელს ოჯახის ღალატად თვლის და პატიებას ითხოვს. პატიებას ითხოვს იმიტომ, რომ ვერ მოერია თავის თავს, ბრძოლას თავი აარიდა და ბედთან არშერიცებას არსებითად გაქცევა ამჯობინა. გოგიას მთელი ტრაგედია ის

არის, რომ იცის სიკვდილი  
მხოლოდ მას მოუტანს  
შვებას, მხოლოდ მას გაათავი-  
სუფლებს აქვეყნიური ტანგვისა-  
გან; იცის, რომ თვითმკვლელო-  
ბით გაეჭა არა მარტო წუთისო-  
ფელს, არამედ ოჯახსაც, რისი  
უფლებაც მას არ ჰქონდა.  
შეიძლება არ გავიცხოთ ადამია-  
ნი, რომელმაც მარტო რავის თავს  
ეცნო, მაგრამ შეუძლებელია ვაპა-  
ტიოთ მას სხვების ენება, მით  
უმეტეს იმ ადამიანებისა, რომე-  
ლთა მოვლა-პატრონობა მან თა-  
ვისი ნებით იქისრა.

აი ამიტომ გრძნობს გოგია უ-  
შვილი თავს დამნაშავედ ოჯახის  
ცოლ-შვილის წინაშე და ეს ა-  
ღლიერებს მის ტანგვას: „გლალა-  
ტობ, ოჯახო! — ამბობს იგი თა-  
ვის სიკვდილისწინა მონოლოგ-  
ში, რომელიც, პროფ. გ. ჭიბლა-  
ძის სამართლიანი შენიშვნით, ერ-  
თდროულად „აღსაჩებაც არის და  
მონანიებაც“. — გლალატობ, ცოლ-  
შვილო! მე მივალ ვთავის-  
უფლდები და თქვენ გრი-  
ებთ სატანჯველში. მომი-  
ტევეთ! ველარ გავუძელი, ველარ  
ავიტანე მეტი და გავეჭეცი!...  
გრალატე, მარინე, დავყარე შე-  
ლები შენს ამარა და გავეჭე-  
ცი.“

მწერალი ქ დიდებულად გად-  
მოგვცემს გოგია უიშვილის „სუ-  
ლის დიალექტიკას“. სიტყვები  
„გვეჭეცი“ (წუთისოფელს) და  
„გავეჭეცი“ (მარინე, ოჯახო) შე-  
სანიშნავად გვაგრძნობინებს გო-

გია უიშვილის სულიერი ტუმ-  
ლების საფუძველს და სათავეს.  
არა „გვეჭეცი“, არამ მულებრივი  
შეცი“, ე. ი. არა წუთისოფლის,  
არამედ ოჯახის დატოვება ტან-  
გვს გოგის და დარღად მხოლ-  
ოდ ცოლ-შვილის ბედი მიჰყვება  
იმქვეყნად — სხვა არაფერი. იგი  
გრძნობს თავის დანაშაულს, მარ-  
თალია, უნებლიე, მაგრამ მაინც  
დანაშაულს ოჯახის წინაშე და  
აღიარებს თავის სულ-  
მოკლეობასაც. მას, რა თქმა  
უნდა, არ წაუკითხავს შექსპირი  
და, ალბათ, არც მისი არსებობა  
იცოდა, მაგრამ თავისი სინანულ-  
ით აღსავსე მონოლოგში თავისე-  
ბური, გლეხვაცის პრაქტიკული  
გამოცდილებითა და ჰქუთი გას-  
ცა პასუხი ჰამლეტის საქვეყნოდ  
ცნობილ კითხვას: რა უფრო შე-  
ფერის ადამიანს, ამ „სულ-დიდ  
ქმნილებას“, რომელზეც ხელი  
აღმართა უსამართლობამ და ბო-  
როტებამ, ის, რომ „იტანჯოს და  
იტანოს მჩაგრავ ბედის ნეშტრი-  
თა გმირვა, თუ შეებრძოლოს მო-  
ზღვავებულ უბედურებას?“

გოგია უიშვილს, როგორც და-  
ვინახეთ, არც ერთი შეეძლო და  
არც მეორე. ამიტომ მე სამე  
გზა აირჩია — თვითმკვ-  
ლელობა და ამ გზით განთავი-  
სუფლება წუთისოფლის მსახუ-  
რელი ხელის უსამართლობისაგან.  
მაგრამ მთელი უბედურება ის  
იყო, რომ თვითონ ვე გრძნ-  
ობდა არჩეული გზის მცდარო-  
ბას და თავის თავს კიცხავს სულ-  
მოქლეობისათვის, დიახ, დიახ,

სულმოკლეობისათვის. ამას ადასტურებს მარინესთან გამოსათხოვარი დარღითა და სინანულით გამსჭვალული გულწრფელი სიტყვები: „შენ უფრო სულგრძელი ყოფილხარ ჩემზე!.. რა იმედით დევიწყეთ უწინ /ოჯახობა!... ვიფიქრებდი, ამნაირად გათავდებოდა!.. რა დღეში რჩება ახლა ჩემი ცოლ-შვილი! მომიტევე, მარინე, მომიტევეთ, შვილები! მომიტევეთ, მე თავს ვუშველე და ოქვენ ასე დაგყარეთ!“

რაოდენი სინაული და მწუხარებაა გოგიას სიტყვებში: „ვიფიქრებდი, ამნაირად გათავდებოდა!“ მართლაცდა, იფიქრებდა იგი, ასეთი ტრაგიკული ბოლო ექნებოდა მის სიცოცხლეს აქვეყნად? მაინც რა იყო, - სწორედ მაშინ უმტყუნა ბედია, როცა ეგონა, ეს არის წელში გავიმართეო. ასე რომ არა, ვინ იცის, იქნებ გოგიას თოფისთვის არც კი მოეკიდა ხელი, საშინელი ტრაგედია არ დაეტრიალებინა საკუთარ ოჯაში! ამ ფსიქოლოგიურმა მომენტმა, რომელიც მწერალმა დიდი ტაქტითა და ადამიანის ხასიათის, ცოდნით გადმოვცეა, ეგებ გადამწყვეტი როლიც კი შეასრულა გოგიას თვითმკვლელობაში.

და თუ გოგია უიშვილმა სხვა გზა ვერ იპოვა, უსამართლობას არ დანებდა, ვერ აიტანა „მჩაგრავ ბედის ნეშტრითა გმირეა“, მაგრამ არც შეებრძოლა „მოზღვავებულ უბედურებას“, ეს იმ დენად მისი ნაკლი კი არ

იყო, რამდენადაც ცირკულარება — მაშინდელმც უკუკუჭამული დვილები საშუალება ჰქონდნება იდეამდე აემაღლებინა. რა თქმა უნდა, მან იცოდა, რომ ბევრი მის ბედში მყოფი გაფირადა, მაგრამ განა ამით ან თავს უშველა, ან ოჯახი იხსნა? პირიქით, მათი გაფირალება ხელისუფლებმა ხალხის აწიოკების, ახალი ძარცვის საბაბად გამოიყენეს. და, მოდით, იმისათვის ნუ გავკიცხავთ გოგია უიშვილს, რომ არ გაფირალდა, ნურც შეუგნებელს უშროდები მას. შეუგნებელი ის არის, ვინც ვერ ერკვევა ვითარებაში, ვისაც შეგნება არა აქვს, მოქმედებს ბრძან, ხელის ციცებით, ერთი უნდა გააკეთოს, მეორე კი გამოსდის, ერთმანეთისაგან ვერ არჩევს მტერსა და მოყვარეს. არა, გოგია ასეთი არ ყოფილა. იგი მშვენივრად ერკვევა ვითარებაში, მტერ-მოყვარესაც კარგად ცნობს. ეს იყო მხოლოდ — არ იცოდა როგორ, რა გზით შეებრძოლებოდა უსამართლობას მაგრამ ამაში განა მარტო გოგია უიშვილია დამნაშავე და გარემოს ბრალი არა აქვს? განა იმ დროს ბევრმა იცოდა, რა უნდა ეღონა უსამართლობის დასამხობად?

...გაივლის წლები და გოგია უიშვილები შეკავშირ დებიან, იარაღს აისხამენ და შეერთებული ძალით შეუტევენ უსამართლობას, გოგიას დროს კი ეს დიადი ისტორიული პროცესი ის-ის იყო იწყებოდა, განმათავისუფ-

ლებელ მოძრაობას ის-ის იყო სა-  
ფუძველი ეყრდნობა. და ნუ მო-  
ვთხოვთ გოგია უიშვილს ისე მო-  
ქცეულიყო, როგორც ღარიბი  
გლეხეაცობა ათობით წლის შემ-  
დეგ იქცეოდა. ეს ანტისტორიზ-  
მია, უსამართლობა. ნურც იმას  
დავივიწყებთ, რომ გოგია უი-  
შვილი სოციალური უკ-  
უღმართობის არა მარ-  
ტო მსხვერპლი იყო, არა-  
მედ ახალი დროების მა-  
ცნეც. მისი საქციელი იმას მო-  
წმობდა, რომ ქართულ სოცელში  
უკვე ჩნდებოდნენ ადამიანები,  
რომლებიც ვეღარ იტანდნენ ჩავ-  
ვრას, უსამართლობას, ვერ ური-  
გდებოდნენ მას. ჩააფიქრებდა თუ  
არა თანასოფლელებს გოგია უი-  
შვილის თვითმკულელობა, ან უ-  
ლებდა თუ არა მათ ამ უბედური  
ვლების საბედისწერო ნაბიჯი ეძ-  
იათ მდგომარეობიდან გამოსვა-  
ლი? გაამართლებდნენ ისინი ვო-  
გიას თუ გაამტყუნებდნენ, ორი-  
ვე შემთხვევაში ნებით თუ უნებ-  
ლიერ გაჩერიკვდნენ თავიანთ  
მდგომარეობას და შეეცდებოდ-  
ნენ ეპოვათ პასუხი კითხვაზე —  
როგორ მოესპორ სოციალური  
ბოროტება. და ესაა მთავარი.

გოგია უიშვილები ის წინაგა-  
ცები იყვნენ, რომლებიც მსხვერ-  
პლად შეეწირნენ თავისუფლებას  
გზების ძიებას და ხალხს უჩვე-

ნეს, რომ „სულ-დიდ ქმნილება“  
— ადამიანს არ შეუერის / ა-  
ნო „მჩაგრავ ბედის ნებულების  
გმირვა“. ძეედან მხოლოდ უკითხ  
ნაბიჯი-ლა იყო იმის შეგნება-  
მ დე, რომ თვითმკულელობა,  
ბრძოლაზე ხელის აღება, წუთი-  
სოფლის ნებაყოფლობით დათ-  
მობა გამოსავალი არ არის და ად-  
ამიანი მოწოდებულია „შეებრ-  
ძოლოს მოზღვავებულ უბედუ-  
რებას“ ...ეკითხოს!

ამ ერთადერთი სიტყვით დაამ-  
თავრა გოგია უიშვილმა სიცოცხ-  
ლე. მას არ უთქვამს — ვის! ჩაგ-  
რამ ეს ისედაც ნათელია. და უკი  
მართლაც მოეკითხა ყველას, რო-  
მლებიც მდიდრდებოდნენ „მდა-  
ბალთ ჩავვროთ, მტაცებლობითა  
და ხვეჭით“. ხალხმა დაამხო მო-  
ნობა, მოიპოვა დიდი ხნის ნანა-  
ტრი თავისუფლება და დღევან-  
დელი თაობა შეუძლებელია თა-  
ნა აგრძნობით არ მოევიდოს  
იმადიანს, რომელმაც სიკვდილი  
ამჭობინა უსამართლო წუთისო-  
ფელში სიცოცხლეს და თავისი  
სიკვდილით ცხადყო, რომ ბორო-  
ტებას ნამუსზე ვერ შეაგდებ, იგი  
უნდა მოსპო, მაგრამ რომ მოსპო,  
უნდა იბრძოლო.

ამით განისაზღვრება გოგია უი-  
შვილის მხატვრული სახის ისტო-  
რიული მნიშვნელობა ჩვენს ლი-  
ტერატურაში.

## ნები ვერაპა

# ზოგიერთი მოსაზრება დიალექტური ლექსიკონის შედგენის თაობაზე

სალიტერატურო ენის განვითარება ცოცხალ მეტყველებასთან კავშირის გარეშე წარმოუდგენილია. ცნობილია, რომ ცულიუს კეისრის დროს „ოქროს ლათინური“ დახვეწილი სალიტერატურო ენის ნიმუშს წარმოადგენდა, გაგრძამ ეს ენა შივნის მკვდარ ენად იქცა, როდესაც ცოცხალ ხალხურ მეტყველებასთან კავშირი გაწყვიტა. ამით მაას ისაცოცლო მასაზრდოებელი წყარო მოესპო. აქედან ცხადია, რაოდენ დიდი მნიშვნელობა ენიჭება დიალექტების მეცნიერულ შესწავლას. აქ, უპირველეს ყოვლისა დაისმება დიალექტური ლექსიკონის შედგენის პრობლემა. ასეთი ხასიათის ლექსიკონის შედგენას წინ უნდა უსწრებდეს მოცემული დიალექტის ლინგვისტური რელიეფის ყოველმხრივი გამოკვლევა რომელიც წარმოადგენს ამ დია-

ლექტისათვის დამახასიათებელ თავისებურებებს. იგი მიგვიყვანს დიალექტის სინქრონული და დიაქრონული შესწავლის აუცილებლობამდე, რაც თავისთავად მოაქცევს დიალექტის შესწავლას ენის ისტორიასთან მიმართებაში. ლინგვისტური ლანდშაფტის შესწავლა ცხადყოფს მისი ენობრივი რელიეფის შესაბამისად ფონეტიკურ, მორფოლოგიურ, სინტაქსურ - ფრაზეოლოგიურ, სტილისტურ თუ სტრუქტურ თუ სტრუქტურული და ამასთაა მნიშვნელობების ურთიერთმიმართებასა და ურთიერთშესაბამისობას.

როცა სწავლობენ დიალექტის ისტორიულ საკითხებს, არ შეიძლება მკვლევარი შემოიფარგლოს მხოლოდ ფაქტების შეგროვებით. ასეთი კვლევა თუ არ იქნება დამყარებული ისტორიულ მომენტებზე, კერძოდ, მთელი ენის

ფარგლებში, ასევე ცალქეულ დიალექტებში გავრცელებულ ენობრივ მოვლენათა გარევეულ წრეზე, ჩვენ საჭმე გვექნება წმინდა სქემატურობასთან.

ამა თუ იმ მოვლენის ისტორიული შესწავლა უნდა ემყარებოდეს კომპლექსურ კვლევა-ძიებას მთელი ენისა და დიალექტების რკალში. აქ განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მოვლენათა შეპირისპირებას, განსაკუთრებით ახლო მდგომ დიალექტებთან. ამ შემთხვევაში შეიძლება მოხდეს მოვლენათა დაჯგუფებაც, რაც მოითხოვს უთუოდ გათვალისწინებული იქნეს სხვადასხვა დიალექტთა კონტაქტები, მათი ენობრივი ურთიერთგავლენა, ეს გავლენა გამოწვეულია თანასწორი უფლებებით, თუ სოციალური მიზეზებით.

ამ მიმართებით მიმდინარეობს აჭარული კილოს ლინგვისტური რელიეფის კვლევა-ძიება.

ქართული ენის ისტორიულ კვლევა-ძიებაში, ენის თეორიის რიგ საკვანძო პრობლემათა შესწავლასა და გადაწყვეტაში ამ დიალექტის ყოველმხრივ შესწავლას გარკვეული წვლილის შეტანა შეუძლია. ასეთ პრობლემათა რიცხვს განკუთვნება სუბსტრატის ორსებობა დიალექტიკაში. მეზობელ ენათა ვავლეთა და ჯინიფიკაციის გატარება, ქართველი მოვლენათა დამოუკიდებლად, არაერთდროულად წარმოშობა, არქაული სისტემის დაცვა, ნეოლოგიზმების გაჩენა და სხვა. აი ის პრო-

ბლემები, რომლებიც მეტანული ბი ზომით წამოიჭრება აქალაქონდიალექტის კვლევისას. უკრაინული ცნობილია, რომ ენაში, ძოცემულ შემთხვევაში დიალექტში, აირეკლება ამ ენისა თუ დიალექტის მფლობელი ხალხის სოციალური და ეკონომიკური სურათები. ლექსიკასა და ფრაზეოლოგიაში, აისახება სასელუროდებათა და ტერმინთა მეშვეობით ხალხის სულიერი სამყარო, ზნე-ჩვეულებანი, შრომითი პროცესები. ამდენად, აჭარულ დიალექტთან მჭიდრო კავშირშია მისი ისტორია, ეთნოგრაფია და, ცხადია, კიდევ უფრო დიდი ინტერესი მისდამი.

ქართული ისტორიული დიალექტოლოგიისათვის აჭარულ დიალექტს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, რალგან იგი იძლევა ქართველ საფუძველს სამხრეთ საქართველოს მეტყველების კოლორიტის წარმოღენისათვის.

ცნობილია, რომ ჩვენი სამშობლოს ამ ხარეში ისტორიულად ძნელბედობის გამო ქართული ენის სამხრულმ შტომ თვისობრივი ცვლილებები განიცადა. ქართული ენის მესაური კილო მოშეცა სრულიად უცნო ეუბობრივ სამყაროში და ენის იძულებითი ასიმილაციის შედეგად დადგა გადაგვარების გზაზე. მესაური მეტყველება „ნამსხვრევების სახით“<sup>1</sup> შემორჩა ჩვენს ერს. აჭარული კილო ერთადებული კილოა, რომელ-

1. შ. ნიუარაძე, ქართული ენის ზემოაჭარული დიალექტი, შ. ძიძიგურის შესავალი წერილი. 1961, გვ. 7.

საც მეტნაკლები უომით შეუძლია  
მოგვცეს, წარმოგიდგინოს ქარ-  
თული ენის სამხრული შტოს, კე-  
რძოდ, მესხეთის მეტყველების  
სტრუქტურა.

ყველივე ზემოთქმული დან  
ჩანს, თუ რაოდენ რთულია და-  
მასთან სამურა აკარული ლიტ-  
ვისტური სინამდევილია შესწავ-  
ლა, რაც უნდა მოხდეს მასზე მო-  
ლაპარაკე ხალხის ისტორიასთვის  
დაკავშირებით. ათიოდე წლის წი-  
ნათ გამოჩენილი ქართველი მეც-  
ნიერი აჭ განსვენებული, აკალე-  
მიკოსი ვ. თოფურია წერდა, რომ  
გასაქოთებელი ბევრია. „გამოსა-  
ცემია აკარული კილოს შესახებ  
ერთიანი მონოგრაფია, სადაც აღ-  
ნუსხული და კვალიფიცირებული  
იქნება ყველა კილოვაგის თავისე-  
ბურება და აქარულის აღვილა  
სხვა კილოთა შორის, ძირი წარ-  
მოშვენის პირობები და სხვ. შესა-  
დგენია და გამოსაცემი დიალექ-  
ტური ლექსიკონია“.

ამ ორივე მეტად რთული და  
საპატიო ამოცანის გადაწყვეტა  
მხრებზე იდო მკვლევარმა შ. ნი-  
კარაძემ. მან გამოაქვეყნა შრომა  
„ქართული ენის აკარული დია-  
ლექტი. ლექსიკა“ საერთოდ უნ-  
და აღინიშნოს, რომ ეს რთული  
შრომატევადი საჭრაოა. იგი მას-  
ზე წლების განჯაულობაში მუშა-  
ობს, გულმოღვინედ იკვლევს მის  
ფონეტიკურ-გრამატიკულ სტრუ-  
ქტურასა და ლექსიკურ შედგენი-  
ლობას ქართული ენის სხვა კი-  
ლოთქმებთან შეპირისპირებით.  
ეს დასტურდება როით, რომ მკვ-

ლექსირმა წარმოიჩინა რიგი სამო-  
ხები, რომელიც ჟანრების შემთხ-  
ვის აკარული ერთობლივ განვითარებულ  
ქართულ ხატაცმეცნიერო ლა-  
ტერატურაში.

სიამყის გრძნობით უნდა ითქ-  
ვის, რომ დღეს აკარული დიალექ-  
ტის ლექსიკონი შედგენილია და  
ხელთა გვაქვს ბეჭდური სახით.  
ეს უნდა ახარებდეს ყველას, ვის-  
თვისაც ძვირფასია და ახლობელი  
რესთველის ენა. წიგნი შედგება  
ორი ნაწილისაგან, მასში წარმო-  
დგენილია აკარული ლექსიკის და-  
ხასიათება და ვრცელი ლექსიკო-  
ნი. აღნიშნული ლექსიკონი წარ-  
მოადგენს შესაძლებელ ინტერ-  
პრეტაციას ერთი კილოს რკალში  
მოქცეული სიტყვებისა. ამ ლექ-  
სიკონის ძირითადი მიზანი ის კი  
არ არის, გვიჩვენოს ლექსიკური  
სიტყვა-ერთეულები, არამედ გვი-  
ჩვენოს მოცემული დიალექტის  
ენობრივ საშუალებათა პოტენ-  
ციური შესაძლებლობანი მისი  
ლექსიკის საფუძველზე. პოტენ-  
ციის სახით ფარულად ასებულ  
შესაძლებლობათა ერთობლიობა  
შეიძლება გამოვლინდეს მხოლოდ  
მოცემული კილოს სისტემის კვი-  
ლა რგოლის თანმიმდევრული,  
პრაქტიკული კვლევა-ძიებით.

ამ ლექსიკონის სპეციფიკა, ლე-  
ქსიკური ერთეულების ინტერ-  
პრეტაცია, ე. ი. ლექსიკონის სტ-  
რუქტურული მთლიანობა განი-  
საზღვრება იმ ენობრივი მასალ-  
ით, რომელიც შეგროვილია ამ  
დიალექტის საზღვრებში. იგი  
იძლევა აკარული დიალექტის

ლექსიკურ სისტემას. მას შეიძლება ფართო მოთხოვნები წავუყენოთ. მან უნდა მოგვცეს სიტყვის სემანტიკური სტრუქტურა, ამ სტრუქტურაში უნდა იქნეს გათვალისწინებული სიტყვის სხვადასხვა მნიშვნელობები: პირდაპირი, გადატანითი, ფრაზეოლოგიური, მნიშვნელობა კონტექსტით განსაზღვრული, ნაჩვენები უნდა იყოს სიტყვის ელფერი, აგრეთვე განსაუთრებული შემთხვევები სიტყვის გამოყენებისა. ყველა ამ პრეტენზიას ლექსიკონი მეტ-ნაკლები ზომით აქმაყოფილებს, ხშირ შემთხვევაში გამოვლინებულია მნიშვნელობათა ელფერიც, სიტყვის გადატანითი და ფივურალური მნიშვნელობებიც. მაგალითად, სიტყვა „კოტა“ ლექსიკონში ექვნის მნიშვნელობითაა წარმოდგენილი. ლექსიკონში, რომელიც ემყარება დიალექტის ცოცხალ მეტყველებას, შეუძლებელია წარმოდგენილი იყოს მთელი ლექსიკური სისტემა თავისი მოცულობით. აღნიშნული ლექსიკონი იძლევა ცვალებადობაში მყოფი დიალექტის განვითარების გარკვეულ საფეხურს.

დიალექტის ლექსიკონის შედეგნის პრობლემა ემთხვევა ლოტერატურული ენის განმარტებითი ლექსიკონის შედეგნის პრობლემას, მაგრამ დიალექტური ლექსიკური მასალის სპეციფიკა იძლევა სხვაობას ლიტერატურული

ენის განმარტებითი ლექსიკონს საგან.

პრინციპული მნიშვნელოვანების სიტყვის შერჩევის პრინციპები, ე. ი. ლექსიკონის პრობლემას. დიალექტური ლექსიკონის შედეგნისას ხელმძღვანელობენ დიფერენციაციის პრინციპით, ე. ი. ლექსიკონში ძეცვენ ისეთ სიტყვებს, რომელიც სულ არ იხმარება ლიტერატურულ ენაში, ან იხმარება, მაგრამ რომელიდაც მიმართებაში იძლევა სხვაობას. სხვაობა შეიძლება გვქონდეს ფონეტიკურ, მორფოლოგიურ სტრუქტურაში, ან მნიშვნელობაში სიტყვის რეალიზაციის დროს, მნიშვნელობის ელფერში, სიტყვათ შეერთებაში ან გრამატიკულ ფორმებში.

ცხადია, სიტყვის სემანტიკური სისტემის ყოველმხრივ ჩვენება, მისი სირთულის გამო, რომლის რეალიზაცია ხდება ასეთ მრავალმხრივ ასპექტში, იდეალურ მოთხოვნად რჩება. მაგრამ ერთია, ასეთი მოთხოვნა იძლევა ლექსიკონის შედეგნის და მასზე მუშაობის სწორ გზას. ასეთი სწორი გზის, ამოცანის სწორად გაეგბის გარეშე დაალექტური ლექსიკონის შედეგნა პრაქტიკულად შეუზღუდავი მასალის გამო როცხლია. დიალექტური სიტყვის ფიქსაციის დროს გათვალისწინებულ უნდა იქნეს ზემოთ დასახელებულ მომენტთაგან ერთ-ერთი. ამ ნიშნების მიხედვით გადაწყვიტა ლექსიკონის პრობლემა მკვლევარმა შ.

ნიუარაძემ, თუმცალა წინასწარვე ვიტყვით, იგი მათ მთლიანობაში ყოველთვის ვერ იცავს.

შრომაში მოცემულია შემდგარ განკოფილებები: ძველი ქართულის ლექსიკური ფენა, აჭარული ლექსიკის სპეციფიკური სალექსიკონო ერთეულები, საბას ლექსიკა და აჭარული, აჭარული ლექსიკი და „ვეფხისტყაოსანი“, სემანტიკური ჯგუფები, ზანური ელემენტები აჭარულში, თურქიზმები აჭარულში.

ამ დიდი ამოცანის გადაწყვეტისათვის ავტორს დიდი მუშაობა ჩაუტარებია. საანალიზო მასალა შეუგროვებია ცალკეული ინფორმატორებისაგან, ხოლო გარკვეული ნაწილი, როგორც ეს წინასიტყვაობაშია აღნიშნული, მოპოვებულია თვით ავტორის მიერ საველე მუშაობისას. გამოყენებულია გამოქვეყნებული ტექსტები და სათანადო საშეცნიერო ლიტერატურა. საჭიროების შემთხვევაში მოშველიებულია როგორც ძველი ქართულის, ისე, სხვა ქართველური ენებისა და მათი დიალექტების მონაცემებიც

დიდი მუშაობაა ჩატარებული სიტყვათა წარმომავლობისა და ისტორიის დასადგენად, რისთვისაც შემოწმებულია თურქულ, სპარსულ და არაბულ ლექსიკონებში მათი შესაბამისი ლექსიკური ერთეულები და მნიშვნელობები.

მოსაწონია, ავტორს ემარჯვება, რამდენადც კი შეიძლება, ზედ-

მიწევნით ახსნას და დაახტასიანოს სიტყვა. სიტყვათა განმარტებულების კონტექსტები ძალითადად მოხდენილად არის მოძებნილი.

დიალექტური მეტყველება რაიმე აზრის გადმოცემისას გაცილებით თავისუფალია კომუნიკაციური ერთეულების შერჩევის პროცესში, ვიდრე ლიტერატურული ენა. ეს კი ხშირად ქმნის სიტყვათა განსხვავებული ტიპის ვარიანტებს.

ამ შემთხვევაში გარკვეულ როლს თამაშობს ფონეტიკური სახეცვლილებანი, რომელიც ჰქმნის ფონეტიკური ნორმის მიხედვით ვარიანტებს. ასეთი გზით წარმოქმნილი ერავულები შეაგენტებულების სიკონში. ამგვარი მაგალითები საანალიზო ლექსიკონშიც არის შეტანილი და სავსებით სწორია; მაგ., სებები, დერდი, მიწრო და სხვა, მაგრამ ამ მიმართებით გატაცება არ შეიძლება. აქ მხოლოდ ცნობილი ფორმები უნდა წარმოვადგინოთ.

დიალექტური ლექსიკონის შედგენისას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სიტყვის მნიშვნელობისა და ვაშოყენების თანაფარდობის საკითხს. სიტყვის მნიშვნელობა განსაზღვრავს მის ყველა რეალიზებულ კონკრეტულ გამოყენებას მეტყველებაში, ამავე დროს იგი ხასიათდება პოტენციურობით. სიტყვის მნიშვნელობა განსაზღვრავს აგრეთვე მის კავშირს სხვა სიტყვებთან მოცე-

მულ ლექსიკურ სისტემაში. ეს კავშირი შეიძლება იყოს სინონიმური, ფრაზეოლოგიური და სხვა.

სიტყვის ყოველი გამოყენება წარმოადგენს მისი მნიშვნელობის შესაძლებელი ასპექტიდან რეალიზაციის ერთ-ერთ მომენტს. სიტყვის მნიშვნელობა და გამოყენება ერთმანეთან ორგანულ კავშირშია, ისინი დიალექტურ მთლიანობაში იმყოფებიან. ყოველივე ეს კარგად ჩანს ზეპირ მეტყველებაში, სსდაც სიტყვის მნიშვნელობა არსად არ არის ფიქსირებული, არ არის გაცორმებული. ის ამ შემთხვევაში რეალურ საფუძველს პოულობს კონკრეტულ გამოყენებაში. ამიტომ ცხადია, თუ რა ძნელია ლექსიკოგრაფიული ინტერპრეტაცია მისცე დიალექტურ ლექსიკაში ყოველ სიტყვას, რომელიც შენდება ცოცხალი მეტყველების მასალაზე. სალექსიკონო ერთეულები მეტყველების ყველა ნაწილში თავისი ილუსტრაციით ერთგარი უნდა იყოს. ეს ეხება. ზმნებსაც (ზმნისტინის ქცევისა და გვარის ფორმებს), რაც, უმრავლეს შემთხვევაში, კარგად აქვს გადაწყვეტილი ავტორს, თუმცალა შეინიშნება საერთო წესის დარღვევაც.

ალსანიშნავია სიტყვათა განმარტება, მნიშვნელობათა ნიუანსების გამოყოფა, პოლისემური და ომონიმური ერთეულების გარჩევა; ამ ყველაზე რთული საქმიანობის შ. ნიუარაძეს კარგად გაურთმევია თავი. კონტექსტი და გა-

ნმარტება უმრავლეს შემთხვევაში თანხვდენილია. იდიომები წრე ხე/ტოვანი გამორთქმები ხშირად შემცირდება ხვევაში პრაქტიკულ მასალაში რეჟისურების ყარება. ავტორი ცდილობს ლექსიკონში უჩვენოს სიტყვა ბუნებრივი გამოყენებით, მოგვცეს შესაბამისი ინტერპრეტაცია.

სიტყვის მნიშვნელობისა და გამოყენების თანაფარდობა ზეპირ მეტყველებაში შედარებით გართულებულია. ლიტერატურულ ენასთან შედარებით დიალექტურ თავისუფალია ნომინაცია და შეიძლება არაბუნებრივი აღმოჩნდეს მისი რეალიზაცია. ამიტომ პირველ რიგში საჭიროა მეტად სათუთად გავაანალიზოთ სიტყვის გამოყენების შემთხვევები ლიტერატურული ენის სინამდვილესთან მიმართებაში. ეს პირველ რიგში ეხება სიტყვებს, რომლებიც განსხვავდებიან ლიტერატურული ენის სიტყვებისაგან არა ფონეტიკური ან მორფოლოგიური თავისებურებებით, არამედ მნიშვნელობით. ასეთ შემთხვევაში უთუთ უნდა აღინიშნოს ის განსხვავება მნიშვნელობაში, რომელიც წარმოადგენს ერთადერთ დიფერენციალურ ნიშანს მოცემული სიტყვისათვის შესაბამის ლიტერატურულ სიტყვასთან.

ამ შემთხვევაში ადგილს იჭერს ის სიტყვები და გამორთქმები, რომლებიც სპეციფიკურია აჭარული კილოსათვის, რომლებსაც სემანტიკური ხაზით პარალელები არ ეძღვნება არც ლიტერატურულ

ენასა და არც დიალექტებში. ამ-  
დენად ისინი მხოლოდ და მხო-  
ლოდ აჭარულის კუთვნილებად  
რჩება. მაგალითად: ბაძანგარი, გა-  
წვარადინება, დაკივანება, დანა-  
გირება, კაპირონა, სამაკინარი.

მნიშვნელობის თვალსაზრისით  
სხვაობის აღმოჩენა დიალექტსა  
და ლიტერატურული ენის სიტყ-  
ვას შორის რთულია. იგი მოით-  
ხოვს ღრმად შეჭრას დიალექტის  
ლექსიკურ მასალაში და უარის  
თქმას ზედაპირულ მუშაობაზე.  
სწორედ ასეთი მუშაობა იძლევა  
დიალექტური სიტყვის თავისებუ-  
რებებს ლიტერატურული ენის  
სიტყვისაგან განსხვავებით. მთე-  
ლი ეს დებულება კარგად არის  
დადასტურებული შ. ნიუარაძის  
სალექსიკონი მასალის მიხედვით.

გვაქვს რამდენიმე შენიშვნა.

ყველა სიტყვას არ აქვს ერ-  
თი და იგივე ლექსიკური ძალა.  
ლექსიკაში მიმდინარეობს ცოც-  
ხალი პროცესი. ამა თუ იმ მნიშვ-  
ნელობის მოძველებასთან ერთად  
დიალექტში შეუჩერებლივ წარ-  
მოიქმნება ახალი მნიშვნელობები,  
მნიშვნელობათა ახალი ელფერი.  
სინერონული შესწავლის დროს  
ლექსიკონში მოხვდება სხვადა-  
სხვა ლექსიკური დამოკიდებულე-  
ბის მქონე სიტყვები. მაგალითად,  
ერთი და იგივე სიტყვა შეიძლება  
გამოყენებული იქნეს ფართო და  
ვიწრო მნიშვნელობით. შეუძლია  
ორ სიტყვას მნიშვნელობის მიხე-  
დვით ერთმანეთის დაფარვა. ამ  
შემთხვევაში საჭიროა მეტარი სი-  
ზუსტე. აქ ზოგჯერ ფართო ხასი-

ათს იღებს სემანტიკური ანგა-  
ცია. ამ მომენტისათვის გვივის-  
ვარს ყურადღება არ მოუქმედდა  
ავტორს არ უცდია მოექცეულება  
ქეული სიტყვის ლექსიკური ძა-  
ლა. ავტორი თუ ამას გააკეთებ-  
და, მაშინ, ცხადია, დაისმებოდა  
სიტყვის ხმარებისას ფართო და  
ვიწრო მნიშვნელობათა პრობლე-  
მა, კერძოდ, აქ წამოიჭრებოდა  
აღმოსავლური სიტყვების ლექ-  
სიკური დამოკიდებულების სა-  
კითხი იმავე მნიშვნელობის ქა-  
რთულ სიტყვებთან. მაგალითად,  
განმარტებულია „აბლაა“, ხოლო  
ლექსიკონში არ არის შეტანილი  
„ბიცოლაა“ და ცხადია, არ არის  
ნაჩვენები მისი ლექსიკური და-  
მოკიდებულება თურქულ სიტყ-  
ვასთან. რომელი პითგანი არის  
უფრო ფართო ხმარებაში.

ნასესხებ სიტყვათა საგრძნო-  
ბი რაოდენობა, რომელიც აღნი-  
შნავს საყოფაცხოვრებო მოვლე-  
ნებს, შრომა-საქმიანობას თუ სა-  
გნებს, გვევლინება მშობლიური  
ქართული სიტყვების სინონიმე-  
ბად. არ არის ნაჩვენები რა დამ-  
ოკიდებულებაა მათ შორის.

ხშირად ისეთი სიტყვებიც ინ-  
ერგებოდა, რომელთა შესაბამისი  
ენას დიდი ხანია ჰქონდა. შემო-  
სული უცხ სიტყვა ქართულ სი-  
ტყვას მოსპობას უქადა, მაგრამ  
ქართული სალიტერატურო ენის  
მეფიო, მწყობრი გრამატიკული  
წყობა წინააღმდეგობას უწევდა  
უცხოურ ელემენტებს, რომლებ-

საც ქართული სინამდვილე არ შოთხოვდა. ამის გამო აღვილობრივი მკვიდრის მეტყველებაში წარმოდგენილია უცხო წარმოშობის სიტყვებიც და აღვილობრივი დიალექტური ან ლიტერატურული ფორმებიც ერთი და იმავე საგნის, მოვლენის გამოსახატავად. აქ საჭიროა მათ შორის დამოკიდებულების აღმოჩენა. ეს გვიჩვენებდა ამ სიტყვების გავრცელების პროცესსაც.

დიალექტის სიტყვების კონკრეტული მნიშვნელობები შეიძლება განხილულ იქნას ტერიტორიულ პლანში. დიალექტის სიტყვას აქვს გავრცელების ტერიტორიული საზღვრები, რომლის იქით ეს სიტყვა არ გვხვდება და თუ გვხვდება, სხვა მნიშვნელობით. მაშესალამე, შეიძლება გამოვყოფ გავრცელების ცენტრი და პერიფერია. დიალექტური სიტყვის პერიფერიისა და ცენტრის გაგება მოგვცემს სემანტიკურ საზღვრებს. ცენტრალური არეალი იძლევა მისი ფართო გამოყენების, ხოლო პერიფერიული არეალი ვიწრო გამოყენების კონტურებს. საბოლოოდ სიტყვის ორი არეალის ინტერპრეტაცია იძლევა სინონიმებს.

სინონიმები ერთი მნიშვნელობის სიტყვებს ჰქვია, მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ იძლევიან ისინი სავსებით ერთნაირ მნიშვნელობას, სინონიმი ზოგჯერ იძლევა აღსანიშნი საგნის სხვადა-

სხვა მომენტებს, ანდა განსაკვებაზე ბულ გრძნობითს ფაქტორს. სინონიმებს შორის არსებული ურთისებები მათი გამოყენებისას სხვადასხვა წინადაღებასა და შესიტყვებაში. ისინი ყველა კონტექტში ვერ შეენაცვლებიან ერთმანეთს.

ცნობილია, ფაქტიურად საესპონტო ერთნაირი მნიშვნელობის ორი სიტყვა არ არსებობს: ან ობიექტური ან სუბიექტური მომენტი იძლევა სხვაობას. ეს სხვაობა ზოგჯერ ნაკლებ საგრძნობია, ზოგჯერ კი მკვეთრია. ამიტომ სინონიმების მოხდენილი გამოყენება თავის ასახვას პოულობს სტილისტიკში, კერძოდ მეტყველების დასრულებულ აქტში — წინადაღებაში, მოცემულ შემთხვევაში კონტექსტში. ამიტომ საჭიროა აქ სათუთი მიღვომა და მყაცრი სიზუსტე. მაგ „ლექსიკონში სიტყვა ათოვა განმარტებულია, ხოლო განმარტება განმტკიცებულია სათანადო კონტექსტით. სინონიმი—თხზნა იგივეა, რაც ათოვა. აქ აუცილებლად კონტექსტი უნდა იყოს მოცემული მის გავრცელების არესთან ერთად. ამ კონტექსტში გამოჩნდება მისი სტილისტური მომენტი და სიტყვის ელფური. რაც, სამწუხაროდ; ხშირ შემთხვევაში უარყოფილია. ხშირად სინონიმები მოცემულია არა მარტო კონტექსტის გარეშე, არა მედ ისინი არ არიან ტერიტორიალურ მიმართებაში გადაწყვეტილი, რასაც ავტორი ზოგჯერ მი-

ყავს მცდარ დასკვნამდე. მაგ., ავტორის მიხედვით „აირანი“ გავრცელებულია მხოლოდ ზემო აჭარაში, როცა ის პარის აჭარულშიც გვხვდება.

ცნობილია, ენაში მოიპოვება პირდაპირი და განსაკუთრებული შესაძლებლობანი. განსაკუთრებული შესაძლებლობანი ხშირ შემთხვევაში ასახვას პოულობს გადატანით, კერძოდ სტილისტურ კლასიფიკაციაში, მაგრამ ლექსიკონი ამ მიმართებით სავარაუდო მასალას ვერ იძლევა. მაგალითად, ამოვარდნა — წყევლის, გადაშენების, ამოწყვეტის გაგებით არის მოცემული: მას აქვს კიდევ რიგი მნიშვნელობები, რომელიც ლექსიკონში არ არის მითითებული. გასარკვევია მის სემანტიკურ სტრუქტურაში რომელია ძირითადი, ე. ი. პირდაპირ ნომინირებული მნიშვნელობა და რომელია გადატანითი, როდის ქმნის იგი სტილისტურ თავისებურებებს. ამ შემთხვევაში გაირკვეოდა ამ სიტყვის კავშირი სხვა სიტყვასთან დაქმნის თუ არა იგი და თუ ქმნის, რა შემთხვევაში ფრაზეოლოგიურ ერთეულს. ამასთან გავრცელების რა კონტურებში ქმნის სიტყვის ფრაზეოლოგიურ ერთეულს და რა კონტურებში იძლევა ნომინირებულ მნიშვნელობას. ან კიდევ სიტყვის „აკრეფს“ — „ყველაფერს დაიმახსოვრებს“ — განმარტებაში მოცემულია მხოლოდ გადატანითი მნიშვნელობა. ძირითადი ნომინირებული მნიშვნელობის შესახებ არაფერია ნა-

თქვამი. ყოველი სიტყვის განხლევისას ამოსავალია ნომინირებული მნიშვნელობა. გადატურებული შემთხვევაში სტილისტურ კლასიფიკაციაში ერთიანდება და იგი მასთან მიმართებაში უნდა იქნას განხილული, რაზეც ლექსიკონის შედეგენისას ავტორს ყურადღება არ მიუქცევა. ლექსიკონში ამ მიმართებით ბევრია გასაკეთებელი. ხშირ შემთხვევაში არადამაკმაყოფილებელია სიტყვათა სტილისტური კლასიფიკაცია, სტრუქტურა.

ნასესხებ სიტყვებში ზოგჯერ შეცვლილია სემანტიკური სტრუქტურა, დავიწროებულია მნიშვნელობა, ან პირიქით გაფართოებულია, ადგილი აქვს სემანტიკურ გადახრას, პოლისემიურ სიტყვებთან ზოგიერთი მნიშვნელობის დაკარგვას. ეს მომენტები უნდა განხილულიყო ქართულ ლექსიკურ ერთეულებთან დამკიდებულებაში. მაშინ აიხსნებოდა, რომ აღნიშნული ხასიათის ცვლილებანი გამოწვეულია სოციალური თუ სხვა ფაქტორებით მართალია, აյ აშეარა იყო აჭარულის მიმართ თურქული ენის მიძალება, მაგრამ ზოგჯერ ამა თუ იმ უცხო ლექსიკური ერთეულის შემოსვლა გამოწვეული იყო ეკონომიკური პირობებით. სასურველია გამოიკვეთოს ფართო დავიწრო გამოყენების კონტურები, ასეთი ხასიათის სამუშაო გვიჩვენებს უცხო სიტყვათა შემოსვლის და დამკვიდრების პროცესს დამეტ - ნაკლებად წარმოგვიდგენს

გაშლა-შეზღუდვის საერთო სურათს. ამ მიმართებით ლექსიკონს შემდგომში დასჭირდება სრულყოფა.

დიალექტურ ლექსიკონში, როგორც ცნობილია, ერთ-ერთი დილი ადგილი უკავია ფონეტიკური პროცესებით განპირობებულ ერთეულებს. მაგალითად: დარდი — დერდი, სებიბი — საბაბი. ცხადია, აუცილებლად უნდა იქნას გათვალისწინებული ფონეტიკური თავისებურებანი, როგორც ერთ-ერთი დიფერენციული ნიშანთაგანი, მაგრამ თუ ეს ზოგად ხასიათს ატარებს, მაშინ იგი ლექსიკონის შედგენის სტრუქტურამ უნდა გვიჩვენოს და არაა აუცილებელი მათი ცალკე სტატიე-

ბად გამოყოფა და გაანალიზება. წინააღმდეგ შემთხვევაში გრამატიკული მოდელების უძლეს და უშუალოდ ლექსიკონის სინამდვილეში გაჭირდება.

სიტყვა-სტატიაში, როცა სალექსიკონო ფორმად მასდარი გვაქვს, საჭირო იქნებოდა მოცემული ყოფილიყო ზმნის პირიანი ფორმებიც, რადგან ზოგჯერ შეიძლება სათანადო ფორმის წარმოება გაჭირდეს.

ჩვენ „ავი თვალით“ არ ჩაგვიხედავს ლექსიკონში. ცხადია, ავტორმა ფასდაუდებელი შრომა გასწია, ჩვენ კი შეგვიძლია გავიმეოროთ: „საქმემან შენმან გამოგაჩინა“.



## ნაცენტი ნოღაიზე

### ერთი დარბის ლექსიკა აჭარაში

მესაქონლეობა ძველთაგანვე ერთ-ერთი ძირითადი და წამყვანი დარგია მაღალმთიანი აჭარის მეურნეობაში. რძესა და რძის პროდუქტებს, ისევე როგორც საქართველოს მთიანეთში ყველგან, ძირითადი ადგილი ეჭირა აჭარელთა რაციონში, საოჯახო ეკონომიკაში. წარმოდგენილი მასალა<sup>1</sup> იმითაც არის საინტერესო, რომ გვიჩვენებს, თუ რა უმდიდრეს ლექსიკურ მარაგს შეიცავს სამეურნეო ყოფის ცალკეული დარგი.

პირუტყვს ყოველთვის დიდი პატივისცემით ეპყრობოდა ქართველი. ასეთი დამოკიდებულების მაჩვენებელია ისიც, რომ აჭარელი

დღესაც საქონელს „საჭმელს მიართმევს“, „ხბოს პატივს ეცემა“ და „ხბოც აიზრდება“, საჭმელის მიცემისას მოეფერება, მიუსაყვარლებს — „მოდი, დედავ, მოდი, გოგოვ, გენაცვალუო“, ან თუნდაც, მოწველისას მწველავი ძროხას რომ მიუმღერებს<sup>2</sup>:

მოწველე, ჩემო გოგოვ, (ლამაზი),  
კარგი ხარ და ლამაზი ხარ,  
ნარცხს მოგიტან, (ლამაზვ),  
ჩამოყარე, ჩემო გოგოვ, ლამაზვ...

---

2 ალსანიშნავია, რომ ძროხის წველისას მიმღერება (ლილინი), რომელიც მრავალჯერაა დადასტურებული აჭარაში, ერთ-ერთ უნიკალურ ფოლქლორულ-ეთნოგრაფიულ გაღმონაშთადაა აღიარებული სპეციალისტების მიერ.

---

1 მასალა ჩაწერილია ხულოსა და შუახევის რაიონების სოფლებში.

ძროხებზე შერქმეულ სახელე-  
ბშიც კი ჩანს ეს ღიღი სიყვარული  
და პატივისცემა. აჭირაში ძრო-  
ხებს ეძახიან: გულისტანას,  
თვარიას, ლამაზას, გიშე-  
რას, გათენას, ბრავალას,  
ყაყაჩოს, ყვავილას, კაკა-  
ბას, დარჩენას, ბუჭერას,  
ვარდოს, სათუთას, კეთი-  
ლას, შველიას, დედიფე-  
რას, ძოწენას, სანათას,  
ნარინჯას, დოვლეთას,  
გუზელას და სხვა მრავალს.  
ძროხა რომ ხობოს (ხბოს)  
იშოვს და პირველად მოიწვე-  
ლის, იმ რდეს ქვია ხსენი. ხსენს  
პირველად ხბოს მოაწოვინებენ —  
„კარგი ხბო დად გებაო“,  
ან მოწველიან და გადააქცე-  
ვენ (გადასხამენ). შემდეგ ჯე-  
რებს მოწველიან, ცოტა ფქვილს  
ამოუკიდებენ, ამოკრა-  
ვენ, კეცხე დაასხამენ და ქაბა-  
ბივით შეწვავენ, ან დაასხამენ  
ტაფაზე, გააცხელებენ, გაწურა-  
ვენ, გააკეთებენ ფუნჩას და  
სჭამენ. ხსენს სხვა რქეში ორ-სამ  
დღეს არ შეურევენ — მუვე  
რძეა.

სამი დღის შემდეგ რძე კარგია  
და უკვე შეიძლება მისი გამოყენე-  
ბა.

რძეს ამუშავებენ სარძიე ში  
(სარძე ში, საობდურე ში,  
ჭილარ ში, მარან ში). უხ-  
დურს, ნაწველს სარძეში  
ინახავენ. სარძიე სხვებთან შედა-  
რებით გრილი ოთახია — კედ-  
ლებს ჭიჭინები (ნახვრეტები)

აქვს დატანებული და შიგ მუშამი-  
გად ქრის ქარი. სარძიე, როგორც  
ცალკე ოთახი, ი ი ლურჯი ჭარე-  
მთის საზაფხულო სამართლებრივი,  
ზედა სართულზეა (ახორს ზე-  
ვითა) მოთავსებული. სარძიე სო-  
ფლის ბევრ საცხოვრებელ სახლ-  
საც გააჩნდა ანდა მუთვაღში  
(სამზად ოთახში) მას ცალკე კუთ-  
ხე ჰქონდა მიჩნილი.

გვიან გაზაფხულიდან იჭერენ  
მთაში წასკლის თაღარიგს. 7 მაი-  
სი გაივლის თუ არა, მე მოწევ-  
რე, უმეტესად ოჯახის დისახლი-  
სი, გაიბარგება კიდეც. რძის  
ნაწარმის დამზადება ძირითადად  
მთაში ხდება. მთაში მოჰყავთ სა-  
ქონელი თავის ნამატთან ერ-  
თად. მთაში ერთმა მემთევრემ  
შეიძლება რამდენიმე ოჯახის სა-  
ქონელი წაიყვანოს. ეს საქონელი  
ამბარი იყებისაა. მათ ცალკე  
წევლიან, ნაწველს ცალკე ამზადე-  
ბენ და ინახავენ.

ძროხები დაბმულია ახორში ბა-  
გაზე. ძროხას აქვს საყელუ-  
რი — კისერზე, აქვს რკალი.  
რკალი უკან შებნეულია კე ხით,  
კაპით, თავკაპით. საყელუ-  
რზე კინთიც. ბაგას აქვს გამო-  
ხვრეტილი — ნაცხვირი. მო-  
წკნელავენ ხეს, მოხჩო-  
ლავენ (ცეცხლის ალში გაატა-  
რებენ, დაარბილებენ), მოკაკ-  
ვავენ, ამოდებენ საყელურზე და  
გამოაბამენ ნაცხვირში ან კაპზე  
მიაბნევენ თოქს და თოქს აბამენ  
საძირზე. ხბოებს ინახავენ ახო-

რის ერთ კუთხეში — სახბოვ-  
რეზი (სახბორეზი).

დღილით აღრე ადგებიან, ჩავლენ  
ახორში, ბაგას ამოასუფთავებენ,  
ნაბაგას (ნამარხ ცყლას, ნა-  
ფერ რჩეს, ფაჩეც მს) გადაყ-  
რიან და ახორს დახვეტავენ. ნეხვს  
თოხით ჩავეტავენ სანაწყალიდან ნიჩბით  
სანათუ რში გადაყრიან. მერე  
ახორს გამოწმენდენ. ხელებს დაი-  
ბანენ, აიღებენ საწველელს  
და შებრუნდებიან ახორში. ძრო-  
ხას სველი ტილოთი გამოუსუფთა-  
ვებენ ან წყლით ჩამობანენ დუ-  
ძულერებს, ცურნეს. მე-  
რე ძროხასთან მიიყვანენ ხბოს და  
მოაგანურებენ (მოაგან-  
ვებუნ, მოანაგუებენ, მო-  
აგენებენ) — მოაწოვებენ. ცო-  
ტას რომ შექამს ხბო, მიაბამენ დე-  
დის წინ და ოვითონ დაიწყებენ  
წველას: ჩამოწველიან. ძროხა,  
ხბო რომ ახლოს ჰყავს, ლოკავს,  
ეხუტება ხბოს და ჩამოყ-  
რის რეგს.

ზოგ ძროხას არ ჰყავს ხბო, ან  
ტლინკავია, ფიცხი, ნაჩა-  
რი ძროხაა. ასეთ ძროხას მოფე-  
რება უნდა, თორებ აიკრეთს,  
„არ მოგცემს ძეს“. ძროხა  
რომ რძის მაღვას იწყებს ან  
შრება, ძალზე ცოტას იწველე-  
ბა, ამბობენ — შეკნტავსო.

ძროხის წველიან ორივე ხელით  
ან მუშტით, მჯიღით, რო-

զարդ մօհիւզան. ու մաշտիճ՝  
ժղութիւն, մոյեցոլ պըհս մօհիւզան  
մշմանք, ի ամ պ մ մ ա 3 վիշտ գործառնական  
վազան. արև պ ս ա տ ո տ ո ր ա  
վազան, հոմլուս գրասաւ մշման  
Մ ս ա տ ո տ ս ա դ ա ս ա հ ի ւ ն ե ծ ե լ ս մ ո-  
հ ի ս մ ո ա յ ւ բ ե ն դ ա ս ա վ ա զ ա ն.

ერთ ძროხას მოწველიან, ნაშე-  
ველს სუფთა ჭურჭელში ჩაასხა-  
მენ, რომელიც იქვე კავზე ა და-  
კიდული. ამ ჭურჭელში ავსებამდე  
ასხამენ რძეს. უწინ წველ დნენ  
კოლოფებში, ახლა ვედრა-  
ში წველიან, რომ დაამთავრებენ  
წველას, ჭურჭელს აიტანენ სარძი-  
ეში, ძროხებს კი საძოვარზე გაუშ-  
ვებენ — გააძ (ვ) ებენ. შერე  
მიხედავენ რძეს — „რძეს სამ-  
სახური უნდა“. რძეს გაწუ-  
რავენ საწურში და მერე დამუ-  
შავებენ ძიმაშინაში, სეფე-  
რატორში. საღამოს ნაშველს  
გაწურავენ და სუფთად შეინახა-  
ვენ, დილაზე მოწველილის  
მიუტოლებენ და ისე გამოხდიან.

უწინ ძიმაშინა რომ არ ჰქონდათ, თბილ-თბილ უმ რა დასხამლნენ ხელვობზე. ოჯახს ჰქონდა 9-10 გობი. შეიძლება 20-30 გობიც ჰქონდა.

გობებს დადგამდნენ, გააწევა-  
პებდნენ სარძიეს თაროზე, ქა-  
ნდარაზე, დანდალაზე —  
ქარმა უბეროსო. ჩემ შემ-  
უვდება, თავს (ძითავს, ძი-  
ნალებას, კაიმალს) მოიც-  
ავმს (გაიკეთებს, მოიგ-  
დებს) ამას მოხდიან, ესაა კა-

იმაღლი. კაიმალს მოჭუჭვენენ, მოამცრევენ კოთხოში, კაპიტში, კასრში. კაიმალი შეიძლება ერთ თვესაც აგროვო. მოგროვებული კაიმალიდან გაკეთებენ ხალს, კარაქს.

მოგროვებულ კაიმალს დაასხამენ დიდ გობზე და ურევენ ხელით ან კაშუღით. თანდათან ერთმანეთს გამოურიგდება, გამოეყოფა სითხე და ხალი., გაერჩევა ცალკე წყალი და ცალკე ხალი, მოვა ხალი პირველად რომ მიხვდებინ, ხალი მოდისო, დაიწიწილაო იტყვიან. შემდეგ მოჰყვება და მოვა კორკოტანათ, გამოაყრის როგორც სიმინის კაკლები, დაიკაკლება, შემდეგ ეს კაკლები შეერთდება, შეიკოჭება, მიეცემა თალის ფერი, აღომდება, ხალს ამოიღებენ გობიდან და რამდენჯერმე კარგად გარეცხავენ, თან ზელენ ხელით, თან წყალს უცვლიან. რეცხავენ მანამ, სანამ წნე წყალი არ გადინდება, სანამ წვენი არ გაუწმინდდება. ზოგან წყლიან ჭიქას დადგამენ და შეადარებენ ნარეცხ წყალს.

გარეცხილ ხალს მარილს შეაზელენ, გასინჯავენ სიმწუთხეს. მარილით ზომაზე შეზაევებული ხალიდან გოროხებს (კვერებს, კოკვებს) გააქეთებენ, დააწყობენ და ხალის გოროხები კა-

რგად რომ დაიწურება შაგაზე საგან, ჩატკებნიან, უკავებენ უკავებენ შეურჩევი — უფრო უფრო კასრში, გვარდა უნი. ჭირიშვილი მარილის შეზელა არ ვარგა — ასეთი კარაქი ტაფაში გაიღენთ ება: არც სულ უმარილო ვარგა — არ შეინახება, გაყვითლდება, გამწარდება და სული გაუდინდება.

მომცრეული კაიმალიდან ხალს ვარიაშიც აკეთებენ. ვარია ხისა (ცაცხვის ან თელასი). გრძლად მოკრილ მსხვილ ხეს გული გამოფხვავილი (გამოხვეწილი, გამოხაპიწული) აქვს და შიგნიდან ღრუ იანია. ვარიას ძირები გამოშენებული აქვს: აქვს პირი, თვალი. პირზე ბოლკო ეხურება. ჩასხამენ ვარიაშა ნაღებს, კაიმალს. დაახურავენ ბოლკოს. ვარია თოკებით დაკიდულია თვანში. ორი ქალი რეკავს ხალს. მალ-მალე ჩახედავენ ვარიას თვალში. კაიმალს ჭერ გამოაჭრის, მერე აღომდება. გააქნევ-გამოაქნევენ, მოვა ხალი, დაიწურება, ღომის განვითარება, გამოურიგდება ერთმანეთს დო

და ხალი. კიდევ მოუქანებენ ვარის თავს, კარაქი შეგორგვა ალდება, დიდი გუნთები გახდება. დოს (ნარევას) გადმოასხამენ, ხალს ციცხვით ან ხელით ამოიღებენ, გობზე დადებენ და კარგად გარეცხავენ, მოჭაჭვილ მარილს ჩააყრიან, კარგად შელესავენ და ჩადებენ ყაბში.

ხალს მოამცვრევენ. ყაბი რომ აიტება, ხალს კარგად ჩაგლესენ და ზევიდან დაჭიჭნავენ, დაამჭრელებენ: მსხალს ან კარტოფილს გათლიან, დაჭიჭნავენ და დაადებენ ხალს. ხალი დაიჭიჭნება. დაახურავენ თავს კარგად და ასე შეინახავენ.

კაიმალიდან თაღის დამზადების შემდეგ რჩება წვენი ნარეკა (ნარიკა). ნარევას ნაჟღერთას (ნაჟღერთასა) ეძახიან, — რადგანაც ვარიას აქანებენ — აჟღვართუნებენ.

ნარეკადან კეთდება ნადუღი (დო, წოვა). ნარევას ჩაასხამენ ჭურჭელში და შედგამენ ცეცხლზე. ცეცხლი ძალიან არ უნდა დაუგზნონ. ნარეკა გაცხელდება, მოჟრება და წამოიქაფებს. გამოურევენ კოვჭს, რომ ადუღდება, მარტო ერთი ქენერლით (კიდით) მიუღამენ ცეცხლს და მისცემენ დუღილს. ნარევას ქაფი მოაწვება, ჩაქარდება, ჩინაძირებს და მოდუღდება

— ქვეშ გაიგდებს და ზევიდან მოიშრატე ჭყაფა გამდებრითენა ცივებენ, ჩახვში ჩასხამენ, დაკიდავენ და გაიწურება. გამოვადო, დარჩება შრატი, წურუჭა. წურუჭას ჩომას, ბოხრიკს (საქონელს) დაალევინებენ.

თავმოხდილ ან გამოხდილ რძეს გააცხელებენ, ჩაკვეთავენ — რძეში ჩასხამენ კვეთს. ცოტა ხანში რძე მოიყველება. ციცხვით მოურევენ, თუ ციცხვზე დაეხვია, მოსულია რძე და შეიძლება ყველის ამოღება. ყველს ხელით მოჭუჭყავენ და სუზგში ჩადებენ. ყველს გადინდება შრატი. ყველს თავიდან მოზელენ... ასე იმეორებენ ოთხ-ხუთჯერ, რომ ყველი გაშიაპდეს (გაიწელს) და ხასი (კარგი) გახდეს. ყველს ამოიღებენ, ხელზე მოგრეხენ. მოგრეხილ ყველს გააბრტყელებენ ლავაშივით და გამზადებულ ლავაშს ჩადებენ ჭურჭელში. ესაა ჩლე ჩილა ყველი. ერთი ლავაში ერთი ხელევრა ყველია. ახალამოღებულ ყველს წნავენ. კიდეც და დაპწნილ ყველს ამზადებენ.

ყველს აყრიან მარილს. მარილი ამაგრებს და ინახავს ყველს. თუ მარილი არ დააყარეს ყველს, დამატლავს და დალპება. ბევრი მარილიც არ ვარგა — ყველს მოკურტავს, ძალიან გაამაგ-

რებს. თუ ყველი არ დამატლა და  
ისე გაყვითლდა, გემრიელია.

ყველს წათხმი ინახავენ. წა-  
თხს ასე აკეთებენ. წყალს აადუ-  
ღებენ, მარილს ჩააყრიან, გააცი-  
ვებენ. ამას დაასხამენ ყველს. წათ-  
ხი შეინახავს ყველს.

გამოხდილი რძე შეიძლება არც  
შეკიდო ცეცხლზე. უწინ, კაი-  
მალს რომ მოხდიდნენ, თავმოხ-  
დილ რძეს ისევ დატოვებდნენ სა-  
რიიში. ასე რძე მისით მოიდე-  
დება. რძე ტაროსის (ამინ-  
დის) მიხედვით ამჟავდებოდა. თუ  
სიგრილე იყო, შეიძლება ერთ კვი-  
რასაც არ ამჟავებულიყო.

ცოტა შემჟავებულ რძეს ამოა-  
სხამენ ტაფაზე, გააცხელებენ და  
ნახავენ, თუ შრატი და საყველე  
გამოეყო ერთმანეთს, ამოიღებენ  
ყველს, თუ არა და, აცლიან კიდევ  
ცოტა ხანს. საერთოდ, თავმოხ-  
დილ რძეს კვეთი არ უნდა. თუ  
რძე ტკბილია, ან თუ ითავაზა  
(მოსვლა დააგვიანა), მაშინ ჩამა-  
ტებენ კვეთს.

თუ ექვარებათ ყველის ამოღე-  
ბა, ცოტათი შემჟავებულ რძეს  
კვეთს ჩამატებენ და მოვა ყველი.  
ყველს ხელით ამოიღებენ და ხე-  
ლავენ. ყველი რომ გაწიპდება,  
თავისთავს რომ შეიკა-  
ვებს, ამოიღებენ, დაგრეხენ ან  
დაწნიან, ლავაშს გააკეთებენ და  
შეინახავენ.

ყველი ამოღების დროს ბარ-  
სამჯერ (ხშირად) უფუჭდებათ.

კარგი ჩლეჩილა არ იქნება, და-  
ბერებული, ფუნჩა იქნება.  
ასეთი ყველი არ უწოდებული  
გორგოლო (ფუნცული და ფუნ-  
ჭნილი და სასრება) ყველია.  
ასეთ ყველს ამოიღებენ, მრგვა-  
ლად გააკეთებენ და შეინახავენ.  
გორგოლო ყველი კარგია მოხ-  
რაკული სათვის და კამალში  
ჩასყრელად.

ხანდახან (უფრო ბავშვებისათ-  
ვის) — ამოიღებენ პატარა ყველს  
— ყველი კვერას, ყველ-  
კი კას.

ბოლო დროს დაღიან ყველ-  
საც აკეთებენ. გამოუხდელ რძეს  
გაწურავენ, შეათბობენ და ჩავე-  
თვენ. რძიან კურჭელს დადგამენ  
ცეცხლთან. რძე მოდედდება. გაე-  
ჩინევა შრატი და ხინჭი (რძის  
შედედებული ნაწილი) მერე ხე-  
ლით აურევენ, მოთქლაფა-  
ვენ. ის ჩაინაძირებს: ხელით მო-  
ჰიჭყავენ, მოაგორგვილებენ, ამო-  
იღებენ და დადებენ თეხიაზე,  
კოფარაზე, დააყრიან მარილს.  
იმ დღეს გააჩერებენ. ყველიდან  
გამოიწურება შრატი და მერე ჩა-  
დებენ წათხში.

ფუშურო ყველიდან აკეთებენ  
მოშუშვილ ყველს. ფუშუ-  
რო ყველს მოაგროვებენ, დაფშვ-  
ნიან გობზე, დაბურავენ სუ-  
ფთად, შეახვევენ და დადგამენ სი-

თბოში. სითბოში ყველი ჩაშუ-  
შდება. ასე შემზადებულ ყველს  
მერე ქვაბით შეკიღავენ ცეცხლ-  
ზე, დაასხამენ მდუღარე წყალს,  
ნაღებს, ურთავენ მარილს და  
აღუღებენ ღიღხანს, თან ურევენ.  
კარგად, რომ მოღუღდება, გახდე-  
ბა მოშუშვილი ყველი. ყველს  
თბილ-თბილს ჩაასხამენ გვარდაში  
ან ჭილეკში და შეინახავენ.

ყველის შესაღებებელ კვეთს  
წინდაწინ ამზადებენ. საქონელს  
რომ დაკლავენ, გამოიღებენ კვე-  
თს, ფუშს, გარეცხავენ, დააყ-  
რან მარილს და გაახმობენ. გამხ-  
მარ კვეთს ჩააღდებენ შრატში, ჩა-  
ამატებენ კვერცხის ნაჭუჭს, ლო-  
ბიოს და სიმინდის კაკლებს და  
დადგამენ, ან შრატში კვეთთან  
ერთად ჩადებენ კვერცხს, ლურს-  
მანს, სიმინდისა და ლობიოს კაკ-  
ლებს, ჩაამატებენ შვიდნაირ წყა-  
ლს, შაბს. შრატს 10-15 დღეს ასე  
გააჩერებენ და მერე გამოიყენებენ  
ყველის დასამზადებლად.

ყველის ამოღების შემდეგ დარ-  
ჩება ჩოროთანი. ჩოროთა-  
ნიდან, როგორც ნარეკადან ამზა-  
დებენ დოს. ესაა მშრალი დო.

რძიდან ამზადებენ მაწონს,  
ააღუღებენ რძეს, გააგრილებენ.  
ჯინჯიხი რძე რომ იქნება, მო-  
ცხელაო, მისცემენ მაიას  
(ძირს, დედოს), გამოურე-  
ვენ ციცხვით ან ლაფერით,  
დაახურავენ თავზე, შეახვევენ და...  
შეღვება.

თუ ოჯახს ბევრი მაწონი და  
როვდა, ვარიაში შერევავს დაოს.  
მორევის ღროს ვარიაჲ და მორევის  
ტამარი (ძარღვი) შეატყ-  
დება. გაერჩევა დო და მაღი,  
მოგუნთავდება. მაღს გამოიღებენ,  
გარეცხავენ და შეინახავენ. მაწვ-  
ნიდან რჩება აირანი. აირანი  
კარგია დასალევად. მას ნაკლებად  
იყენებენ დოს მისაღებად.

ბევრი აირანი თუა, მოაღუღე-  
ბენ, გაწურავენ და მიიღებენ ნა-  
დუღ დოს (ზოგან ამასაც ჩო-  
როთანს ეძახიან).

ლობან ამზადებენ ყურუ თს.  
ნადუღ დოს იშვიათად იყენებენ  
ყურუთის დასამზადებლად. ის  
შედარებით უფრო მუავეა. ყურუ-  
თის ამზადებენ შემდეგნაირად: და-  
წვავენ ბლომად მაღს, მოხრაკა-  
ვენ შიგ სიმინდის ფქვილს (ფქ-  
ვილს ამოკრავენ, მარაგს მი-  
ცემენ ზოგი წითელი სიმინდის  
ფქვილს არჩევს), შეაზელენ დოს  
და მერე გაყურუ უთავენ (ყუ-  
რუთის ფორმას მისცემენ).

ყურუთს ამზადებენ სხვაგვარა-  
დაც: კაიმალიდან გააკეთებენ ხა-  
ვიწს — აღუღებულ კაიმალში  
ჩაყრიან სიმინდის ფქვილს და მო-  
ხრაკავენ, შემდეგ დაასხამენ აღუ-  
ღებულ რძეს, შეაზელენ დოში,  
გააგრილებენ და ხელით დააგორ-  
გვალებენ, კვერებს გააკეთებენ.

გამზადებულ ყურუთს ქარიან  
აღგილზე დაწყობენ და გაახმო-

ბენ. ყურუთის პირდაპირ მზეზე  
გახმობა არ შეიძლება — სულ-  
იც აუვარდება და მზეც  
ყურუთს ხალს აარომევს. ყურუ-  
თი მზეში დასკდება და უცბად  
მოიხაპრება. კარგად გამხმა-  
რი ყურუთი დიღხანს შეინახება.

ესაა ხალიანი ყურუთი. არის  
რძიანი ყურუთიც. რძიან ყუ-  
რუთს ასე ამზადებენ: რძეს ადუ-  
ლებენ განახევრებამდე, ამით გაა-  
კეთებენ ძიფიას — დადულე-  
ბულ რძეში ჩაყრიან, ჩამატებენ

ღოს, კაიმალს, შეზელენ და გააკეთებენ ღოს  
გააგრილებენ და გააკეთებენ ღოს  
რუთს.

ამ მცირე ლექსიკური მასალი-  
დანაც კარგად ჩანს, რა მდიდარია  
აჭარული დიალექტის ლექსიკა.

აღსანიშნავია რომ, აქ წარმოდ-  
გენილი ბევრი ლექსიკური ერთე-  
ული უცნობია აჭარული დიალექ-  
ტის შესახებ დღემდე გამოცემუ-  
ლი სამეცნიერო ლიტერატურისა-  
თვის.

---

## 080 სამსონია

### პშერული ჩატვლობის ეთნოგრაფიული შესწავლის პრიც

სამეცნიერო ლიტერატურაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ტანსაცმლის შესწავლას, მისი ადრეული ფორმების დადგენისა და გენეზისის საკითხებს.

ნ. გაგენ-ტორნის აზრით, ტანსაცმელი ადამიანის პასპორტია, რომელიც უჩვენებს მის ტომობრიობას, წოდებრიობას, სქესს და წარმოადგენს მისი საზოგადოებრივი წონის სიმბოლოს (ნ. ი. გაგენ-ტორნი, ტანსაცმლის შესწავლის მეთოდიკისათვის საბჭოთა ეთნოგრაფიაში, უურნ. „საბჭოთა ეთნოგრაფია“, 1933, № 3-4, გვ. 122, რუსულ ენაზე).

საყურადღებოა პ. ბოგატირიოვის მოსაზრება, რომლის თანახმად ტანსაცმელი არის მატერიალური კულტურის ის მნიშვნელოვანი ელემენტი, რომელიც პრაქტიკული დანიშნულების გარდა,

უკავშირდება, აგრეთვე, მისი მატარებლის სოციალურ და ქონებრივ მდგომარეობას, მეურნეობრივ საქმიანობას, უროვნებას, სქესს, ასაკს, ესთეტიკურ გემოვნებას და სხვა მნიშვნელოვან ცხოვრებისეულ მოვლენებს (პ. ბოგატირიოვი, ნაციონალური კოსტუმის ფუნქციები მორავის სლოვაკიაში, კრ. „ხალხური ხელოვნების თეორიის საკითხები“, 1971, გვ. 340, რუსულ ენაზე).

ამდენად, ტანსაცმლის თავისებურებათა შესწავლას შეუძლია შექი მოჰყინოს ქართველი ხალხის საზოგადოებრივი ყოფის არსებით მხარეებს.

ქართული სამოსის თავისებურებათა შესწავლით არაერთი მეცნიერი დაინტერესდა. ამ მხრივ მნიშვნელოვან წყაროს წარმოად-

ენს ვახუშტი ბაგრატიონისა („აღწერა სამეცნია საქართველოსა“) და ივ. ჭავახიშვილის („მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის“) ნაშრომები. გარდა ამისა, ქართული ტანსაცმლის კვლევის საკითხს მიეძღვნა ი. ციციშვილის, ნ. ჩოფიკაშვილის, გ. ჩახაშვილის, ლ. ბოჭორიშვილის, თ. ოჩიაურის, ნ. გვათუას, ც. ბეზარაშვილის და სხვათა ნაშრომები.

ქართულ ეროვნულ სამოსელში ერთ-ერთი ორიგინალური ადგილი უჭირავს აჭარულ ტანსაცმელს, რომელშიც ასახულდა საქართველოს ამ კუთხის ისტორიული ბედის თავისებურება.

თურქეთის თითქმის სამსაუკუნოვანმა ბატონობამ გარკვეული კვალი დააჩნია აჭარელთა კულტურისა და ყოფის ზოგიერთ მხარეს, მათ შორის ტანსაცმელსაც. მიუხედავად ამ გავლენებისა, როგორც კულტურისა და ყოფის სხვა მნიშვნელოვანი ელემენტები, ტანსაცმელიც ძირითადად ზოგადქართულ იერს ატარებს, რაც, ბუნებრივია, არ გამორიცხავს ლოკალურ თავისებურებასაც. აჭარულმა ტანსაცმელმა, არაქართული ტერმინების მომძლავრების მიუხედავად, მტკიცედ შემოინახა ქართული ეროვნული სახე (კრ. „სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის კულტურისა და ყოფის საკითხები“, I, ალ. რობაქიძის შესავალი შერილი).

აჭარელთა ჩაცმულობის შესა-

ხებ სპეციალური ლიტერატურა არ არსებობს. ამ მხრივ საყორებელობო ცნობებია გაბრეჭილებული საუკუნის მოგზაურ-მკვლევართა ნაშრომებში. ქალის სამოსის ზოგიერთი ელემენტის შესახებ ნათელ წარმოდგენას იძლევა, აგრეთვე, კ. ნოღაიდელის ნაშრომი „ეთნოგრაფიული ნარკვევი აჭარელთა ყოფა-ცხოვრებიდან“.

აჭარელი ქალის ჩაცმულობის ფორმების შესწავლისათვის პირველ რიგში მნიშვნელობა ენიჭება ეთნოგრაფიულ მასალებს. საყურადღებო მონაცემების შემცველია აკად. ივ. ჭავახიშვილის თაოსნობით 1935-1936 წლებში შეკრებილი „შინამრეწველობის მასალები“, რომელიც ინახება ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის საქართველოს ეთნოგრაფიის განყოფილების ფონდში. საკითხთან დაკავშირებით სამუზეუმო კოლექციებსაც განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა.

მე-19 საუკუნის ბოლოსა და მე-20 საუკუნის დასაწყისისათვის აჭარელი ქალის სამოსი კომპლექსურ ხასიათს ატარებს. მასში შერჩწყმულია შიდა და გარე სამოსის, თავსაბურავისა და ფეხსამოსის ელემენტები.

ისტორიულ-ეთნოგრაფიული მონაცემებით ირკვევა, რომ ტანსაცმლისათვის საჭირო მასალად აჭარელი ქალი იყენებდა როგორც შინნამზად (შალი, აბრეშუმი, სელი, ბამბა), ასევე ფაბრიკულ ქსოვილებს.

საოჯახო წესით ქსოვილთა და სამზადებლად საჭირო ნედლეულის სიმრავლე, ნაქსოვი სახეების მრავალფეროვნება და ქსოვის ტექნიკის მაღალგანვითარებული ნიშნები მიუთითებს ფეიქრობის ხანგრძლივ ტრადიციებზე აჭარაში, რომ აჭარა ამ თვალსაზრისითაც საქართველოს ერთ-ერთ დაწინაურებულ კუთხეს წარმოადგენდა. როგორც უძველესი წერილობითი ცნობები გვიდასტურებენ, ქსოვილთა დამზადება აჭარაში უკავშირდება ძველ კოლხურ კულტურას.

ამ დარგის სიძველის მანიშნებელია ფეიქრობასა და ტანსაცმლის ჭრა-კერვასთან დაკავშირებული წეს-ჩვეულებანი, რომელიც გადმონაშების სახით გვხვდება აჭარელთა ყოფაში. ასეთია, მაგალითად, ჭრა-კერვისათვის ვარგისი და აკრძალული დღეების გამოყოფის ტრადიცია, რომელთაც ანალოგები მოვპოვებათ როგორც საქართველოსა და ამიერკავკასიის ფარგლებში, ასევე მის გარეთ. ამ თვალსაზრისით, ჭრა-კერვისათვის ვარგისი და აკრძალული დღეები უკავშირდება ქართველი ხალხის რელიგიურ აზროვნებას, რომელიც ასტრალურ კულტებთან ურთიერთობაში ყალიბდებოდა (ვ. ბარდაველიძე, ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან (ღვთაება ბარბარ-ბაბარ)).

აჭარელი ქალის ჩატულობის ძირითად კომპონენტებს შეადგენდა: შიდა სამოსელი — ზუბუნ-

ზუბუნი მამაკაცის ჩიხის შიგნერ ჩასაცმელ ზედატანსაც ეწოდება / დატეხილი და ფორტა კატეკულული ქვედა კაბა, იჩლული; გასტელული სელი — სიხმა, ჩათავა, სალტა და ხირხა. მეშვნელოვან როლს ქალის ჩატულობის სრულყოფაში სრულებრდა სარტყელ-ფეშტემალი. რთული და მრავალნაშილიანი თვესაბურავიდან აჭარელთა ყოფას ბოლო ხანებამდე შემორჩა შედეგი სახეობანი: ლეჩაქი, თავჩითი, თავსაკრავი, თეფელულიანი ფესი, დუვალი და ვალა. წამოსასხმის ტიპის სამოსელთაგან ხმარებაში იყო ჩაღრი, ჩარჩაბი და სახის დამფარავი საშუალება ფეჩე. ფეხსამოსთაგან გვხვდება წინდა, პარჭი, კარაპინი, ქალამანი, წულა, ჩილატანი, ნალინი, კალოშ-კონდრა, ფოთინი.

სამოსის ზემოჩამოთვლილ სახეობათაგან სიძველით გამოირჩევა ზუბუნ-ფარაგა, როგორც ყველაზე მარტივი სახე. სიმარტივე ნათლად ვლინდება თარგში. სამოსის ამ სახეობას საინტერესო პარალელი ეძებნება ქართველი ქალის ახალუხთან. კაბის დანარჩენი ორი სახეობა, რომელიც უცხო გარემოდან შევისებული ჩანს, მასობრივ ხმარებაში იყო მე-20 საუკუნის 20-30-იან წლებამდე. აჭარელი ქალის ძირითადი სამოსი ზუბუნ-ფარაგა ხმარებიდან ვერ განდევნა გარედან შემოსულმა დატეხილმა და ფორტა კაბაშ. ისინი ერთიმეორის გვერდით თანაასებობდნენ.

აჭარელი ქალის საქორწილო

ტანსაცმელთან დაკავშირებული ეთნოგრაფიული მასალის შესწავლამ გამოავლინა მისი მნიშვნელოვანი განსხვავება საქართველოს სხვა კუთხეებთან შედარებით. აჭარელი ქალი საქორწილო კაბას უპირატესად წითელი ფერის ქსოვილისაგან იკერავდა, მაშინ როცა საქართველოს სხვა კუთხეების მოსახლეობაში, გარდა ხევსურეთისა, საქორწილო კაბად ოეთრ ფერს ირჩევდნენ.

საინტერესო მასალები გამოვლინდა სამგლოვიარო სამოსელთან დაკავშირებით. აჭარელთა ეთნოგრაფიულ ყოფაში გლოვის დროს სახმარი სამოსის ფერი არ იყო დაკანონებულიდა არც გლოვის გამოხატვის ჩაიმე ნიშანს ხმარობდნენ უშუალოდ ტანსაცმელზე. მხოლოდ მეუღლის გარდაცვალების შემთხვევაში იცოდნენ „შავი ლეჩაქის ახვევა“. „შავი ფერის სამოსის ტარება გლოვის ნიშნად აჭარაში მხოლოდ ბოლო ხანებში შემოდის.

აჭარელი ქალის ჩაცმულობის ისეთი ძირითადი ელემენტები, როგორიცაა ზუბუნ-ფარაგა, ხირხა, ლეჩაქი, თავსაქავი, წინდა, პაიჭი, კარაჭინი, ქალამანი, წუღადა და სხვ. საერთოდ ქართველი ქალისათვის დამახასიათებელი ძირძველი ადგილობრივი ელემენტებია.

გარდა ამისა, აჭარელი ქალის ჩაცმულობაში არის ისეთი ელემენტებიც, რომლებმაც, მართალია, უცხოური გავლენა განიცადეს, მაგრამ ქართული იერი მაინც შეი-

ნარჩუნეს. ასეთია მაგ. იჟარებული ქალის ზედა სამოსის საინტერესო / სახეობა სიხმა, რომელიც უსასურველია თაღ განსხვავდება საქართველოს სხვა კუთხეებში დადასტურებული მსგავსი დანიშნულების სამოსისაგან. ის ახლო მსგავსებას ამჟღავნებს ანატოლიელი ქალის ზედა სამოსთან. ამდენად, სიხმა უცხო გარემოდან შეთვისებულ სამოსელად მიგვაჩნია. მაგრამ გასათვალისწინებელია ის ცვლილება, რაც სამოსის ამ სახეობამ განიცადა ადგილობრივი ტრადიციების შესაბამისად. ეს ნათლადაა გამოხატული ქართული სამოსისათვის დამახასიათებელ წელზე გაწყობილ ჩაცმულობასა და საგულვაწილის შექმნაში.

სიხმას საგულვა ნაწილის ქარგულობაში დადასტურდა საქართველოს სხვა კუთხეებისათვის დამახასიათებელი ისეთი ორნამენტები, როგორიცაა „სამყურა“, „ნაძვი-ტოტა“, „ჩიტითვალა“, „ქატიკვალა“ და სხვ. სიხმას შექმულობის ზომორდფული და მცენარეული მოტივების გვერდით ერთ-ერთ საპატიო ადგილს იჭერს ჯვარი, რომელიც, როგორც ცნობილია, ძირძველი ქართული ორნამენტის წინაქრისტიანული ხანიდან მომდინარე ტრადიციულ ელემენტს წარმოადგენს. გვიანდელ ხანაში იგი ქრისტიანობის სიმბოლოს გამოხატავდა და ამ მნიშვნელობით უპირისპირდებოდა ისლამის როგორც დოგმატიკურ, ასევე საწესჩვეულებო ნორმებს.

რაც შეეხება ძველად მოხმარე-

შული ზედსაცმელი სამოსის ერთ-ერთ საინტერესო სახეობას სალტას, იგი ფორმითა და შემკულობით მნიშვნელოვნად განსხვავდება სიხმასაგან. სალტა წარმოადგენს აჭარული ტანსაცმლის ქარგულობის მაღალგანვითარებულობის ნიმუშს. მას ამკობდნენ ვერცხლიმკედის გრეხილით გამოყვანილი გეომეტრიული და მცენარეული ორნამენტებით. ამ თვალსაზრისით ყურადღებას იპყრობს სახეთა შერჩევის მეტად დახვეწილი გემოვნება. ხშირ შემთხვევაში ფერები გარკვეული კანონზომიერებით ერწყმიან ერთმანეთს, რაც ფერთა შეთანხმების ტრადიციული წესების ცოდნას ავლენს. აჭარელი ქალის ეს ნახელავი იქცევს მნახველის ყურადღებას თავისი სისაღავითა და დახვეწილობით. იგრძნობა, რომ ხელსაჭმის ამ ნიმუშს აჭარაში მრავალსაუკუნოვანი ტრადიცია გააჩნია. ქარგვის ეს მაღალგანვითარებული ტრადიცია ხალხის ფართო მასებში დღემდე შემონახული.

საინტერესო მიმართება აქვს სამოსის აღნიშნულ სახეობას ძველ საქართველოში მოხმარებულ სამოსთან, კერძოდ, მსგავსი სამოსი აცვიათ ფავნისის ფრესკაზე (ახალქალაქის განაპირას) გამოსახულთ. ფავნისის წმინდა გიორგის ეკლესია მე-10 საუკუნეს განეკუთვნება. ეს მსგავსება მე-10 საუკუნის კედლის მხატვრობასთან გვაფიქრებინებს, რომ სამოსის ამ სახეობას შეიძლება ადგილზე ჰქონდეს გავლილი განვითარების

გრძელი და რთული გზა. შემდლოა, სამოსის ამ ვარიანტში თავისი საბოლოო სახე მთავრულობული იჩილული აჭარაში ორგვეულებულის მიერ მოხმარებულ ზედატანს წარმოადგენდა. თვით სიტყვა თურქულია და შიგსაცმელ სამოსს ნიშნავს. მსგავსი სამოსი საქართველოს სხვა კუთხეების ქალთა ჩაცმულობაში არ მოწმდება.

ქსოვილის სარტყლების გვერდით აჭარაში ლითონის ქამრებსაც ფართო გამოყენება ჰქონდა. იგი სიმდიდრის მანიშნებლიდ ითვლებოდა და წელის სამკაულის აუცილებელ კომპონენტს შეადგენდა. ხმარებაში იყო როგორც შემოტანილი, ასევე აღგილზე ნაშაადი ჰვირული ტექნიკით შესრულებული ვერცხლისა და სირმაქსოვილი ყაითნის ქამრები. ვერცხლის ქამრები სტილისტურად თათქმის ერთნაირი არიან. დამუშავების ტექნიკაც მსგავსი აქვთ. როგორც ეთნოგრაფიული მასალა ადასტურებს, აღნიშნული ტიპის ქამრები ბათუმსა და ახალციხეში მზადდებოდა.

ჰვირული ტექნიკით შესრულებული ქამრები არა მარტო აჭარისათვის არის დამახსაითებელი, არამედ საქართველოს სხვა კუთხეებისა და კავკასიის ხალხებისათვისაც.

აჭარელ ქალთა სათბილო სამოსი ხირხა, კერვის ტექნიკით, თარგითა და მოხმარების წესით, ქართულ ქათიბს უკავშირდება. ხირხა თემურაზ პირველის თხზულებათა პირველ გამოცემაში განმარ-

ტებულია როგორც ტლანქი, უხე-  
ძი სამოსი, დერვიშთა ტანსაცმე-  
ლი. ხირხა, როგორც წამოსახამის  
ტიპის საძოსი, იესე ოსეშვილსაც  
აქვთ მოხსენიებული. ივ. ჯავახიშ-  
ვილი მას ზამთრის სათბილ სა-  
მოსად მიიჩნევს.

შეინიშნება აგრეთვე აშკარად  
უცხოური გავლენებიც, რაც ყვე-  
ლაზე მკაფიოდ მოჩანს თავსაბუ-  
რავის ისეთ ელემენტებზე, როგო-  
რიცაა ფესი და თეფელული, დუ-  
ვალი და ვალა, ჩარჩაბი და სხვა.  
ეს უცხო ელემენტები აჭარაში  
თურქული გავლენის შედეგად შე-  
მოვიდა ხმარებაში, რასაც თან მო-  
ჰყვა თურქული ტერმინოლოგიის  
შემოჭრაც. მაგრამ ბევრმა მათგან-  
მა ფეხი ვერ მოიკიდა ამ კუთხის  
მცხოვრებთა ყოფაში. ასე მოუვი-  
და ფესს, რადგან მისი ტარება აჭა-  
რელმა ქალებმა კატეგორიულად  
უარყვეს. მაგრამ როგორცა. ფრე-  
ნკელი და ზ. კიჭინაძე მიუთითე-  
ბენ, ფესი მხოლოდ გარკვეული  
პერიოდის მანძილზე იჩენდა თავს  
და არსებით გავლენას აჭარელი  
ქალის ჩაცმულობაზე ვერ ახდენ-  
და. თავსაბურავის მეტად საპა-  
ტიო ელემენტი ლეჩაქი ვერ იქნა  
განდევნილი ხმარებიდან და ადრი-  
ნდელი ცხოველმყოფელობით გა-  
ნაგრძობდა არსებობას უცხო ელე-  
მენტების გვერდით.

ქალის თავდაუხურავი გავლა  
აჭარაში დიდ სირცხვილად ითვ-  
ლებოდა და შეუძლებლადაც. აჭა-  
რაში დამოწმებული ეს წესი უკა-  
ვშირდება ძველ საქართველოში  
არსებულ თმის დაფარვის წესს,

რომელიც V საუკუნიდან მოის.  
ასე, მაგალითად, იაკობ კალა-  
ველის „შუშანიკის წამეჭვებულებ-  
სების მიერ შუშანიკის წამეჭვებულების  
აღწერილობიდან ნათლად ჩანს,  
თუ ქალის თავდაუხურავი გავლა  
რაოდენ დიდ სირცხვილად და შე-  
ურაცხოფად ითვლებოდა.

მომდევნო საუკუნეების რელი-  
ეფებსა და ფრესკებზეც ქალები  
თავდაბურული არიან წარმოდგე-  
ნილი. მაშასადამე, აჭარაში და-  
მოწმებული წესი, რომელიც აჭა-  
რელ ქალს უკრძალავდა თბების  
ლიად ტარებას, იველქართული  
ტრადიციის შემონახულობაზე მი-  
უთითებს.

აჭარელ ქალთა სასახელოდ უნ-  
და ითქვას, რომ მათი მაღალი მხა-  
ტვრული გამოვნება და ფერთა  
შეთანხმების წესების ცოდნა სწო-  
რედ წინდების ქსოვის ხელვნე-  
ბაში გამოვლინდა. წინდა აჭარელი  
ქალის ყოველდღიური ფეხსამოსი  
იყო. სიძეელის მიხედვით სადა წი-  
ნდებს გამოყოფენ, ბოლო ხანებში  
კი ჭრელი წინდები შემოვიდა ხმა-  
რებაში. ჭრელი წინდები წინას-  
წარ სხვადასხვაფერად შეღებილი  
შალის ნართისაგან იქსოვებოდა.  
ჭრელი ზოგჯერ ქსოვის პროცეს-  
ში უკეთდებოდა, ზოგჯერ კი ქსო-  
ვის დამთავრების შემდეგ. ჭრელი  
წინდები ფერთა შეთანაწყობით,  
ქსოვის ტექნიკითა და სახეთა გან-  
ლაგებით არ ჩამოუვარდება საქ-  
ვეუნოდ ცნობილ თუშურ წინ-  
დებს.

ქალის ჩაცმულობა აჭარაში ისე-  
ვე ასახავს წოდებრივ იერარქიას,

როგორც საქართველოს სხვა კუთხეებში. წოდებრივი განსხვავება მკვეთრადაა გამოვლენილი, პირველყოვლისა, ჩატმულობის მასალასა და შემკულობაში. თარგი ყველა შემთხვევაში ერთიდაიგივე.

ტანსაცმლის თარგის იგივეობა, განურჩევლად წოდებისა, დამახასიათებელია არა მარტო აჭარისათვის, არამედ საქართველოს სხვა კუთხეებისა და კავკასიის ზოგი რაიონისათვის.

აჭარულ ტანსაცმელში ნათლადაა წარმოჩენილი ქალის ოჯახური მდგომარეობაც, რაც ყველაზე ნათლად თავსაბურავსა და შემკულობაში ვლინდება.

განსხვავებული იყო სამუშაო, „საცვეთი“ და საგარეო, „სანამუსო“ ტანსაცმელი. ისინი ერთმანეთსაგან განსხვავდებოდა მხოლოდ მასალის ხარისხით, ფერითა და შემკულობით. სრული თარგობრივი დამთხვევა გამოვლინდა ასაკობრივი მდგომარეობის მიხედვითაც.

ამდენად, როგორც ვხედავთ,

აჭარელი ქალის ტანსაცმელს უუცლად ეღო მატერიალური კულტურის ის ტრადიციულური მენტები, რომლებიც ძველთაგან ქართულ ნიადაგზე ჩამოყალიბდა და ეროვნულ ჩარჩოებში განვითარდა. აჭარული სამოსის ფორმები და მასთან დაკავშირებული მოხმარების წესები ისტორიულად ჩამოყალიბებულ ლოკალურ თავისებურებებთან ერთად ზოგადქართულ ხასიათს ატარებს.

აჭარის ეკონომიურ ცხოვრებაში მომხდარმა ცვლილებებმა სათანადო ასახვა ჰპოვა ჩაცმულობაში, რაც შინნამზადი ქსოვილების იაფი ფაბრიკული ქსოვილებით შეცვლაში გამოიხატა და რაბაც შესაბამისად ასახვა ჰპოვა სამოსის ფერისა და თარგის ცვლილებაში. ევროპულმა ტანსაცმელმა ძველებურ ჩაცმულობას თანდათან შეურყია საფუძველი და განდევნა ხმარებიდან. შესაბამისად ახალმა ევროპულმა ელემენტებმა არნახული სისწრაფით მოიკიდა ფეხი აჭარაში.

6/3/67

ვაკე 40 ვაკ.



ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ  
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

„ЧОРОХИ“

ОРГАН СОЮЗА СОВЕТСКИХ ПИСАТЕЛЕЙ  
ГРУЗИИ И АДЖАРСКОГО ОТДЕЛЕНИЯ  
ИНДЕКС 76118